

(22) 338
3-226

C. KANDELAKI



ECONOMIE NATIONALE DE GÉORGIE

Livre premier :

TERRITOIRE ET POPULATION

ქ. ქანდელაქი.

საქართველოს ენოვნული

გეოგრაფია

ტიპ 860 პირველი:

ტარიელიან
მოსახლეობა

დ. ხელაძის გამოცემა

3 არიზ. ი.

1935

C. KANDELAKI.
ECONOMIE NATIONALE DE GÉORGIE
Livre premier :
TERRITOIRE ET POPULATION.



ქ. პანდევაშვილი.

საქართველოს ეროვნული
ეკონომიკა

70860 30630 ლ.:

ტარიელი ექ
მოსახლეობა

დ. ხელაძის გამოცემა

პარიზი.

1935

კანდევაშვილი

ა ვ ტ ო ჩ ი ს ა გ ა ნ .

ეს წიგნი წარმოადგენს ერთ ნაწილს იმ ლექციებისას, ავტორი ამ რამდენიმე წლის წინეთ რომ კითხულობდა პარიზში — „საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ასოციაციის“ წრეში. ის ლექციები შეწყობილი იყო აუდიტორის უმრავ-ლესობისთვის, ემიგრაციაში მყოფ ქართველ ახალგაზრდობას გულისხმობდა, და ამ წიგნშიც ამ მხრივ ბევრი ცვლილება არ შეგვიტანია.

ზოგიერთ მეგობრების წინადადება, რომ ის ლექციები გამოგვექვეყნებია, იმ დროს არ მოხერხდა და ახლაც მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება; სამაგიეროთ, ჩვენ იგი შევავსეთ უკანასკნელათ გამოქვეყნებულ მასალების მიხედვით და მცირეოდენი დამატებაც შევიტანეთ. ლექციებს სრულიად აკადემიური ხასიათი ჰქონდა და ამ გამოცემაშიც ჩვენ ვეცადეთ ამ გზას არ ავცილებოდით.

თქმა არ უნდა, ახლა მეტი მასალა მუშავდება, მეტი წე-
 ნი იწერება საქართველოს ეკონომიკურ ვითარების შესახებ,
 ვინემ ამ 30-40 წლის წინეთ; როგორიც არ უნდა იყოს ამ ნა-
 წერების ღირსება, ისინი მაინც მეტ მასალას იძლევიან საქა-
 რთველოს გასაცნობათ, ვინემ ძველი დროის ის რუსული სა-
 ხელმძღვანელოები, საიდანაც ქუთაისის და ტფილისის „გუ-
 ბერნიების“ წარსულ და აწმყო მდგომარეობის შესახებ იმდე-
 ნივე ცოდნას ვიძენდით, რამდენსაც, ვსოქვათ, ტამბოვის და
 ოლონეცის გუბერნიების შესახებ, ნაკლებს თუ არა. ჩვენე-

ცხოვრების შესახებ ღარიბია; ამიტომ ვფიქრობთ, ყოველი წიგნი ამ საგანზე დაწერილი და ფართე საზოგადოებისთვის ხელმისაწდომი ზედმეტათ არ უნდა ჩაითვალოს; გვინდა ვიფიქროთ, თუ ეს შრომაც ცოტათი მაინც საფუძვლიანი გამოდგა, მცირეოდენ სარგებლობას იმათაც მოუტანს, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე არის გამოსული და ვისი საქმიანობის ხასიათი საგნის აკადემიურ შესწავლით არ არის შემოფარგლული.

დღეს საქართველო ხელახლა რუსეთის ოქუპაციის ქვეშ იმყოფება. არის იგი რუსეთის ნივთიერ დახმარების ობიექტი, როგორც ამას ცდილობენ ზოგიერთები დაამტკიცონ, ისე, როგორც ცარიზმის დროსაც ცდილობდენ დაემტკიცებიათ, თუ არა? აქვს საქართველოს რეალური საფუძველი თავის ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობათა მიხედვით მართლაც იარსებოს დამოუკიდებლათ, როგორც იმასავით ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა ერები არსებობდნ, თუ არა? რა პერსპექტივები იშლება ამ მხრივ ქართველი ერის წინაშე?

უველა ამ საჭითხებზე პასუხს იძლევა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლა, სწორეთ — შესწავლა და არა პროპაგანდა. ჩვენი ხალხი პროპაგანდას ალარ საჭიროებს, იმის ნებისყოფას სჭედს ის გაკვეთილები, რომელიც მას მისცა თვით ცხოვრებამ, როგორც გარედან მოვლინებულ სხვადასხვანაირ რეფორმის, ისე თავისუფლათ ყოფნის და დამოუკიდებლობის, პირობებში.

ფაქტიური მასალა, ცნობები ჩვენ რომ ვემყარებით, სხვადასხვა პირთა თუ დაწესებულებათა კვლევის შედეგს წარმოადგენს; იგი მრავალ სხვადასხვა ქართულ და უცხო (უფრო რუსულ), ძველსა და ახალს გამოცემებში არის გაბნეული. სამწუხაროთ, და ეს გარემოება ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამ გამოცემებში გაბნეული მასალები ხშირად ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან, ასე რომ ჯერ ჩვენ კიდევ არ მოგვეპოება ზედ-

ბურ ახალგაზრდას, დაბალ სასწავლებელს რომ გაათავებდა იგი, უსათუოდ უნდა ცოდნოდა, მაგალითად, მდინარე ოკა რა მდინარეს ერთვის, ხოლო იცოდა თუ არა ამავე ღრის იმან მდ. იორი ქართლში თუ კახეთში მიმდინარეობს — ამას არავინ ეკითხებოდა. სულ ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი ქვეყნის ისტორიის თუ ეკონომიკის მაშინ არსებულ სახელმძღვანელობის საშვალებით საფუძვლიანათ შესწავლის შესახებ. ეს ახალგაზრდობის ვიწრო წრისთვის თუ იყო ხელმისაწვდომი და ისიც იმდენათ, რამდენათ კერძო ინიციატივას და ენერგიას ვინმე გამოიჩენდა. არა ერთი და ორი ქართველი იყო, რასაკვირველია, მცოდნე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრების და მეურნეობის სხვადასხვა დარგის დიდი სპეციალისტიც; მაგრამ, სამწუხაროთ, ძალიან ცოტა იყო მათ მიერ დაწერილი და ამას თავისი გასამართლებელი მიზეზებიც ჰქონდა; უფრო მეტს უცხოელნი სწერდენ და ვერ ვიტყვით, რომ ხშირად (მიუდგომლობა მოითხოვს ითქვას, რომ არა ყოველთვის), მიუხედავათ მეცნიერულ ღირსებისა, განსაკუთრებული ტენდენციის ბეჭედი არ აჯდეს იმათ ნაწერებს; ეს ტენდენცია, ცოტათ თუ ბევრათ, მუდამ იქნება, სანამ ქართული მეცნიერება და საქართველოს კვლევა - ძიების საქმე გარეშე გავლენისაგან არ განთავისუფლდება.

I ყოველ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ჩვენს ისტორიას შეტი ქართველი მკვლევარი ყავდა, მეცნიერი, ვინემ ჩვენს ეკონომიკას. ქართულ უნივერსიტეტის დაარსება იმით კი არ იყო ჩვენი ქვეყნისთვის ბედნიერება, რომ იგი დიპლომით დაჯილდოებულ რამდენიმე ახალგაზრდას შემატებდა საქართველოს, არამედ და უმთავრესად იმით, რომ აქ, ადგილობრივ, დამუშავდებოდა მრავალი საკითხი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის შესასწავლად და ეს სწავლა ფართო საზოგადოებას მოეფინებოდა, რომ ამ მეცნიერების ტაძარშიც ცნობილი პოლიტიკა არ გამეფებულიყო.

ასეა თუ ისე, ლიტერატურა საქართველოს ეკონომიკურ

მიწევნით და სავსებით მეცნიერულათ დამუშავებული, ყველა-
 საგან უდავოთ აღიარებული სტატისტიკა და საზოგადოთ ცნო-
 ბები საქართველოს ეკონომიკურ ვითარების შესახებ. ეს ნაკლი
 იქ, აღილობრივ, უნდა გამოსწორდეს და, რა ოქმა უნდა, სრუ-
 ლიად მოუხერხებელია უცხოეთში, თუნდაც რომ ბევრმა იმუ-
 შაოს აქ ამ საგანზე და ბევრი შრომაც მას დასდოს.

ჩვენი ცდა იყო, როგორც მკითხველი დაინახავს, არ დავ-
 კმაყოფილებულიყავით მშრალი ციფრებით და ცნობებით,
 ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოები ჩვეულებრივ
 თავს რომ უყრიან, არამედ გვინდოდა ასეთ მშრალ მასალის-
 თვის ხორცი შევვესხა პოლიტიკურ ეკონომიკის საერთო დე-
 ბულებებთან დაკავშირებით და მოგვეცა ახსნა - განმარტება
 იმის, თუ რა როლს თამაშობს რომელიმე ეკონომიკური ფაკტო-
 რი სახალხო მეურნეობაში საზოგადოთ. ჩვენი ქვეყნის ეკონო-
 მიურ ვითარების ასეთი წესით განხილვა და იმის სხვა, განსა-
 კუთრებით პატარა, ქვეყნებთან შედარება, ჩვენ ვფიქრობთ,
 მეტ შინაარსს მისცემს მშრალ ციფრებს და უფრო გაცხო-
 ველებს იმათ.

გამოცემის პირობები მოითხოვდა, რომ წიგნი დიდი არ გა-
 მოსულიყო; ამიტომ იძულებული შევიქენით, ამ წიგნში საქა-
 რთველოს ეკონომიკურ საქმიანობის მხოლოდ ორ უმთავრეს
 პირობაზე — ტერიტორიაზე და მოსახლეობაზე — შევჩერე-
 ბულიყავით და ამის შესახებ თავმოყრილი მასალაც ძალიან
 შეგვემოკლებია. ჩვენ არ ვიცით, მოვახერხებთ თუ ვერა დანარ.
 ჩენ მასალის გამოქვეყნებასაც. ჩვენს ლექციებში რომ ვსარგე-
 ბლობდით; და თუ ამ წიგნს მაინც საერთო სათაურით ვაქვეყ-
 ნებთ — „საქართველოს ეროვნული მეურნეობა“, ყოველ შე-
 მოხვევაში იმიტომ, რომ „ტერიტორიის და მოსახლეობის“ შე-
 სწავლა წარმოადგენს საზოგადოთ სახალხო მეურნეობის შე-
 სწავლისთვის პირველ ნაბიჯს, პირველ წიგნს.

ჩვენს პირობებში, უცხოეთში, საქართველოს შესახებ მა-

სალის თავის მოყრა სიძნელეს წარმოადგენს; სიძნელეს წარმოადგენს ქართული წიგნის გამოცემაც. ამიტომ ჩემი მოვალეობათ მიმაჩნია, გულითადი მადლობა მოვახსენო აქვე ყველა იმ მეგობრებს, რომელნიც მასალის დაგროვებაში დამეხმარენ და ამ შრომის გამოსცემი თანხაც ურთიერთ შორის შეაგროვეს. კერძოთ, მადლობელი ვარ დ. ხელაძის, რომელიც არ ერიდება მრავალ დაბრკოლებას, ქართულ გამომცემლობის საქმეს საზოგადოთ უცხოეთში დაუღალავათ ემსახურება, და ეს მეორე წიგნია, მე რომ მისი დახმარებით ვაქვეყნებ.

კ. კანდელაკი.

პ ა რ ი ზ ი.

სექტემბერი, 1934 წ.



I

සෙසාසාමු.

o

o

შ ე ს ა ვ ა ლ ი.

1.

ერი, როგორც ეკონომიკი ისტორია.

ერი, სახელმწიფოთ ჩამოყალიბებული, წარმოადგენს ერთს პოლიტიკურ და იურიდიულ ორგანიზმს; ეს სადაც არ ყოფილა წინეთ და არც ახლა არის. ხოლო წარმოადგენს თუ არა იგი ამავე დროს ერთს ეკონომიკურ ორგანიზმსაც, თავის საკუთარ ეკონომიკურ ცხოვრებას რომ ეწევა, დამოკიდებულია საკუთარ რესურსებზე და, მიუხედავათ შინაურ წინააღმდეგობათა, საერთაშორისო ეკონომიკურ დამოკიდებულებაში ერთის ეროვნულის ინტერესით არის გამსჭვალული — ამ საკითხს დროთა განმავლობაში ერთნაირათ არ უყურებდენ სხვადასხვა ეკონომიკურ მოძლვობებათა წარმომადგენელნი. ამ ბოლო დროს ამ საკითხში კვლავ დააინტერესა პოლიტიკურ ეკონომიკის მკვლევარნი და აკტუალური ხასიათი მიიღო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თითქმის ყველა სახელმწიფო კარჩაკეტილ, ფრიად განვითარებულ პროტეკციონიზმის, გზას დადგა; ზოგი იქამდისაც მიღის, რომ ახლანდელ ეკონომიკურ არევ-დარევას მსოფლიოში, სხვათა შორის, იმით ხსნის, რომ „ყველა ქვეყნებმა ეროვნული დამოკიდებლობა მოისურვეს“—ო *).

*) ასე ფიქრობს, მაგალითად, იტალიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და ეკონომისტი ფრ. ნიტი. ი. Fr. Nitti: «L'inquiétude du Monde», Paris—გვ. 92.

გარკვევა განსაკურთებულ შრომას მოითხოვს, ჩვენ კი მოკლეთ მაინც გავეცნოთ იმას; ამ საკითხის ნათლათ გარკვევაზე დამოკიდებულია ის ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკა, რომლითაც სახელმწიფო კაცები უნდა ხელმძღვანელობდენ.

* *

ძველი დიდი იმპერიები — რომის, ასურეთის, ბაბილონის, ეგვიპტის უფრო პოლიტიკურ და იურიდიულ ორგანიზმს წარმოადგენდენ, ვინემ ეკონომიკურს. ამ სახელმწიფოების სხვადასხვა კუთხე თავის საკუთარ, კუთხურ, ეკონომიკურ ცხოვრებას ეწეოდა და ეკონომიკურათ ისინი ცენტრთან და ერთი-მეორეს-თან ნაკლებ იყვნენ დაკავშირებული.

ცხოვრების პირობებიც არ იყო მაშინ რთული და უზარმაზარ ტერიტორიაზე გაბნეული მოსახლეობა თავის მოთხოვნილებებს, იმ დროს მეტად პრიმიტიულს, ადვილათ იქმაყოფილებდა. ხოლო მოსახლეობის ზრდასთან ერთად — ერთის მხრით, და სახელმწიფო ხელის უფლების გაძლიერებასა და იმის აპარატის უკეთესად მოწყობასთან — მეორე მხრით, წარმოიშვა საჭიროება და საშვალებაც სახელმწიფოში არსებულ საწარმოებო ძალათ გაერთიანების, იმის კოორდინაციის შინაურ საარსებო საშუალებათა საუკეთესოდ გამოსაყენებლად, და ერთი ეროვნული სახით, ერთი ეკონიომიკური ფრონტით (როგორც ახლა იტყვიან ხოლმე) საერთაშორისო ასპარეზზე გამოსასვლელად, როგორც ეს ხდებოდა პოლიტიკაში. ასე ჩაეყარა საფუძველი იმას, რასაც ახლა ეროვნულ მეურნეობას უწოდებენ; ეს მოხდა მე-15 და განსაკუთრებით მე-16 საუკუნეებში (ვიდრე მე-18 საუკუნემდი), როცა ამ იდეის მატარებლათ გამოდიან მიმდევარნი იმ ეკონომიკურ მიმართულების, რომელიც ისტორიაში ცნობილია სახელმწიფებით მერკანტილიზმი *).

*) Prof. L. Brocard «Principes d'Economie Nationale et Internationale», ტ. I, გვ. 4-5.

პოლიტიკურ ეკონომისის ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებში, განსაკუთრებით ეგრედ წოდებულ ლიბერალურ შეოლის ეკონომისტების მიერ, მერკანტილისტების ეკონომიური პოლიტიკა სულ აბუჩათ თუ არ არის ავდებული, იგი ძალიან განმარტივებულია. მერკანტილისტები ფიქრობდენ, ვკითხულობთ ხშირათ ასეთ სახელმძღვანელოებში, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობა იმაზედ იყო დამყარებული, თუ რამდენათ მეტი ფულს, ოქროს, დააგროვებდა საზოგადოება(სახელმწიფო); აქედან წარმოსდგებოდა მათი ცალმხრივი წარმოდგენა საგარეო აღებ-მიცემობაზე: რაც შეიძლება მეტი საქონლის გატანა საზღვარ გარეთ და ნაკლების შემოტანა უცხოეთიდან *). სინამდვილეში კი მარტო ამით არ განისაზღვრებოდა მერკანტილისტების ეკონომიური პოლიტიკა, იგი უფრო ფართე იყო და უფრო შინაარსიანი. მართალია, საკითხი „ფულის დაგროვების“ დიდ როლს თამაშობდა მერკანტილისტების სისტემაში, მაგრამ ეს იმითაც აისხნებოდა, რომ იმ დროს ძვირფასი ლითონი, ოქრო და ვერცხლი, კიდევ უფრო საჭირო იყო, ვინემ ჩვენს დროში არის იგი საჭირო საერთაშორისო ანგარიშების გასასწორებლათ. გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულებაში, ჰირში თუ ლხინში, რმის თუ მშვიდობიანობის დროს, უმთავრესათ ეგრედ წოდებულ სავაჭრო ბალანსით იზომებოდა ქვეყნის კეთილდღეობა, რადგან ყველა სხვა ფაქტორები, დღეს რომ საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში დიდ როლს თამაშობენ და ეგრედ წოდებულ საანგარიშო ბალანსში (ba.

*) „მერკანტილისტური სისტემა, სწერდა ფრანგის კარგათ ცნობილი სოციოლოგი Yves Guyot განვითარებული მაქსიმუმამდის Colbert-ის მიერ (უდიდესი წარმომადგენერო მერკანტილიზმისა საფრანგეთში, ხოლო Cromwel-ი—ინგლისში— კ. კ.), დაფუძნებული იყო ასეთ იდეაზე: გაყიდვები საქონლისა უცხოელებზე მათ დასაქცევათ ძვირფასი ლითონის ჩამორთმევით და აღქრძალვა მათვების საქონლის მოყიდვისა ჩვენთვის“. Yves Guyot «Le Commerce et les Commerçants», Edit. O. Dion et Fils, Paris, გვ. 49.

lance des comptes) პოულობენ გამოსახულებას (საზღვაო ტრანსპორტი, მოსახლეობის ემიგრაცია და იმიგრაცია. საგარეო სესხი და საერთო საბანკო პოლიტიკა, ტურიზმი და სხვ.), იმ დროს ნაკლებათ იყვენ განვითარებული.

მერკანტილისტური სისტემა საერთოდ გულისხმობდა ისეთ რეჟიმს, რომელიც :

ა) ხელს შეუწყობდა იმპორტს საკვებ და ნედლი მასალისას; პირველისას—ცხოვრების გასაიაფებლათ, მეორისას—ნაციონალურ ინდუსტრიის განსავითარებლათ;

ბ) წახალისებდა შინაურ ფაბრიკების ნაწარმოების უცხოეთში გატანას, ხოლო უცხოეთიდან ასეთის შემოტანას დააბრკოლებდა;

გ) დაიცავდა თავის ნაციონალურ ტერიტორიაზე მოწეულ საკვებს ცხოვრების გაიაფების მიზნით, რომ ამით საფაბრიკა წარმოებაც გაიაფებულიყო და იმის ექსპორტი მომატებულიყო.

რომელი ქვეყანაა ახლა, ამ მეოცე საუკუნის ოცდამეათე წლებში, რომ გაბედავს თავისი თავი ამ მხრივ უცოდველათ გამოაცხადოს და ზემოთ მოყვანილი პოლიტიკა ჩაქოლოს? მე-19 საუკუნის განმავლობაში კი მერკანტილიზმი კრიტიკის საშინელ ქარ-ცეცხლში იქმნა გატარებული.

მერკანტილისტების საერთო შეხედულებიდან გამომდინარეობდა მათი ღონისძიებანი ეროვნულ მრეწველობის შესაქმნელად, სოფლის მეურნეობის განსავითარებლად და სხვადასხვა კუთხების სახელმწიფოს შიგნით ერთ ეკონომიკურ საქმიანობაში გასაერთიანებლად. საუკეთესო საშვალება ამისთვის მათ პოვეს საბაჟოში: ბაჟი ფისკალურ საშვალების მაგიერ მათ გადააქციეს მრეწველობის მფარველ საშვალებათ, „პროტეკტორათ“; უდიდესი იარაღი ეროვნულ მეურნეობის განსავითარებლად მერკანტილისტების თვალში იყო პროტეკციონიზმი.

რაკი ექსპორტის გაძლიერება დასახული იყო სახელმწიფოს კეთილდღეობის უმთავრეს ფაქტორათ, ხელის უფლება უნდა

დახმარებოდა კერძო მრეწველებს და, თუ საჭირო იქნებოდა, თვითონაც უნდა შეექმნა მრეწველობა საექსპორტო საქონლის დასამზადებლად (ამ დროს ეკუთვნის, სხვათა შორის, Colbert-ის მიერ დაარსება საფრანგეთში Sevres-ის ფარფორის ცნობილ მანუფაკტურის და პარიზის — გობელენების სახელმწიფო წარმოებათ გადაკეთება) *). აქედან წარმოსდგებოდა მათი მიღრეკილება ეტიტიზმისაღმი.

ერთი სიტყვით, მერკანტილისტების მთავარი იდეა იყო, რომ ერთ ერთ ეკონომიურ ორგანიზმს წარმოადგენს; ხოლო აქედან იმათთვე ის შემცირარი შეხედულება გამოყავდათ, თითქოს ერთა შორის დამოკიდებულებაში მხოლოდ ანტაგონიზმი არსებობს, და ამიტომ მათ შორის მხოლოდ ინტერესთა წინააღმდეგობას ააშკარავებდენ. მათი მსოფლმხედველობის მთავარა სისუსტე კი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არავითარ მეცნიერულ საფუძველზე არ ყოფილა დამყარებული და მეთოდიურათ დამუშავებული; ეს მეცნიერული სისტემა კი არ იყო, არამედ ეკონომიური პოლიტიკა, ისიც ძალიან ელემენტარულათ წარმოდგენილი.**).

:

* *

როცა აღმოჩნდენ მკვლევარნი, რომელნიც შეეცადენ პოლიტიკურ ეკონომიკისთვის მეცნიერულ საფუძვლების გამონახვას, მერკანტილისტური სისტემა მარტიდება. ჩვენ არაფერს ვიტყვით ეგრედ წოდებულ ფიზიოკრატების შესახებ (Quesnay, Turgot და სხვ.), რომელთა გამოკვლევანი ცალმხრივი აღმოჩნდენ, თუმცა პირველი იერიში სწორეთ იმათ მიიტანეს

*) A. Marchal « La conception de l'Economie Nationale et des rapports internationaux chez les Mercantilistes Fran ais et chez leur contemporains », Paris, 1931, p. 15 et 131.

**) L. Brocard « Principes... ». T. I, p. 10-11.

მერკანტილისტების მსოფლმხედველობაზე (ფიზიკონიკური აზრით, არაფერ საჭიროებას არ წარმოადგენს ეკონომიურ ურთიერთობისთვის კანონების, წესების და ოფიციალური ურთიერთობის შემუშავება, ყოველივე თავის თავათ მოგვარდება; ამათ ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა : „laissez-faire et laissez-passer“, ახლა რომ ეკონომიურ საქმიანობის სრული თავისუფლების გამოსახატავათ ხმარობენ ხოლმე).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისელ (შოტლანდიელ) ეკონომისტს ადამ სმიტს (Adam Smith) და მის მიმდევრებს, რომელთაც უდიდესი კვალი დაამჩნიეს ეკონომიურ მეცნიერების შესწავლას. აღ. სმიტის სახელგანთქმული შრომა «An Inquiry into nature and the causes of the Wealth of Nations» („კვლევა-ძიება ნაციათა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების“), რომელიც 1776 წ. გამოიცა, ითვლება თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომის მეცნიერების დასაბამთ და, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, მის შეხედულებას თავისუფალ აღებ - მიცემობის შესახებ სავსებით გაყვა ინგლისი; ამიტომ მართალს ამბობენ ხოლმე, რომ „უოტანი არიან ეკონომისტები, რომელთაც შეუძლიათ იამაყონ მათი პროექტის ასეთი სრული რეალიზაციით“ *), როგორც აღ. სმიტს.

აღ. სმიტმა სახალხო მეურნეობის შესწავლას საფუძვლად დაუდო შრომის განაწილება: შრომის მეტის ნაყოფიერებით და საცეკვეთსოდ გამოყენება საზოგადოების მიერ შესაძლებელი ხდება შრომის განაწილებით. ვის არ წაუკითხავს მისი გადალითი ქინძისთვის წარმოების შესახებ შრომის განაწილების პირობებში, შემდეგ კლასიკურ მაგალითად გადაქცეული პოლიტიკურ ეკონომისის სახელმძღვანელოთა ავტორებისათვის. თანამედროვე წარმოების განვითარება შრომის განაწილებაზე

*) Prof. Ch. Gide et prof. Ch. Rist « Histoire des Doctrines Economiques depuis les Physiocrates jusqu'à nos jours », 1913, page 120.

არის დამყარებული, ჯერ თვით წარმოებაში, მერე მოწყვეტილი ხოგადოებაში და შემდეგ მთელ მსოფლიოში; ამით იგებს სახალხო მეურნეობა მთლიანად აღებული. ად. სმიტშა და შემდეგ მისმა მიმდევრებმა ძირი სახალხო მეურნეობისა მისი უნივერსალობაში დაინახეს; ამიტომ სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთ შორის ეკონომიურ დამკიდებულებას. მათი აზრით, არაფერი წინ არუნდა გადალობებოდა, არც სახელმწიფო, არც იმის კანონმდებლობა (სრული ლიბერალიზმი). როგორც ვსტკით, ინგლისმა, რომლის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებს უმთავრესად ემყარებოდა ად. სმიტი, სავსებით გაიზიარა მისა შეხედულება, მით უფრო რომ მე-18 საუკ. მიწურულში და მე-19 საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობის პირობები ამ შეხედულების სასარგებლოთ იცელებოდენ.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრამდის მსოფლიო ეკონომიური მდგრადირეობა კიდევ დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა. ოკეანეს გამომარტინება მდებარე ქვეყნების ურთიერთ დამკიდებულება ძნელი იყო; საზღვაო ტრანსპორტი ხის გემებზე იყო დამკიდებული და ამ გემებს ჯერ კიდევ იალქნები ამოძრავებდა, ისინი ძალიან ცოტას იტევდენ და „კუს ნაბიჯით“ მიმოდიოდენ; შარა-ვზები არ იყო საქმარისი, რკინის გზა არ არსებობდა; მოგზაურობა საშიში იყო და ძვირი. ამიტომ აღებ-მიცემობას, შეიძლება ერთად-ერთ ინგლისის გამოკლებით, უმთავრესად ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. ხოლო მე-18 საუკუნის მიწურულში და მე-19 საუკუნის დასაწყისში ადგილი აქვს გამოგონებათა მთელ რიგს, რომელთაც ხელი შეუწყვეს წარმოების, ტრანსპორტის და აღებ-მიცემობის განვითარებას. ამ გამოგონებათა შორის ორთქლის საშვალებით მანქანის ამოძრავებას პირველი ადგილი უჭირავს. 1819 წელს პირველათ დადგეს მანქანა გემზე იმის მოძრაობაში მოსაყვანად და ამის შემდეგ ტრანსპორტის გაუმჯობესება (სისწრავე, სიაფე და სხვ.) სწრაფის ნაბიჯით წინ მიდის; ვითარდება ხმელეთის ტრანსპორტი (პირველი რკინის გზა გაყვანილი იქმნა

1830 წ. ლონდონიდან — ლივერპულამდის). ორთქლის საშეა-
 ლებით მანქანის ამოძრავებამ მთელი რევოლუცია შეიტანა
 მრეწველობაში, სახელდობ: სიძლიერე წარმოების, სისწავე,
 სისწორე (precision), ერთნაირობა (uniformité) და გაიაფება
 ნაწარმოების. ამნაირად, ადვილდება დიდალი საქონლის და-
 მზადება და იმის ერთი ადგილიდან მეორე, თუნდაც ძალიან
 შორეულ, ადგილზე გადატანა; აღებ-მიცემობა, სავაჭრო და-
 მოკიდებულება, ადამიანის მოგზაურობა არავითარ სიძნელეს
 აღარ წარმოადგენს. ეკონომიურ საქმიანობაში პირველ ად-
 გილს ინგლისი იქერს მთელ მსოფლიოში, რადგან მას ბლო-
 მათ მოეპოვება ქვანაბშირი, ახლად ალირიძინებულ მრეწველო-
 ბის „პური არსებობისა“; ყველა ქვეყანაზე მეტ საქონელს იგი
 ამზადებს, ყველაზე მეტი ფაბრიკატი მას გააქვს უცხოეთში და
 ყველაზე მეტი ნედლი მასალა მას შემოაქვს უცხოეთიდან. მი-
 სი ეკონომიური პოლიტიკა ახალი იდეებით, ად. სმიტმა რომ
 საფუძველი ჩაუყარა, სულდგმულობს — თავისუფალ აღებ-
 მიცემობით; არსებულ პირობებში ეს მისთვის დიახაც ხელსაყ-
 რელი იყო. ინგლისის მაგალითს ცოტა-ცოტათი სხვებიც მი-
 უვება, თუმცა არსად ისეთის მასშტაბით, როგორც ინგლისში
 (საფრანგეთში ამ სკოლის უდიდესი წარმომადგენელი იყო
 Bastiat). მიმდევარნი პოლიტიკურ ეკონომიის ამ ახალ მიმა-
 რთულების გამარჯვებას დღესასწაულობენ.

მსოფლიო არის წარმოდგენილი ერთ მთლიან საზოგადოე-
 ბათ (communauté), რომელიც დამყარებულია შრომის განა-
 წილებაზე; ადამიანის საქმიანობა მხოლოდ მსოფლიო მასშტა-
 ბით იზომება, კოსმოპოლიტური აზროვნება ბატონდება
 ეკონომიურ მსოფლმხედველობაში. „თუ ბაზარი ძალიან პა-
 ტარაა, ამბობდა ად. სმიტი, არავის ექნება იმის ხალისი, რომ
 მთელი თავისი საქმიანობა ერთ დარგს მოანდომოს, რადგან
 შეუძლებელი იქნება მისთვის იმ ზედმეტ ნაშრომის, რაც მის
 საკუთარ მოთხოვნილებას (consommation) აღემატება, გა-

ცვლა სხვისი ისეთ ნაშრომში, რაც მას ესაჭიროება^(*)). „პატარა ბაზრის“ უფარგისობა—ეს ახალი სტილული იყო საქმის კაცებისა და პოლიტიკურ ძლიერების მატარებელთა თვალში მსოფლიო ბაზრების ძებნისათვის, კოლონიების შეძენისა და ქვეყნების ეკონომიურ ზონებათ დაყოფისთვის^(**)). ამნაირათ, ეროვნული მეურნეობა თითქოს არც კი არსებობდეს, იგი ანგარიშში ნაკლებათ შედის; საქმე მსოფლიო ბაზარია, მსოფლიო ოღებ - მიცემობაა; ერთ, სახელმწიფო, არაფერ შუაშია, „ნაცია“—გრამატიკული გამოვნებაა, იგი მხოლოდ პოლიტიკოსების ტეინში არსებობს (ასეთ აზრებამდის მიღიოდა, ფრ. ლისტის გადმოცემით, მაგალითად, ამერიკელი სწავლული Thomas Cooper-ი).

* *

ამ გაბატონებულ მიმართულების, კოსმოპოლიტურ ეკონომიურ თეორიის დიდ რეაქციას ჩვენ ვხედავთ გერმანელ ეკონომისტის Fr. List-ის ცნობილ ნაწარმოებში „Das Nationale Sistem der Politischen Ökonomie“ („პოლიტიკურ ეკონომიის ნაციონალური სისტემა“), რომელიც პირველად 1841 წ. გამოიცა. გაბატონებულ ეკონომიურ თეორიას ფრ. ლისტმა ორი დებულება დაუპირდაპირა: იდეა ეროვნების და იდეა საწარმოვა ძალთა განვითარების უპირატესობისა აღებ-მიცემობაზე. ად. სმიტმა და მისმა შეკვეთმა, ამბობდა ფრ. ლისტა, შეჰქმნეს კოსმოპოლიტური პიპოტება: იმათ წარმოიდგინეს, თითქოს ყველა აღამიანი თავმოყრილი იყოს ერთ საზოგადოე-

^(*) Ad. Smith ფრანგ. გამოცემა 1843 წ. « Recherches sur la Nature et les causes de la Richesse des Nations », T. I, livre I, ch. III, p. 23.

^(**) იბ. ამის შესახებ : Prof. Ach. Vialette «L'Imperialisme Economique », Ed. Ar. Colin.

ბაში, საიდანაც ომი განდევნილია. ასეთ ჰიპოტეზაში კაცობრიობა, მართლაც, ცალკე-ცალკე აღამიანებისაგან შესდგება, მხოლოდ მათი პირადი ინტერესია ანგარიშში მისაღები და არაეითარი დაბრკოლება, მათი ინდივიდუალურ ეკონომიურ საქმიანობის შემაფერხებელი, არ შეიძლება გამართლებული იქმნას; მაგრამ ცალკე აღამიანისა და კაცობრიობის შუა ისტორიამ ერები ჩააყენა: აი ეს ავიწყდება შეკლას („შეკლას“ უწოდებდა ფრ. ლისტი ად. სმიტის მიმდევართა მსოფლმხედველობას). თითოეული აღამიანი წევრია ერის და მათი პიროვნული კეთილდღეობა უალრესად არის დამოკიდებული ერის სიძლიერეზე *).

ლიბერალურ შეკლის მიმდევრებს ფრ. ლისტი მოავონებს, რომ ეკონომიური განვითარება მარტო მარტო ნივთიერ ფაქტორებით და აღამიანის მათდამი ინდივიდუალურ დამოკიდებულებით არ განისაზღვრება, არამედ იგი დამოკიდებულია იმ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებზედაც, რომელშიაც ცხოვრობს აღამიანი. იგი სწერდა: „ყოველგან და ყოველ დროს მოქალაქეობა განათლება, მორალი და საქმიანობა მოწესრიგებული იყო ქვეყნის კეთილდღეობის მიხედვით და სიმდიდრეც მატულობდა ან კლებულობდა ამ თვისებათა მიხედვით; არასოდეს შრომას და მეურნეობას, გამოგონებას და ნიჭის პიროვნების სახით წარმოებაში დიდი რამე არ შეუქმნია იქ, სადაც სამოქალაქო თავისუფლებას, კანონებს და დაწესებულებებს, აღმინისტრაციას და საგარეო პოლიტიკას და განსაკუთრებით ეროვნულ ერთიანობას და სიძლიერეს მისთვის დახმარება არ აღმოუჩენია... ისტორია იმას გვასწავლის, რომ ხელოვნება და ხელოსნობა ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდენ. დევნილნი და დაჩაგრულნი თავის

*) იხ. Ch. Gide-ის და Ch. Rist-ის გადმოცემა ფრ. ლისტის შეხედულების, მათ წიგნში—«Histoire des Doctrines Economiques...» p. 316.

სამშობლოში, ისინი გარბოდენ იმ ქალაქებისა და ქვეყნების. კენ, სადაც უზრუნველყოფილი იყო მათი თავისუფლება, მფარველობა და დახმარება. ასე, ისინი საბერძნეთიდან და აზი-იდან იტალიაში გადავიდენ, იქედან გერმანიაში, ფლანდრიაში და ბრაბანტში და ამ უკანასკნელ აღვილებიდან პოლანდიაში და ინგლისში. ყოველი მხრიდან მათ სიგიურ და დესპოტიზმი დევნიდა და ყოველგან თავისუფლება მათ იზიდავდა^{*)}). რათ არ უწევდენ ანგარიშს ერს, ეროვნების, როცა ხშირად პატარა ერიც ბევრის შემჩნელია? ფრ. ლისტი გადაშლის დიდი და პატარა ერების ისტორიას და ასე დაასკვინის: „ზოგი პატარა თავისუფალი რესპუბლიკები, შეზღუდულნი თავისი ტერიტორიით, თავისი მოსახლეობით და თავის მილიტარულ შესაძლებლობით, ან კიდევ ასოციაცია ასეთ თავისუფალ ქალაქებისა და სახელმწიფოების, დაყრდნობილნი თავის ნორჩ თავისუფლებაზე და დაჯილდოებულნი გეოგრაფიულ მდებარეობით და ბედნიერ პირობებით, ბრწყინავდენ თავისი მრეწველობით და აღებ-მიცემობით დიდი ხნით აღრე იმ დიდი მონარქიებისა, რომლებმთაც ისინი თავისუფალ ურთიერთობაში იყვენ და რომელთაც აწვდიდენ სამრეწველო ნაწარმოებს სოფლის ნაწარმოებში გასაცვლელად. იმათ სიმდიდრის და სიძლიერის უმაღლეს წერტილს მიაღწიეს; ესენი იყვენ — ვენეცია, პანზა, ფლანდრია და პოლანდია^{**)}).

მართალია, ფრ. ლისტი გერმანელი იყო და ბევრში შეიძლება, როგორც ამბობენ კიდეც, მაზედ მოქმედებდა იმ დროს ახლად გაფურჩქვულ გერმანიის მრეწველობის ინტერესები, ინგლისის უკვე ძლიერ ინდუსტრიის კონკურენციის რომ ეჯახებოდა, მაგრამ ეს საქმის ვითარებას არ სცვლის; მისი შეხედულების ვიწრო „ნაციონალიზმათ“ გამოცხადება უსამართლობაა; ამ მხრივ ფრიდრიხ ლისტის მსოფლ-

^{*)} Fr. List « Système Nationale d'Economie Politique », trad. française H. Richelot, Paris, 1857, p. 214 et p. 217.

^{**) Ibid. p. 218.}

მხედველობა არსებითად განსხვავდება მეკრანტილისტების მსოფლმხედველობიდან; მეტიც: ფრიდრიხ ლისტის ტენდენცია მსოფლიო ეკონომიურ გაერთიანებას გულისხმობს, მხოლოდ არა არსებულ პირობებში; ჯერ-ჯერობით საზრუნვია ერის, ეროვნულ მეურნეობის გაძლიერება; ზრუნვა საკუთარ ერზე, საკუთარ ეროვნულ ინტერესებშე სრულებითაც არ ნიშნავს სხვა ერის სიძულვილს; ადამიანი გადაებმის მსოფლიოს ერის საშვალებით, საკუთარ კულტურის და ეკონომიკის განვითარების გზით. „პიროვნების და კაცობრიობის შუა, სწერდა ფ. ლისტი, არსებობს ნაცია თავის განსაკუთრებულ ენით და ლიტერატურით, თავის წარსულით და ისტორიით, თავის ზნითა და ჩვეულებით, თავის კანონებით და დაწესებულებებით, თავის მიღრეკილებით არსებობისთვის, დამოუკიდებლობის-თვის, პროგრესისთვის, გამძლეობისთვის, და თავისი საკუთარი ტერიტორიით: როცა იგი კულტურისა და ინტერესების სოლიდარობის გამო ხდება საზოგადოებათ, იგი ერთიანდება, სცნობს შინ თავის საკუთარ კანონებს, ხოლო დანარჩენ მის მზგავს საზოგადოებებთან დამოუკიდებულებაში იგი ბუნებრივი თავისუფლებით სარგებლობს და, მაშასადამე, კაცობრიობის ახლანდელ მდგომარეობის მიხედვით მას არ შეუძლია შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, თუ არა საკუთარ ძალით და საკუთარ რესურსებით“ *).

მერე უშლის ეს ხელს ეკონომიურ ცხოვრების განვითარებას მსოფლიო მასშტაბით? სრულებითაც არა. „უმაღლესი ასოციაცია პიროვნებათა, განხორციელებული დღემდის, არის სახელმწიფო, ერი; კიდევ უფრო მაღალი, ხოლო წარმოდგენაში, არის კაცობრიობა... ბუნებას თანდათან მიყავს ერები ამ უფრო მაღალ ასოციაციასაკენ, მოუწოდებს რა იმათ ჰავის, მიწის და ნაწარმოების სხვადასხვაობის გამო აღებ - მიცემობისკენ (საქონლის გაცვლა-გამოცვლისკენ); მოსახლეობით, კაპიტალით

*) Ibid. p. 285—286.

და ნიჭით უხვი ქვეყნები — ემიგრაციისა და კოლონიების და-
არსებისკენ. საერთაშორისო ვაჭრობა აღვიძებს საქმიანობას
და ენერგიას ახალ - ახალ მოთხოვნილებების შექმნით, ერთი
ერის ახალ იდეების მეორე ერისთვის გაცნობით, ძალის და
აღმოჩენების ერთი ერის მიერ მეორისთვის გაზიარებით; და
ყოველივე ეს უძლიერესი იარაღია ხალხთა ცივილიზაციისა
და კეთილდღეობისთვის. მაგრამ დღეს კავშირი ხალხთა შორის
საერთაშორისო ვაჭრობის საშვალებით არ არის სრული, რად-
გან იმას სწყვეტს, ყოველშემთხვევაში ასუსტებს, ომი თუ სხვა-
დასხვა ერის ეგოისტური ზომები... დაცვა, განვითარება და
გაუმჯობესება საკუთარ ეროვნების, ასეთია დღეს და ასეთი
უნდა იყოს უმთავრესი საგანი ხალხთა მისწრაფების. არაფე-
რია აქ შემცდარი და ეგოისტური; ეს არის მიდრეკილება გო-
ნიერი, სრულიად შეთვისებული მთელი კაცობრიობის ნამდ-
ვილ ინტერესებთან; იმიტომ რომ, ეს არის ბუნებრივი გზა
ერთა საბოლაო კავშირისაკენ კანონიერ წესით ((zur endli-
chen Einigung der Nationen unter dem Rechtsgesetz),
უნივერსალურ კავშირისაკენ, რომელიც მხოლოდ იმდენათ
იქნება გამოსადევი კაცობრიობისათვის, რამდენათ ხალხები
მიაღწევენ კულტურის და ძლიერების ერთნაირ დონეს, მა-
შასალამე, ეს განხორციელდება კონფედერაციის გზით" *).

ამნაირად, ფრ. ლისტი უბრუნდება ერს, სცნობს იმას რო-
გორც განსაზღვრულ ეკონომიურ ორგანიზმს, რომელიც თან-
დათან განვითარების გზით უკავშირდება საერთაშორისო
ეკონომიურ ცხოვრებას.

**

ფლ. ლისტის ამ შეხედულებამ ვერ გაიმარჯვა; პოლიტი-
კურ ეკონომიის კლასიკური შეკლა თეორიაში და ლიბერა-

^{*)} ibid p.p. 229-232; ეს ადგილი ჩვენ მოგვყავს პროფ. Ge-
mähling-ის თარგმანის თანახმად, რადგან აქ უფრო ნათლად
არის აზრი გადმოცემული: იხ. Prof. P. Gemähling «Les Grands
Economistes». Paris, 1925, p. 210-211.

ლური ეკონომიური პოლიტიკა ცხოვრებაში გაგრძელდა, მით
 უფრო რომ ყველა ის ფაქტორები, რომელზედაც ეყრდნობო-
 და აღ. სმიტი, მის დროს უფრო შორსგამსჭრეტელობით, ვი-
 ნერ ფაქტიურ მდგომარეობის მიხედვით, მე-19 საუკ. განვა-
 ვლობაში თანდათან ეითარდებოდენ. თუ 1884 წელს კიდევ
 უდიდეს გემათ მსოფლიოში ითვლებოდა გემი „Umbria“, 8
 ათას ტონს რომ იტევდა, 1907 წელს, ე. ი. ოცი წლის შემდეგ,
 ჩვენ ვხედავთ ისეთ გემებს, როგორც იყო „Lusitania“ (ახლა
 უკვე დალუპული) და „Mauretania“, თვითეული რომ 32.500
 ტონს იტევდა; ტევადობასთან ერთად მატულობდა საზღვაო
 ტრანსპორტის სისწრაფეც; რკინის გზის ქსელი გაიზარდა—
 1913 წ. იმის სიგრძე დედამიწაზე 1.100 ათას კლმ. შეადგენ-
 და; სათვობ მასალას—ქანახშირს, როგორც მამოძრავებელ
 ძალას ორთქლის საშვალებით, დაემატა ნავთი და ელექტრო-
 ნი. ადამიანის ენერგია არ სჯერდება მიმოსვლის საშვალებათა
 გაუმჯობესებას: 1869 წ. გაყვანილ იქმნა სუეცის არხი, რო-
 მელმაც ევროპა შორეულ აღმოსვლეთს დაუახლოვა, და 1914
 წ. დამთავრდა პანამის არხი, ამერიკის უზარმაზარი ხმელეთი
 შუაში რომ გააპო და წყნარი ოკეანე ატლანტიკისას რომ გა-
 დააბა. ახლა ავიაციის, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის გა-
 მოვნებამ, გაუმჯობესებამ და გავრცელებამ, ხომ, შეიძლება
 ითქვას, სავსებით მოსპო დრო და მანძილი და სულ შორეული
 ქვეყნები ერთი მეორეს დაუახლოვა. ტენიკის თანდათან გა-
 უმჯობესებას ემატება ქიმიური გამოვნებანი, სამეცნიერო
 ლაბორატორიები ქარხნებში შედიან და საქონლის ბლომათ
 დამზადებას, გაუმჯობესებას და გაიაფებას ხელს უწყობენ.
 მრეწველობის და ოლებ-მიცემობის მხრივ (აქვე უნდა ვიგული-
 სხმოთ ფინანსები) ქვეყნიერობა თითქოს მართლაც ერთ უნი-
 ვერსალურ ოჯახათ გადაიქცა, განსაკუთრებით იმათვის, ვი-
 საც საშვალება ჰქონდა ყოველივე გაუმჯობესებით ესარგე-
 ბლნა. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ინგლისელი ეკონომისტი
 Stanley Jevons სწერდა: „ახლა დედამიწის ხუთივე ნაწილი

ჩვენი (ე. ი. ინგლისის) მეხარკენი არიან: ჩრდილოეთი ამერიკა
 და რუსეთი ჩვენთვის სთესს პურს, ჩიჟაგო და ოდესა ჩვენი
 ბელლებია; კანადა და ბალტიის ქვეყნები ჩვენი ტყეებია; ავ-
 სტრალაზია ცხვარს გვიზრდის, ხოლო ამერიკა ხარების ჯოგს;
 პერუ ვერცხლს გვაწოდებს, კალიფორნია და ავსტრალია კი ოქ-
 როს; ჩინეთს ჩაი მოყავს ჩვენთვის, ინდოეთს—ყავა, შაქარი,
 სანელებელი სურნელობა; საფრანგეთი და ისპანია ჩვენი
 მევენახებია, ხმელთა შუა ზღვის ნაპირები კი ჩვენი ხეხილის
 ბალი“ *).

ვინ იტყოდა ამ 30 - 40 წლის წინეთ, განსაკუთრებით ტე-
 ხნიების და სატრანსპორტო საშვალებათა მეტი და მეტი განვი-
 თარების მიხედვით, რომ სახალხო მეურნეობის ასეთ უნივერ-
 სალობას კრიზისი დაუდგებოდა და კლასიკურათ აღიარებულ
 პოლიტიკურ ეკონომიის ლიბერალურ შეოლას დიდი განსაკ-
 დელი?

* *

ლიბერალურ ეკონომიის შეოლას პირველი დიდი გამო-
 ცდის ჩაბარება მსოფლიო ომის დროს მოუხდა. ქვეყნიერობის
 ეკონომიურ მთლიანობის, მსოფლიო ეკონომიურ უნივერსა-
 ლობის, ხასიათი უკვე ფაქტმა მოისამ დაარღვია; ქვეყნიერობა
 მოპირდაპირე ბანაკებათ დაიყო და თითოეული სახელმწიფო
 ამა თუ იმ მოპირდაპირე ბანაქს მიემხრო საკუთარ ეროვნულ
 ინტერესების მიხედვით. თუ უკანასკნელ საუკუნის თითქმის
 ყველა ომებს სარჩულათ ეკონომიური ხასიათი ედო, მათ შო-
 რის მსოფლიო ომი უაღრესად ეკონომიური ხასიათის იყო; ის
 ეროვნული ინტერესი, რომლითაც მეომარი სახელმწიფონი
 ხელმძღვანელობდენ, უპირველეს ყოვლისა იმას გულისხმობ-
 და თუ მას, როგორც ეკონომიურათ განკურძოებულ ერთე-

*) A. Siegfried « La crise Britannique au XX^e siècle », Paris, 1931.

ულს, რა შეემატებოდა. ასე კარგათ გაბმული საერთაშორისო ეკონომიურ ქსელის ძაფები ომმა უცებ დასწყვიტა და თითო-ეული სახელმწიფო მისი საკუთარი რესურსების ამარა დარ-ჩა, ყველა თავის საკუთარ „წვენში იხრაკებოდა“.

განსაკუთრებულის სიმძიმით ეს მდგომარეობა განიცადეს იმათ, ვისი სახალხო მეურნეობა უფრო მეტად გარეშე ქვეყ-ნებზე, მსოფლიოზე, იყო დამოკიდებული. საქმარისია გავი-ხსენოთ გერმანიის მაგალითი. თუმცა გერმანიაში სოფლის მე-ურნეობა უაღრესად არის განვითარებული და მას ნედლი მა-სალაც ბლომათ მოეპოება,, საკუთარ ტერიტორიის სივიწრო-ვისა და მრეწველობის ზედმიწევნით განვითარების გამო, იგი იძულებული იყო უცხოეთიდან შემოეტანა, როგორც საქვე-ბი, ისე ნედლი მასალის დიდი ნაწილი. 1913 წ. მას აქვს შემოტა-ნილი პური გატანილზე მეტი 2.007 ათ. ტონი და ნედლი მასა-ლა, გარდა ნახევარ - ფაბრიკატებისა, 5.003 მილიონ მარ-კის; შემოტანილი საკედი მასალა წარმოადგენდა მთელი იმ-პორტის—25,6% და ნედლი მასალა—46,5% მ. ნორმალურ პი-რობებში ეს არაფერი იყო; სამაგიეროთ, მასაც გაპქონდა უც-ხოეთში თავისი საფაბრიკო ნაწარმოები (1913 წ. მთელი იმ-პორტი უდრიდა 10.769 მილ. მარკას, ხოლო ექსპორტი — 10.097 მილ. მარკას) *). ომის დროს ამ საერთაშორისო აღებ-შიცემობას დამბლა დაეცა; გერმანიის წინააღმდეგ მეომართა კოალიციაში მოხვდენ სწორეთ ის სახელმწიფონი, რომლებ-თანაც გერმანიას ომის წინ ჰქონდა უმთავრესი აღებ-მიცემო-ბა. ამიტომ გერმანიის იმპორტს ერთხაშათ მოსწყდა 62,2% და ექსპორტს 56,2% **); და ასე დაიმსხვრა მთელი მისი აღებ-შიცემობა გარეშე ქვეყნებზე დამოკიდებული. ამას, რასაკვი-რველია, უდიდესი შედევი ჰქონდა იმის შინაურ ეკონომიურ

*.) В. Гриневич. «Народное хозяйство Германии» — Берлин, 1924 г. Стр. 74 и 126.

**) Ibid. p. 165.

ცხოვრებაზე; საკუთარ საშვალებების ამარა დარჩენილმა გერმანიამ მხოლოდ მისი მოსახლეობისთვის ჩვეულ გასაოცარ ენერგიის, დისკიპლინისა და ორგანიზაციის წყალობით გაუძლო მას თითქმის ოთხი წლის განმავლობაში.

სულ საწინააღმდეგო სურათს ეხედავთ ჩვენ ჩრდ. ამერიკის შეერთ. - შტატებში და არა იმიტომ მხოლოდ, რომ იყო ომში გვიან ჩაება (ბევრი ომის დასასრულამდისაც ნეიტრალურათ დარჩენილი ქვეყანა დიდ გასაჭირში იმყოფებოდა), არამედ იმიტომ, რომ იმის ეკონომიური ცხოვრება უმთავრესად მის საკუთარ რესურსებზე არის დამყარებული; მას არ ესაჭიროებოდა სხვა ქვეყნებიდან შემოტანა არც საკვების და არც ნედლი მასალის *). მან მშეენივრად გამოიყენა ეს მისი განსაკუთრებული მდგომარეობა, დაბოლოს მოკავშირეებსაც ეხმარებოდა; ხოლო რამდენათ ეს დახმარება აღამიანურ სოლიდარობის გრძნობებით იყო გამოშვეული, ეს მან გამოაშვარეა, როცა ეს დახმარება ოქროზე გადაახურდავა, მოკავშირეებს ვალად დააწერა და ვალის შემსუბუქების საკითხში სრულიად შეურიგებელი პოზიცია დაიჭირა დაიჭირა **).

ერთი სიტყვით, ომის დროს ყველა სახელმწიფოები, როგორც მეომარნი, ისე ნეიტრალურნი, იძულებული იყვენ თავის ეკონომიურ თავისებურებას დაყრდნობიდენ და თავის ნაციონალურ რესურსებზე დაემყარებიათ თავისი იმედები და

*) შეერთ. შტატებზე მოდის მთელი მსოფლიო მოსავლის და წარმოების: პურის—30%, სიმინდის—75%, სხვა ხორბლეულის—30%; ნახშირის—38%, ნავთის—70%. სპილენძის—54%, ტყვიის—40%, ბამბის—55%, ხე-ტყის—53%, თამბაქოსი—30% და სხვ. A. Siegfried «Les Etats-Unis d'aujourd'hui».

**) არამცთუ შეურიგებელი, არამედ უმართებულოც. ამის შესახებ ბევრია დაწერილი, ხოლო განსაკუთრებულ ყურადღების ღიოსია თვით შეერთ შტატების მოქალაქის ცნობილ ავტორის წიგნი: Frank H. Simonds «L'Amerique doit annuler les dettes», Paris, Edit. Excelsior.

პერსპექტივები. ზავის ჩამოგდებას არ გაუნელებია, სამწუხა-
როთ, ომიდან გამოყოლილი სულიერი განწყობილება და მი-
დრეკილებანი.

* *

არც ერთი ქვეყანა, ამერიკის შეერთ. შტატების და ნა-
წილობრივ იაპონიის გარდა, არ გამოსულა ომიდან ეკონო-
მიურათ მოლონიერებული; პირიქით, აუარებელი სიმდიდრე
შთანთქა ამ საშინელ ომმა ჰყელა ქვეყნებში და სიმდიდრის
აღდგენისთვის გაცხოველებულ მუშაობაში ჩაება კაცობრით-
ბა. მთელი რაიონები, განსაკუთრებით ეკროპაში, რომელიც
ომის ველს წარმოადგენდა (საფრანგეთი, ბელგია, პოლონე-
თი), მიწასთან იყო გასწორებული, მრავალი ქალაქი
და სოფელი ხელახლად იყო გასაშენებელი; მრეწველობა, ომის
საჭიროებისთვის გადაკეთებული, ახლა მშეიდობიან დროის-
თვის საჭირო პირობებშე ხელახლად გადმოკეთებას მოით-
ხოვდა; ყოველგან საქონლის დიდი ნაკლებობა იყო... ერთი სი-
ტყვით, დიდი სამუშაო იყო ყოველგან და ყოველ დარგში;
ყველა ქვეყნები აუარებელ საქონელს ამზადებდა.

არავინ კითხულობდა, საჭირო იყო თუ არა ეკონომიურ
თვალთაზრისით და მსოფლიო ბაზრების მოთხოვნილების მი-
ხედვით ყოველგვარ საქონლის ასე გაძლიერებული წარმოება,
ეყოლებოდა თუ არა ამოდენ საქონელს მუდამ საკმარისი მყი-
დველი. მსოფლიო ეკონომიკის ღერძათ აღიარებული „ბუნე-
ბრივი კანონი“—მთელი სამყაროს მასშტაბით „შრომის განა-
წილების“—ვეღარ იჭერდა ამ სწრაფად აგორებულ ბორბალს
სახალხო მეურნეობისას; მსოფლიო კონტროლი არ იყო, თა-
ვისუფლად შეკრებილ მსოფლიო კონგრესებს და ნაციათა ლი-
გას აკლდა იძულებითი ძალა, რომ „შრომა“ მართლაც გაენა-
წილებია და ყველას ის ეკეთებია, რაც ქვეყანას აკლდა და
ერთის ღანაკლისი მეორის ნამეტნავისგან შეევსო; გარეთ ყვე-

ლა ერთ მსოფლიო ინტერესების ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო შინ — სწორათ თუ შემცდარათ გაგებულ — ეროვნულ ინტერესების მიხედვით და დამოუკიდებლათ მოქმედებდა. თუ რამე ძალაში დარჩა ლიბერალურ ეკონომიკის „ბუნებრივი კანონებებიდან“, ეს იყო ის ძირითადი წესი თანამადროვე წარმოების, რომ მოგებით გატაცებული „კოსმოპოლიტები“ რაც შეიძლებოდა მეტი საქონლის დამზადებას განაგრძობდნენ ერთი-მეორის კონკურენციით ზღვაში ჩასახრჩობათ, და განაგრძობდნენ მანამდის, სანამ თითოეული იმათვან და ყველა ერთად განსაცდელის კარს არ მიადგენ.

გაუგონარ ეკონომიურ კრიზისმა თავი იჩინა და ეს მეორე დიდი გამოცდა იყო ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში ლიბერალურ და „კოსმოპოლიტურ“ ეკონომიკის მიმართულების, რომელშიდაც იგი სასტიკათ ჩაიჭრა. ყოველგვარ ცდას მდგომარეობის მსოფლიო მასშტაბით გამოსწორებისთვის აქაც წმინდა თეორეტიული ხასიათი დაურჩა: ერთის მიერ მეორის გასაჭირის გაზიარების მაგიერ, დაგროვილ საქონლის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადანაწილების მაგიერ, — ყველა შინ ჩაიკეტა და საზღვარზე უსაშველო საბაჟო კედლები ოლმართა. ცხადია, ამ გზით ვერ მოისპობა ახლანდელი ეკონომიური კრიზისი, მაგრამ ცხადია ისიც, რომ ალეირ-ახსნილი თავისუფალი აღებ-მიცემობაც ძველებური ამბიციით ველარ აღსდგება; რეაქცია ამ უკანასკნელის წინა-აღმდეგ ხანდახან ძალიან დამახინჯებული სახესაც იღებს, იგი სცილდება ნაციონალურ მიმართულებას პოლიტიკურ ეკონომიკაში და ეიჭრო ნაციონალიზმის სახეს იღებს; ასე, ზოგი შემდგარი ამ გზაზე სრულ ავტარკიას მიადგა, ე. ი. ისინი გაიტაცა იდეამ თავის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დანარჩენ ქვეყნებიდან დამოუკიდებლათ მოწყობისა. ავტარკია დღევანდელ პირობებში უკვე უკიდურესი გამოძანილია იმ ტენდენციების, რომელსაც ჩვენ ზევით შევეხეთ; იგა სამეცნიერო პროგრესის წინააღმდეგია და უწინარეს ყოვლისა.

მავნებელი იქნებოდა თვით იმ ქვეყნის სახალხო მეურნეობის-
 თეის, რომელიც სერიოზულათ იფიქრებდა ავტარების ცხოვ-
 რებაში გატარებას. განა უბედურება არ იქნებოდა აღკრძალ-
 ვა ისეთ საქონლის შემოტანის, რაც ქვეყანას აკლია, და ისეთ
 საქონლის გატანის, რაც შინაურ მოთხოვნილებას აღემატება?

ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა არევა ავტარების ცნების
 შინაურ, ნაციონალურ, ეკონომიკის გაძლიერების ტენდენციებ-
 თან, რომელსაც ახლა ჩვენ ვხედავთ ცხოვრებაში. ცდა ერთის.
 რათა განავითაროს ყველა თავისი საწარმოვო ძალები, განა-
 ვითაროს მრეწველობა ისე, როგორც სოფლის მეურნეობა.
 მოაწყოს სოფლის ცხოვრება ისე, როგორც ქალაქის, თეითონ
 დაამუშაოს თავის ქვეყნის ნედლი მასალა, თავის საკუთარ ქა-
 რხნებში და სხვ. — ეს შეიძლება ეწინააღმდეგება იმ კოსმო-
 პოლიტურ შეხედულებას, მთელი სამყარო „ერთ ოჯახთ“
 რომ ჰქონდა წარმოდგენილი და იმის „საერთო მეურნეობა“
 შრომის განაწილებაზე დამყარებული, ხოლო სრულიად არ
 ეწინააღმდეგება საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობის
 ნორმალურათ და სამართლიან პირობებში განვითარებას.

ამ გზით წავიდა უკანასკნელ დროის ეკონომიური ცხოვ-
 რება და ასეთ შედეგებს მიადგა ის პროგრესი, ამ უკანასკნელ
 საუკუნის განმავლობაში რომ მოხდა და რომლის ხელის შე-
 მწყობი ამ ხნის განმავლობაში უსათუოდ იყო თვით ეკონო-
 მიური ლიბერალიზმიც.

„შრომის განაწილება“ წარმოებაში? — კი. „შრომის განა-
 წილება“ სახოგადოებაში? — კი. ხოლო „შრომის განაწილება“
 ისე, რომ ერთი ქვეყანა მუდამ მეორე ქვეყნისათვის ნედლი მა-
 სალის მიმწოდებლათ დარჩენილიყო და ამ უკანასკნელს აბ
 ნედლი მასალის გადამუშავებაზე (და შემდეგ განაწილებაზე)

მუდამ ესარგებლნა საკუთარ სიმდიდრის შესაძენათ და უფრო მეტად; ვინემ ნედლი მასალის მიმწოდებელს? — არა; „შრომის განაწილება“ ისე, რომ სოფლის მეურნეობის ქვეყნები საუკუნოთ ასეთად დარჩენილიყვენ და ქალამნებში ევლოთ, როცა ინდუსტრიალური ქვეყნები ფარჩაში ეხვეოდენ? — არა, ასე „შრომის განაწილება“, შეიძლება ფრიად სასიამოვნო დიდ ინდუსტრიალურ სახელმწიფო ორგანიზაციის, სამუდამო ვერ იქნებოდა. ამერიკელები ამბობენ ხოლმე: ვისაც ბამბა მოყავს, იგი იგებს ერთს; ვინც იმას რთავს (ძაფათ იღებს), იგებს ორს; ვინც იმას ქსოვს, იგებს სამსო. და თუ ჩამორჩენილი ერები მოახერხებენ — გააკეთონ ერთიც, მეორეც და მესამეც. რომ მეტი მოიგონ, ნუთუ ეს არანორმალური იქნება?

კულტურა საზოგადოთ, ტეხნიკური გაუმჯობესებანი კურძოთ, ჩიტი არ იყო, რომ განვითარების გზაზე წინეთ შემდგარ და ძლიერ სახელმწიფოებს იგი გალიაში ჩაემწყვდიათ და დანარჩენ ქვეყნებისთვის არ ეჩვენებიათ. კულტურის ზრდასთან და ცოდნის გავრცელებასთან ერთად ისტორიის განმავლობაში იცვლებოდა ის საფუძველი, რომელსაც მე-18 და მე-19 საუკუნეებში ემყარებოდა შრომის მსოფლიო მასშტაბით განაწილების იდეა. ეს საფუძველი იყო: ა) ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ქვეყნებში და ბ) სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ღონე, ესე იგი: რაც შესაძლებელია იპოვოს და გააკეთოს ადამიანის ერთ ადგილის, იმას იგი მეორე ადგილის ვერ იპოვის და ვერ გააკეთებს, და რაც შესაძლებელია შექმნას და გააკეთოს ერთმა, კულტურულმა, საზოგადოებამ, იმას მეორე, საზოგადოება უკულტურო, ვერ გააკეთებს.

ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ ეს გარემოება ახლაც ძალაში რჩება, რომ ბუნებას, ჰავას, ადამიანის კულტურას უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაზე; ხოლო არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ცოდნის და ტეხნი-

კის გაუმჯობესებამ უკვე დიდი ცელილებები შეიტანა და შეაქვს ამ მხრივ საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში.

ნიადაგის ხელოვნურ სასუქით გაუმჯობესება, მიწის მო-
რწყვა, ჭაობების ამოშრობა, ქვა-ნახშირის ჯერ ნავთით შეც-
ვლა და შემდევ ორივესი თეთრი ნახშირით (წყლის ძალა), აბ-
რეშუმის მაგიერ ხელოვნურ აბრეშუმის დამუშავება, მცენა-
რეულ საღებავების მაგიერ ქიმიურ საღებავების გამოყენება,
ვერცხლის ბევრ საგანში ალიუმინით შეცვლა და სხვ. და სხვ.
— ყველა ამან ხელი შეუწყო მრავალი ქვეყნის ემანისპაციას
გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულებაში.

ხოლო რაც უმთავრესია, ეს ის არის, რომ ჩამორჩენილ
ქვეყნებში თანდათან ფეხს იკიდებს განათლება, თანამედროვე
ტეხნიკა, ვითარდება მრეწველობა, მრავლდებიან სატრანსპორ-
ტო საშვალებანი ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში; აქაც გაყავთ
არხები და ტონელები, მჭიდროებენ მოსახლეობას ერთი კუთ-
ხიდან მეორეში გადასახლებით (შინაური ემიგრაცია) და გზას
უკაფავენ შინაურ აღებ-მიცემობას. რაც თვითონ არ შეუძლიათ
შექმნან, იგი სხვა ქვეყნიდან შემოაქვთ, ხოლო უმეტეს შემთ-
ხვევაში შემოაქვთ ისეთი საქონელი, რაც ადგილობრივ მრეწ-
ველობის განვითარებას ხელს შეუწყობს (მაგ., ხელსაწყო, ნა-
ხევარ-ფაბრიკატები, ხშირად ქარხნების მთელი მოწყობილობა
და სხვ.). არამცულ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, კოლო-
ნიები მეტსა და მეტს ეკონომიკურათ დამოუკიდებელ მდგომა-
რეობაში დგებიან მეტროპოლიის მიმართ (ამის საუკეთესო
მაგალითს იძლევიან იმავე ინგლისის კოლონიები). თანდათან
სწორდება ხალხთა კულტურულ განვითარების დონე და ჩა-
მორჩენილ, გაუნათლებელ ერისთვის თუ საკუთარი ინდუს-
ტრიის, ბანკის, სავაჭრო კონტორების მოწყობა გუშინ კიდევ
მოუხერხებელი იყო, დღეს შესაძლებელი ხდება.

არის ყოველივე ეს პროგრესიული მოვლენა თუ არა?
ორი აზრი ამის შესახებ შეუძლებელია. და აი ამნაირათ, პრო-

გრესს და არა სუბიეკტიურ განზრახვებს, ისტორიის აუცილებელ მსვლელობას და არა კაპჩიზს აღამიანისას მიყავს ერები ეკონომიურ განთავისუფლებისაკენ სხვისგან დამოკიდებულებიდან. კოდნა, ტეხნიკის განვითარება, კულტურა საფუძველს უყრის ერის ეკონომიურ ემანისპაციას, მის ეკონომიურ დამთუკიდებლობას, არა აბსოლიუტურს რასაკვირველია *).

არის სხვა ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც. 'აზოვადოების ეკონომიური ცხოვრება ბუნების, ტეხნიკის და ადამიანის მექანიკურ ურთიერთობით არ განისაზღვრება; იმის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს აგრედევე თვით საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია და მის მიერ დაწესებული იურიდიული ნორმები. სახელმწიფო კანონმდებლობა, შინ სავებით სუვერენული, ჰქმის ეროვნულ საზღვრებში ისეთ პირობებს, რომელიც აახლოებენ სახელმწიფოს ერთ კუთხეს მეორესთან, სოფელს ქალაქთან, ერთნაირ პირობებში აყენებს ყველას, ხელს უწყობს მოქალაქეთა ურთიერთობას, მისვლამოსვლას, სახალხო განათლებას და ჯანმრთელობას. საზოგადოებრივი ცხოვრების ზრდა და სირთულე მოითხოვს სახელმწიფოსაგან ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევას: а) პირდაპირ — სხვადასხვა გვარ ეკონომიურ საქმიანობის კოორდინაციით მთელ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აგრარულ, სამრეწველო, საბანკო და სხვ. პოლიტიკით და ხშირად, ახლა უფრო ვინერ წინეთ, მრავალგვარ სახელმწიფო წარმოების მოწყობით; б) არაპირდაპირ — გადასახადების მოსახლეობაზე გაწერით, ამ გადასახადების წესით და რაოდენობით, ხარჯების ხასიათით, საბაზო და სატრანსპორტო პოლიტიკით და სხვ. ყოველივე ამაში სახელმწიფო სუვერენულია, დამოკიდებელი, და ეს დამოუკიდებელი მისი პოლიტიკა თავის განსაკუთრებულ ბე-

*) იხ. ამის შესახებ მოკლე და ფრიად საყურადღებო ნარკეევი რუსის ეკონომისტის В. Войтинекій — «Міровое хозяйство или автаркія?». «Соврем. Записки» № LIV, პარიზი, 1934.

ჭედს ასვამს სახალხო მეურნეობას, ხან კარგს და ხან, შეიძლება, მავნებელსაც; ხოლო ყოველთვის განსაკუთრებულს, თავისებურს, ეროვნულს.

დროთა განმავლობაში ჰექტონი პოლიტიკური რეეიმი, შემუშავებული ტრადიცია და კანონმდებლობა ერთი მეორესთან აახლოებს ფსიხოლოგიურადაც ერთ „ჭერს ქვეშ“ მყოფ საზოგადოების წევრებს, აძლიერებს თუ ასუსტებს მათ ენერგიას და ეს ყოველივე აგრედვე აღიძევდება მათ ეკონომიურ საქმიანობაზე.

ამნაირათ, ერთის მხრივ — ბუნებასთან და მეორე მხრით — შინაურ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან დაკავშირებული, თავისებური პირობები მოქმედებენ ამ ერთნაირ პირობებში მყოფ მოსახლეობაზე, მთელ ერზე, აერთიანებენ მის ინტერესებს და ჰექტონიან მისგან ერთ ეკონომიურ ორგანიზმს, განკერძოებულს ეკონომიურათ ისე. როგორც პოლიტიკურათ, სხვა ერებისაგან. და რამდენათ სახელმწიფოს როლი ეკონომიურ ცხოვრებაში იზრდება, რამდენათ სახელმწიფო ხელის - უფლების ჩარევა ეკონომიურ საქმიანობაში ძლიერდება, — და რომ ძლიერდება, ამას ახლა ვერავინ ვარყოფს, — იმდენათ უფრო ეროვნულ ორგანიზმის ეკონომიური თავისებურება, სხვისგან განსხვავება, მტკიცდება და აშკარავდება.

ამის ცოცხალ მაგალითებს ჩვენ დღეს ბევრს ვხედავთ და იმათვან ერთი ის არის, საცეკვეთებოთ რომ გამოხატავს ეკონომიურ ცხოვრების მრავალ ფაქტორთა ზეგავლენას (სამეურნეო, პოლიტიკურ, ფინანსიურ და სხვ.), ესაა: საქონლის ფასები. მაშინ როცა შინაური ფასები, სახელმწიფოს შიგნით, სხვადასხვა კუთხის მიხედვით ნაკლებ განსხვავებას წარმოადგენს, ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იმავე საქონლის ფასი და საერთოდ საცხოვრებელი ფასები ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სახელმწიფოში ძალიან განსხვავდება. ასე, თუ საფუძვლათ ავიღებთ საქონლის საშუალო ფასებს 1901 - 1910 წლის განმავ-

ლობაში (100), ჩეენ დავინახავთ, რომ მსოფლიოში ეს საბაზ-
რო ფასები უდრიდა:

	1857 წ.	1881 წ.
ჩრდ. ამ. შეერთ. შტატებში	110	104
ინგლისში	143	116
საფრანგეთში	152	—
იტალიაში	—	125.

1871 წ. და 1873 წ. საკვების ინდექსი ინგლისში 141-დან 154-მდის ავიდა, საფრანგეთში, წინააღმდეგ, 144-დან 133-მდის ჩამოვიდა; 1931 წ. საბითუმო ფასები უდრიდა (ოქროთი): ისპანიაში—86, პოლანდიაში—97, შვეიცარიაში—105, იაპონიაში—120 *).

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში (1930 - 1934 წ.წ.) ჩეენ ფასების შემდეგ ცვალებადობას ვხედავთ სხვადასხვა ქვეყანაში **):

საბითუმო ფაქტობაში. ნაჭრობით ვაჭრობაში:

1930 წ.	1934 წ.	1930 წ.	1933 წ.
(იანვ.-თებ.)		(დეკემ.)	
საფრანგეთი	112	81	125
გერმანია	125	96	143
იტალია	112	76	142
ბელგია	107	70	130
შვეიცარია	126	92	152
ინგლისი	120	69	143
შეერთ. შტატები	124	65	144

*) Prof. L. Brocard « Les Conditions générales de l'Activité Economique », Paris, 1934, p. 512.

**) Confeder. Générale de la Production Française « Annuaire 1934 », p. XXXVI.

კიდევ უფრო დამახასიათებელი ის არის, რომ ფასების განსხვავებას ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა სახელმწიფო ორთი მეორესთან სულ ახლობელ ნაწილებში, თვით საზღვართან — იქ, სადაც მხოლოდ საბაჟოს ნიშნები მეტყველებენ სახელმწიფო ტერიტორიების დანაწილებას. აი, მაგალითად, ფასები ქ. ლილ-ში (საფრანგეთის უახლობელესი ქალაქი ჩრდ. ბელგიასთან) და ჩრდ. ბელგიაში *):

ცხოვრების ფასი (საფუძველი 100—1914 წ.):

	ივლ. 1930 წ.	თებერ. 1934 წ.
ბელგიაში	860	688
ქ. ლილ-ში	702	609

სამუშაო ქირა (ფრანგ. ფრანკებში):

ბელგიაში	28 —	20,30
ქ. ლილ-ში	28,40	24,80

რისი მაჩვენებელია ასეთი მოვლენები, თუ არა იმის, რომ სახელმწიფოს შივნით, მრავალ მოვლენათა ზეგავლენის გამო, ეკონომიურ ცხოვრებას თავისი, სხვებისგან განკერძოებული, ხასიათი აქვს?

ფასების ეს სხვადასხვაობა მაჩვენებელია აგრედვე იმის რომ ვაჭრობა-მრეწველობა იძულებული ხდება უმთავრესად შინაურ ბაზარს დაეყრდნოს, როგორც ნედლი მასალის შესაძენათ, ისე საქონლის გასყიდათ (ამას, სხვათაშორის ხელს უწყობენ ზოგი სხვა გარემოებანიც, როგორიცაა, მაგალითად, საგარეო აღებ-მიცემობაში დაწესება „კონტინგენტების“, მუშა-ხელის თავისუფალი ემიგრაცია — იმიგრაციის შეზღუდვა, ფულის კურსის ცვალებადობა და სხვ.). ამნაირათ, კარგია ეს თუ ცუდი, ორიენტაცია მსოფლიო პაზრებზე და საქვეყნიერო მეურნეობაზე თანდათან იკუმშება ეროვნულ საზღვრებში; აქ

*.) Ibid. p. XXXVII.

ისკვენება ეროვნულ მეურნეობის უმთავრესი ძაფები და ფინანსურულ მეურნეობის უმთავრესი ძაფები და ფინანსურულ მეურნეობის უმთავრესი ძაფები. ამიტომ უკველმოებელია, იგი თუ მომხმარებელი, სოფლის მეურნეა იგი, თუ მრეწველი, ერთის აზრით არის გატაცებული: დაიცვას საფუძველი შინაურ, ეროვნულ მეურნეობის და იგი არ დაიჩაროს გარეშე ქვეყნების კონკურენციით *). ძველი პოლიტიკა, რომ ხალხის კეთილდღეობის საფუძველი არის ქვეყნებს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლა, საგარეო აღებ-მიცემობა, ისტორიულ სინამდვილემ ბოლომდის არ გაამართლა; იგი ისტორიამ მწარმოებელ ძალთა განვითარების და შინაურ მოთხოვნილების ზრდის უპირატესობის გზაზე გადმოიყვანა.

დიდი ქვეყნები, მსოფლიო მოთხოვნილების ანგარიშით რომ ხელმძღვანელობდენ თავის ეკონომიურ საქმიანობაში. დღეს იძულებული არიან თვალი გაუსწორონ იმ სინამდვილეს, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც შინაური ბაზარი არის უმთავრესი საფუძველი ეკონომიურ განვითარების. ასე, თვით დიდი ბრიტანეთი, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს საერთაშორისო აღებ-მიცემობაში, საკუთარ-შინაურ ბაზარზე ყიდის თავის ნაწარმოების 75 პროც., საფრანგეთი—76 პროც., იაპონია—79 პროც., იტალია—79 პროც., გერმანია—80 პროც., შეერთ. შტატები—93 პროც., შვეიცარია—61 პროც., პოლანდია—66 პროც. და სხვ. **)

ამნაირათ, თანამედროვე ერი, სახელმწიფო, არ არის მხოლოდ პოლიტიკური ცნება, არამედ იგი წარმოადგენს განკურძო-

*) ამის საუკეთესო მაგალითს, სხვათა შორის, იძლევა ის გარემოებაც, რომ ხშირად ორგანიზაციები მუშათა კლასის, საერთაშორისო სოლიდარობის იდეიის უდიდეს მატარებლის, მხარს უჭერენ ლონისძიებათ უცხო მუშების იმიგრაციის წინააღმდეგ და სხვ.

**) Dresdner Bank « Les Forces Economiques du Monde », Berlin, 1930.

ებულ ეკონომიურ ორგანიზმების, დაყრდნობილს საკუთარ მწარმოებელ ძალთა ყოველმხრივ განვითარებაზე და უმთავრესად თავის საკუთარ - შინაურ ბაზარზე. ზრუნვა ყველა იმ ფაქტორების შესარჩენად, შესაქმნელად და განსავითარებლად, რომელიც ხელს უწყობენ ამას, სახელმწიფოს ზრუნვის უმთავრეს საგანს წარმოადგენს: დაცვა ტერიტორიის, ზრუნვა მოსახლეობის განათლებაზე და ჯანმრთელობაზე, დროის შესაფერ ეკონომიურ საქმიანობის ფორმების გამონახვაზე, ეროვნულ წარმოების ხელის შეწყობაზე, მიმოსვლის გაადვილებაზე და სხვ. ყოველივე ეს თავის მხრივ ჰქმის სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირ პირობებს ეკონომიურ საქმიანობისთვის და ერთი ერის ეკონომიურ ცხოვრებას ანსხვავებს მეორე ერის ცხოვრებისაგან.

* *

ასეთია ფაქტიური მდგომარეობა და ამ ფაქტიურ მდგომარეობასთან შეთვისებულ ეკონომიურ პოლიტიკას ვხედავთ დღეს სხვადასხვა ქვეყნებში. ტყვილა კი არ ამბობენ ხოლმე — ყველა მთავრობის კაცი, ყველა მოსაქმე (hommes d'affaires) ცოტათ თუ ბევრათ „მეკრანტილისტიაო“. სახალხო მეურნეობასთან ახლო მიდგომა, იმის სიღრმეში ჩახედვა, იმის მამოძრავებელ ძალების შესწავლა და იმის გაძლილის პასუხისმგების გრძნობა, იმას ეუბნება პოლიტიკის კაცებს, რომ მხოლოდ საკუთარ ეროვნულ მეურნეობის გამაგრება და განვითარება შესაძლებლათ ხდის, რათა ერმა მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრების განვითარებით ისარგებლოს ისე, რომ შიგ არ გაიჭირობოს. ყველა პოლიტიკური პარტიები უწევენ ამას ანგარიშს გარდა ანარქისტებისა, რომელნიც საერთოდ არ სცნობენ სახელმწიფოს, და კომუნისტებისა, რომელთა სახელმწიფოს საზღვრავს არა ტერიტორია, არა ერი, არამედ „ჩაქუჩი და ნამგალი“. ხოლო, რადგან სხვა პარტიები უფრო ერთვნულ ფარგ-

ლებში მოქმედებენ, იქვის ქვეშ ხშირად სოციალისტურ პარტიას აყენებენ, რადგან იგი არის პარტია ინტერნაციონალური.

ღირს ამ საკითხსაც გულისყური ვათხოვოთ; ხოლო ამისთვის საჭიროა, რათა ის პარტიული ჟინი და ოლტყინება, ყველა პარტიებს რომ სოციალისტურ პარტიას უპირდაპირებს (განსაკუთრებით ეკროპაში, სადაც ბრძოლა გამწვავდა სოციალისტებსა და სხვა პარტიებს შორის სახელმწიფო ხელისუფლების ხელში აღებისთვის), დავივიწყოთ და საკითხს იდეოლოგიურათ შევეხოთ. უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ არიან სოციალისტები და სოციალისტები : ა) არიან სოციალისტები, რომელთაც ძირი აქვთ ხალხში, ხალხის წიაღში ტრა-ალებენ, პრაკტიკულ საქმიანობას არ გაუჩინან და პასუხის-გებასაც კისრულობენ; და ბ) არიან სოციალისტები, რომელნიც დოგმას არ სცილდებიან, მხოლოდ მოქადაგის როლით ქმაყოფილდებიან და პრაკტიკულ საქმიანობას და პასუხისგებას ერიდებიან; ესენი მოწყვეტილი არიან ხალხს, ერს, და ამიტომ უფრო კოსმოპოლიტები არიან, ვინემ ინტერნაციონალისტები.

მეცნიერები უფრო მიუკერძებელნი არიან, ვინემ პოლიტიკის ხალხი; ამიტომ ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველი კარგს იზამს. თუ ფრანგის მეცნიერის პროფ. Brocard-ის ნაწერებს ამ საგნის შესახებ გაეცნობა : Principes d'Economie Nationale et Internationale (სამ ტომათ) და Les Conditions Générales de l'Activité Economique (Paris, 1934). ამ წიგნებში მეცნიერები დაინახავს, რომ ავტორი არ არის ძოყვრულათ განწყობილი სოციალიზმისადმი, მაგრამ არ მაღავს იმ თვისებებს, რომელიც სოციალიზმს თან ახლავს. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მის აზრებს :

იდეა დემოკრატიზმის და იდეა სოციალიზმის სრულიათაც არ ეწინააღმდეგება ეროვნულ ეკონომიკის იდეას: „როგორც ეროვნულ ეკონომიკას, ამბობს იგი სხვათა შორის, ისე სახელმწიფო სოციალიზმს და სოციალიზმს ინტერნაციონალურს არ

შეუძლია განვითარება თუ არა სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელიც არის განსახიერება ეროვნულ ეკონომიის“.

„ეროვნული მთლიანობა, ამბობდა უორესი, არის პირობა წარმოების მთლიანობის და საკუთრების, ამავე დროს იგი პირობაა თვით სოციალიზმის ძლიერების (არსების)... სამშობლო აუცილებელია სოციალიზმისთვის, იმის გარეშე მას არაფერი შეუძლია; თვით პროლეტარიატის მოძრაობა, რომელიც უფრო ფართეა ერზე, იმაზე ზრუნვით, რომ დაუსრულებელ სივრცეში არ დაიკარგოს, საჭიროებს ერში იპოვოს თავის დასაყრდნობი წერტილი („L'Armée Nouvelle“ გვ. 178“) *).

ბელგიელი სოციალისტი H. de Man და მისი მიმდევარი ფრანგი A. Philip აშეარად აღიარებენ ნაციონალურ ეკონომიას და ინტერნაციონალურ ანტაგონიზმს: „გადამწყვეტი ფაქტორი, მეოცე საუკუნიდან, არის ვრცელია ეროვნულ ერთანობის, რომელიც დაფუძნებულია ხელშესახებ გამოცდილებაზე (A. Philip: H. de Man et l'œuvre doctrinale du Socialisme, გვ. 104 - 110) **).

ფრანგ სოციალისტების კონგრესზე, ივლისში 1933 წ., ბ. Marquet-მ განაცხადა: „ყოველგან ტენდენციაა ეროვნულ ნიადაგზე მოქმედების. ხალხები თავის წრეში იკუმშებიან. თუ ჩვენ გვინდა არ დავკარგოთ ჩვენი გავლენა, მათ უნდა გავყეთ“-ო ***).

ჩვენში. ჯერ კიდევ საქართვ. სოც.-დემ. პარტიის აღორძინების განთიადზე ამ პარტიის იდეოლოგი ნ. ქორდანია ხშირად სწერდა და ხშირად უბრუნდებოდა იმ საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ განვითარებას ერის ცხოვრებაზე და,

*) L. Brocard « Principes... ». T. II, p. 643.

**) „ « Les Conditions Générales de l'Activité Economique », p. 12.

***) „ ibid. p. 13.

წინაუქმო, ერის განვითარებას ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისთვის. თავის ცნობილ წერილში „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“ (1894 წ.) იგი ამბობს: „თავისუფლება ერისა, განვითარება თანახმად მისი განსაკუთრებულ პირობებისა — აი რა დასკვნას მიადგა ისტორიული მიმდინარეობა... ერი გაერთიანებული ნივთიერათ — გაერთიანებულია იდეებითაც. ყველას სურს განვითაროს ეროვნული შრომა, გააღმინიეროს ერი. სუსტი ერის საქონელი ხშირად იჩავრება მსოფლიო ბაზარზე. რაც უფრო გაძლიერებულია ხალხში აღებ-მიცემობა, რაც უფრო მეტი საქონელი გააქვთ საზღვარ-გარეთ, რაც უფრო სასარგებლოა საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულება და სხვ., მით მეტი მოთხოვნილებაა დასამუშავებელ მასალისა და მუშათა ხელისა. ამ შემთხვევაში მეტათ ფასობს როგორც გლეხის ნამუშევარი, ისე მუშის დღიური ფასი. ამნაირათ ერის სიდიადეში დაინტერესებულია, როგორც ბურუუა-ვაჭარი, ისე გლეხი-მუშა. აქ ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულათ ეწევა, როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ისე უბრალო სოფლელი. ნივთიერმა საჭიროებამ ისე გადააჯაჭვა ერის ყველა წევრი ერთმანეთან; რომ ამის დარღვევა თვით ერის სიკედილს მოასწავებს. აქ ერთობა ნაყოფია ნივთიერი განვითარებისა და სრულიად დამყარებულია ცხოვრებაზე... თუ პოლიტიკურ-ეკონომიური პირობანი არ აჩვევენ ერთათ ცხოვრებას, თუ ცხოვრება და კულტურა არ აერთებს და არ აკავშირებს ადამიანთა ჯგუფს ერთი მეორესთან, ისე არავითარ გარემოებას არ ძალუდს ისტორიულ მღელვარებაში დაქსაქსული ერი ერთ უღელში შეაბას, ცხოვრების ჭაპანი ერთათ გააწევინოს“ *).

„ეკონომიურ ასპარეზზე, ამბობს იგი სხვა ადგილას, დღეს მარტონი აღარა ვართ; ჩვენთან ერთად მოქმედობს სხვადასხვა ტომის ხალხი. ესენი ერთსა და იმავე ალაგის ერთი მეორეს

*) ნ. ჟორდანიას ნაწერები ტ. I, გვ. 7 - 13.

ეცილებიან, თითოეული მიიღოვის საკუთარ ინტერესებისკენ, ხოლო ყველანი ქართველების ზურგზე გადადიან. მათ შორის ბრძოლაა, თუ რომელი უფრო გაბატონდება ადგილობრივ ხალხზედო. ერი ეკონომიკურათ განვითარებული, განვითარებულია კულტურულადაც. ცხადია, ქართველობის კითხვა, ეს მისი ეკონომიკური კითხვაა“ *).

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საჭირო იყოს ქართულ სოციალ შიმდინარების მეორე ფრთის (სოციალ-ფედერალისტთა პარტია) იდეოლოგიის ამ მხრივ გაშუქება; ეროვნულ მომენტს ამ პარტიის იდეოლოგიაში რომ პირველი ადგილი ეჭირა, ამას არავინ შედავებია.

ამნაირათ, ეროვნული ეკონომისის იდეა, როგორც ვსთქვით, სრულებით არ ეწინააღმდეგება სოციალისტურ იდეოლოგიას. ყველა პოლიტიკური პარტია, აგრარიების პარტიაა იგი, ბურჯუაზიული თუ სოციალისტური, რამდენათ სახელმწიფოებრივ წიაღაგზე დგას იგი, სახელმწიფო—ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკის გზას ვერ აცდება; სხვადასხვა მიმართულებით და მეთოდით მუშაობენ ისინი, ხშირად სხვადასხვა მიზანიც აქვთ, ხოლო მათი მოქმედება უპირველეს ყოვლისა ეროვნულ ჩარჩოებით არის შემოფარგლული.

* *

ასეთია ახლა ტენდენცია სახალხო მეურნეობის განვითარების. მაგრამ, ამავე დროს არ ასებობს ქვეყანაზე ერი, რომ იგი ცოტათ თუ ბევრათ სხვა ერებზე არ იყოს ეკონომიკურათ გადამული.

დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრების სირთულე და მო-

*) ნ. ჟორდანიას ნაწერები ტ. II, გვ. 178 - 179 (თ. რ. ერი-სთავის იუბილეს გამო).

თხოვნილებათა მეტი და მეტი ზრდა შეუძლებელს ხდის, რამდენათაც არ უნდა განავითაროს ერმა თავისი საკუთარი მეურნეობა, დააკმაყოფილოს მთელი თვისი მოსახლეობის კოველგვარი მოთხოვნილებანი მხოლოდ საკუთარ საშვალებით: ამის-თვის კველას არც ბუნება უწყობს ხელს და არც დაგროვილი სიმღიდრე (კაპიტალი). ერთია—ზრუნვა საკუთარ რესურსებით საკუთარ მოთხოვნილებათა დააკმაყოფილებისთვის (დადგებითი მოვლენა), ხოლო მეორეა—ასეთ მიზნის სავსებით მიღწევა. ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველბთ, თუ რა იქნება მომავალში, რას მისცემს კაცობრიობას აღამიანის გენია, კოდნა, ტეხნიკა, ქიმია და სხვ.; ჯერ-ჯერობით კი ჩვენ იმას ვხედავთ, რომ თუმცა პროგრესი დიდია, კველა ქვეყანას მაინც აკლია რამე საკუთარი. ერთი ქვეყნის დანაკლისი სტიმულს აძლევს სხვა ქვეყნებს ეცადონ, რათა მათ დააკმაყოფილონ ეს დანაკლისი; თავის მხრივ ეს ქვეყნები თვითონ იქსებენ სხვებისგან თავის საკუთარ დანაკლისს. ასე ისახება, სრულიად ბუნებრივთ, თესლი საერთაშორისო თანამშრომლობის და ისკვენება ძაფები სხვადასხვა ერების ინტერესთა დაახლოების.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ დიდ ნაწილს საკუთარ ნაწარმოებისას ქვეყნების უმრავლესობა თვითონ ხარჯავს, მაგრამ უფრო მცირე ნაწილი ხომ მაინც გააქვს უცხოეთში და ეს ნაწილი საშუალოდ $20 - 30\%$ ეროვნულ ნაწარმოებისას შეადგენს; დაახლოვებით, ამდენსავე ყიდულობს სახელმწიფოთა უმრავლესობა საგარეო ბაზარზე საკუთარ მოთხოვნილების-თვის. სხვადასხვა სახელმწიფოებს *):

*) Dresdner Bank « Les Forces Economiques du Monde »,
 დამატებითი ცხრილი.

გაუყიდიათ უცხ - ში
 მთელი ეროვნულ
 ნაწარმოების
 პროცენტი :

ბელგიას	51	51
დანიას	51	50
გერმანიას	20	22
საფრანგეთს	24	24
დიდ - ბრიტანეთის	25	32
ჰოლანდიას	34	37
იტალიას	21	23
შვეიცარიას	39	40
იაპონიას	21	—
შეერთ. შტატებს	7	6

როგორც ვხედავთ, ყველა ქვეყანა მეტათ თუ ნაკლებათ
 დაინტერესებულია საგარეო ბაზრებით და მონაწილეა საქონ-
 ლის ქვეყნებს შორის განაწილების. საერთაშორისო ეკონომი-
 ური ურთიერთობა კიდევ უფრო მჭიდრო ხასიათს იღებს
 კაპიტალის გადანაწილებით, რადგან კაპიტალი საქონელზე
 უფრო მოძრავია.

ჯერ კიდევ ომის წინ, 1914 წელს, გასესხებული პქონდათ
 უცხოეთში : დიდ - ბრიტანეთს — 18 მილიარდი დოლარი (ოქ-
 როს), საფრანგეთს — 8.700 მილ. დოლ., გერმანიას — 5.600 მილ.
 დოლ. და სხვ. საზოგადოთ, კაპიტალი მდიდარ ქვეყნების მა-
 დის უცხო ქვეყნებში და, წინააღმდეგ, მთელ რიგ ქვეყნების
 ნაციონალურ ქონებაში პასივს (ვალს) დიდი ადგილი უჭირავს.
 1930 წ. გამოქვეყნებულ, ქვემოთ მოყვანილ ცნობებიდან, ჩვენ
 დავინახავთ, თუ სხვადასხვა ქვეყნის მთელ ნაციონალურ ქო-
 ნებიდან, რამდენი ყოფილა უცხოეთში გატანილი (აკტივი) და,
 წინააღმდეგ, რამდენი ნასესხები უცხოეთიდან ვალი (პასივი)

შედის ზოგიერთ ქვეყნის ქონებაში (მილიარდ გერმან. მარკებით) *):

მთელი ნაციონალ.	აქციან:	აქციან	% მთელ
ქონება:	ქვეყ-ში:	ეთში:	ქონების:
შ. შტატების	1.760-1.765	1.700-1.705	60-65
დიდი ბრიტ-თის	450-455	370-375	80-85
საფრანგეთის	295-300	255-260	40-50
შვეიცარიის	50-55	45-50	6-7
ბელგიის	45-50	40-45	5-6

წინააღმდეგ, შემდეგ ქვეყნების ქონებას ვალი ახლავს (პასივი):

მთელი ნაციონ.	საკუთარი ქონება:	განსხვავება (უცხ.-პა- სივი):	%/00/0
გერმანიას	390	350	40
არგენტინას	103	90	13
ბრაზილიას	77	66	11
რუმინიას	57	53	4
იტალიას	104	101	3

კიდევ უფრო ნათელი, რომ შეიქმნეს კაპიტალის მოძრავი ხასიათი საერთაშორისო მასშტაბით, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ერთი კაცის თავზე მოდის კაპიტალის ეკსპორტის და იმპორტის (გერმ. მარკები) ბალანსი :

ეკსპორტის :

შვეიცარიაში	51	საფრანგეთში	31
ჩეხო-სლოვაკიაში	12	დიდ ბრიტანეთში	65
კანადაში	89	პოლანდიაში	42
შეერთ. შტატებში	51	შვეიცარი	6
ბელგიაში	26		

*) Ibid. p. 170.

იმპორტის :

ბულგარეთში	7	ავსტრიაში	70
დანიაში	22	პოლონეთში	16
გერმანიაში	69	რუმინიაში	12
ესტონიაში	7	რუსეთში	1
ფინლანდიაში	4	ჰუნგრეთში	43
იტალიაში	14	იაპონიაში	5
იუგოსლავიაში	7	ბრიტ. ინდოეთში	2
ლატვიაში	14	სამ. აფრიკის კავშ.	10
ლიტვაში	1	ბრაზილიაში	10
ნორვეგიაში	52	ავსტრ. კონფედ.	187 *)

ასე გადანაწილებულია კაპიტალი ერთ რიც ქვეყნებიდან ქვეყნების მეორე რიგში, კაპიტალის საერთაშორისო ხასიათა უდავოა.

საერთაშორისო ბაზრები ხშირად აახლოებენ სხვადასხვა ქვეყნის ერთნაირ ნაწარმოების გამყიდველთ; ასე, ჩვენ ვხედავთ მწარმოებელთა ინტერნაციონალურ შეთანხმებებს (შაქრის, ფოლადის, ნავთის, პოტასის და სხვ.), ტრენსტებს, სინოიკატებს—ხან დროებითი ხასიათისას, ხან ხანვრძლივს. ასეთი საერთაშორისო შეთანხმებები არსებობენ არა მარტო კერძო პირთა თუ საზოგადოებათა, არამედ სახელმწიფოთა შორისაც; არა მხოლოდ მწარმოებელთა, არამედ მომხმარებელთა შორისაც.

ამნაირათ, საქონლის და კაპიტალის მოძრავი ხასიათი, მათი საერთაშორისო ბაზარზე ტრიალი აახლოებებს სხვადასხვა ერთა ინტერესებს, ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის შინაურ ფასების გამოსწორებას და ხელს უშლის საქონლის ფასების ცვალებადობას, რაც გადამდებ სენივით ერთი ქვეყნიდან მე-

*) Ibid. დამატებითი ცხრილი.

ორეს ედება ხოლმე. აქედან გამომდინარეობს საჭიროება ერთი საერთაშორისო ეკონომიურ პოლიტიკის *).

საერთაშორისო ეკონომიური პოლიტიკა კი, სამწუხაროთ, ვერ იძლევა ჯერ-ჯერობით იმ ეფექტს. როგორსაც ეროვნული, რადგან არ არსებობს ისეთი საერთაშორისო იძულებითი ძალა, როგორიც არის ძალა სახელმწიფოსი, სახელმწიფო ხელისუფლება. საერთაშორისო ეკონომიური პოლიტიკა ჯერ-ჯერობით მხოლოდ სხვადასხვა ერის მიერ ურთიერთ საჭიროების შეგნებას ემყარება, ამით გამოწვეულ სილიდარობის გრძნობას და არა რაიმე კანონს. ამაშია, სხვათა შორის, იმის დიდი სისუსტე — ერთის მხრით, და სიძლიერე ეროვნულ ეკონომიურ პოლიტიკისა — მეორე მხრით. „სილიდარობა“ ერთა შორის თავის ფორმალურ გამოხატულებას პოულობს ახლა არა ყველასთვის სავალდებულო კანონში, არამედ რამდენიმე ან მთელ რიგ სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში; ასეთი ხელშეკრულებანი ღებულობენ, და ისიც მხოლოდ ხელის მომწერთათვის, ასე ვსწევათ, ხასიათს კანონისას ad hoc.

პარალელურად ამისა სწარმოებს მუშაობა საერთაშორისო წესების და კანონების შესამუშავებლად, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ერთი მეორესთვის დასახლოებლად, სახელმწიფოთა შორის უფრო და უფრო მუდმივი კავშირების დასამყარებლად, ერთა კონფედერაციების მოსაწყობათ. გერმანიის ეკონომიური ძლიერება გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მცხი შემადგენელი ნაწილები გაერთიანდნენ. განსვენებულ არისტიდ ბრიანის ცდა ევროპის პოლიტიკურ კავშირის შუსაქმნელად უსათუოდ გულისხმობდა შემდეგში საბაჟო კავშირს, ეკონომიურ საქმიანობის გაერთიანებას და, შეიძლება, კონფედერაციასაც; საფრანგეთის მეორე სახელმწიფო მოღვაწის ედ. ერიოს მოსაზრებანი ევროპის კავშირის შესახებ უმთავრესად ეკონომიურ ხა-

*) Prof. L. Brocard «Les Conditions Générales...» p. 527.

სიათის მოტივებით არის დასაბუთებული *). ეკონომიური შე-
თანხმებანი წარმოებათა თუ სახელმწიფოთა შორის თანდათ.ნ
ხშირ ხასიათს იღებენ; მიუხედავათ მძიმე პირობებისა, საერთა-
შორისო ეკონომიურ საქმიანობას ვერავინ ვერ სცოლდება.

* * *

თანამედროვე სახალხო მეურნეობა კონცენტრიულ წრე-
ებით ვითარდებოდა: პირველი წრე—ინდივიდუალური და ოჯა-
ხური მეურნეობა იყო; მერე — კუთხური, ადგილობრივი; შემ-
დეგ — ეროვნული (ნაციონალური) და ბოლოს — საერთაშორი-
სო (ინტერნაციონალური).

კოსმოპოლიტური შეხედულება — ადამიანი რომ სამყა-
როს უშუალოდ გადაებმის, ეკონომიურ პოლიტიკაში დამარ-
ცხდა; ერთი, ეროვნული სახელმწიფო, გარდაიქა იმ ლერათ,
რომელზედაც ტრიალებს სახალხო მეურნეობის უმთავრესი
ბორბალი; ადგილობრივი მეურნეობა ეროვნულ მეურნეობის
გზით და საშვალებით გადაებმის საერთაშორისო ტკონომიკას.

ამიტომ, არა საერთაშორისო აღებ-მიცემობა, არამედ ში-
ნაურ საწარმოვო ძალთა ყოველმხრივი განვითარება იჭერს
ეკონომიურ საქმიანობაში უპირველეს ადგილს; ყველა საშვა-
ლებანი, რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოიპოვება, საუკე-
თესოდ უნდა იქმნას გამოყენებული, რათა მოთხოვნილებანი
მთელი მოსახლეობის, რამდენიც უნდა იყოს იგი, საუკეთესოდ
იქმნას დაკმაყოფილებული. ამ მიზნის მისაღწევათ ადამიანს,
ერთ დროს უირალთ ბუნების პირისპირ დამდგარს, ახლა
უდიდეს დახმარებას უწევს ტეხნიკა; კულტურა მოსახლეობის
იმ დონეზე უნდა იქმნას აყვანილი, რომ ეს ტეხნიკა იმან გა-
მოიყენოს და თანამედროვე ეკონომიურ ორგანიზაციას შე-
ეგუოს.

*) Ed. Herriot « L'Europe ».

ერთ სიძლიერე თუ სისუსტე საერთაშორისო ეკონომიურ ასპარეზზე არ განისაზღვრება არც იმის ტერიტორიის სივრცით, არც იმის მოსახლეობის რაოდენობით. საქმე ისაა, თუ როგორ იყენებს იგი ამ ორ უმთავრეს ფაქტორს ეკონომიურ განვითარებისას. ის დიდი ერები, რომელთაც თავისი საკუთარი რესურსები ვერ გამოიყენებიათ, საერთაშორისო ეკონომიურ ასპარეზზე ლეშს წარმოადგენენ, მათი საერთაშორისო ეკონომიური ღირებულება უმნიშვნელოა; და წინააღმდეგ, ის პატარა ერები, საკუთარი ეროვნული ენერგია უაღრესად რომ განუვითარებიათ, საერთაშორისო ეკონომიურ სარბიელზე თვალსაჩინო როლს თამაშობენ, მათი გავლენა საგრძნობია. ამას მოწმობს ზოგ დიდ და ზოგ პატარა სახელმწიფოს წონის შედარება საერთაშორისო აღებ-მიცემობაში; ასე, 1929 წ. საერთაშორისო აღებ-მიცემობაში შემდეგ სახელმწიფოთა მონაწილეობა უდრიდა პროცენტებში:

დიდი ქვეყნები:	პატარა ქვეყნები:
საბჭოთა კავშირის (ტერიტორ.: 21.176 ათ. კ. კლმ. მოსახლეობა: 157.500 ათასი);	1,30 ჰოლანდიის (ტერიტორია: 34 ათ. კ. კლმ. მოსახლეობა: 7.800 ათასი)
ჩინეთის (ტერიტორია: 5 მილ. კვ. კლმ. მოსახლეობა: 444 მილ.).	2,12 ბელგიის (ტერიტორია 30 ათ კვ. კლმ. მოსახლეობა 8.060 ათასი).
ინდოეთის (ბრიტანეთის) (ტერიტორია: 4.675 ათ. კვ. კ. მოსახლეობა: 348 მილ.).	3,48 ჰოლანდიის (ტერიტორია: 41 ათ. კვ. კ. მოსახლეობა: 4.060 ათასი).

ამნაირათ, ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა პოლანდიის, ბელგიის და შვეიცარიის საგარეო აღებ-მიცემობა აღემატება უდიდეს რუსეთის და ჩინეთის საგარეო აღებ-მიცემობას *).

*) Annuaire Statistique de la Société des Nations 1930/31.

**

ჩვენ შევეხეთ ეროვნულ ეკონომიას უმთავრესად, როგორც ეკონომიკას სახელმწიფო ერთეულისას და იმის დამოკიდებულებას მსოფლიო ეკონომიკასთან. ხოლო არიან ერები, რომელიც სახელმწიფოს არ წარმოადგენენ, დაპყრობილნი არიან, და არსებობენ მრავალერიანი სახელმწიფოებიც. როგორი უნდა იყოს ამ ერების ეკონომიკური პოლიტიკა? ესეც ფრიად საინტერესო საკითხია, მაგრამ ამას ჩვენ არ შევხებივართ.

ჩვენ გამოვდივართ იმ გარემოებიდან, რომ განვითარებული ერები ბოლოს და ბოლოს ყოველგან დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფიან. ამიტომ უმთავრესია ცოდნა იმის, თუ როგორია თანამედროვე სახელმწიფოთა განვითარების ტენდენცია; ჩვენ უნდა ეკოურდეთ, რომ პოლიტიკურათ თავისუფალი ერი თავის საკუთარ ეკონომიკურ საშვალებებს უნდა დაეყრდნოს, წინააღმდევ შემთხვევაში იგი ვერ გახდება მსოფლიო ოჯახის დამოუკიდებელი წევრი. და როცა ჩვენი ქვეყანაც, საქართველო, დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფის, საჭიროა ვიურდეთ, ეს მისი მისწრაფება მხოლოდ მის პოლიტიკურ უფლებებიდან გამომდინარეობს, თუ ამას მისი ეკონომიკური შესაძლებლობანიც ხელს უწყობენ.

მსოფლიო სახალხო მეურნეობა უშველებელ ზღვას წარმოადგენს; მას ერთვის მრავალი მდინარე ეროვნულ მეურნეობის, დიდი და პატარა. ამ ეროვნულ მდინარეთა მასაზრდოებელი წყარო და ნაკადულებია: ეროვნული ტერიტორია, მოსახლეობა, კულტურა ამ მოსახლეობის, ფორმები და პირობები მისი საქმიანობის და შედეგი ამ საქმიანობის. წარმოადგენენ ყველა ესენი ისეთ ძალას საქართველოში, რომ ცალკე მდინარეთ იქცენ და ზღვას მსოფლიო მეურნეობისას თავის საკუთარ, ეროვნულ, მიმდინარეობით შეუერთდეს?

ეკონომიკურ საჭმიანობის უმთავრესი პირობები.

როგორც კერძო ადამიანის, ისე მთელი საზოგადოების ეკონომიური საქმიანობა მრავალ სხვადასხვანაირ პირობაზე არის დამოკიდებული. პოლიტიკური ეკონომიკა არის ის დარგი მეცნიერების, რომელიც ამ პირობებს იძებს და არკვევს; იგი ისახავს საგნად იმის შესწავლას, თუ როგორ—რა საშვალებებით საზოგადოება იქმაყოფილებს თავის ნივთიერ მოთხოვნილებებს. ფრანგის ცნობილ ეკონომისტს Jean-Baptiste Say-ს ეკუთვნის პირველობა იმის აღნიშვნები, თუ რა წესით უნდა იქმნეს შესწავლილი ეს საგანი. თავის წიგნში Traité d'Economie Politique (გამოცემულია 1803 წ.), იგი სწერდა, რომ პოლიტიკურ ეკონომიკის საგანი არის გაცნობა იმის, თუ როგორ გროვდება სიმდიდრე, როგორ ნაწილდება იგი და როგორ იხარჯება, ესე იგი: სახალხო-მეურნეობის შესასწავლად საჭიროა შესწავლა: წარმოების, განაწილების და მოხმარების. და საგნის ამ წესით შესწავლა დარჩა მას შემდეგ კლასიკურ მაგალითად ყველა ეკონომიკისტისთვის, ვინც ხელს მოკიდებს სახალხო მეურნეობის შესწავლას.

რაც რომ ადამიანი პირველ ყოფილ მდგომარეობიდან გამოვიდა, იმის საქმიანობას უპირველეს ყოვლისა ახასიათებს წარმოება ანუ, როგორც ძველი ეკონომისტები იტყოდნენ ხოლმე, სიმდიდრის შექმნა. ტრადიციათ არის გადაქცეული, აგრეთვე ძველი ეკონომიკისტებიდან მოკიდებული ვიდრე ჩვენს

დრომდის, აღნიშვნა იმის, რომ წარმოებაში სამი ფაქტორი თამაშობს უდიდეს როლს : დედა-მიწა ანუ ბუნება, შრომა და კაპიტალი ანუ ის, რაც ადამიანის შრომას წინეთ შეუქმნია, შეუნახავს და ახალ ნაწარმოების შესაქმნელად იყენებს (ასეთია, მაგალ., საწარმოვო იარალი, შენობები, მისელა-მოსელის საშვალებანი და სხვ.). დროთა განმავლობაში იცვლებოდა წესი წარმოების, იცვლებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხოლო აღნიშნული სამი ფაქტორი წარმოებისა მაინც ადამიანის თუ საზოგადოების ეკონომიკურ მოქმედების საფუძვლათ დარჩა.

* *

უპირველესი იმათგან არის ბუნება. ადამიანი მხოლოდ დედამიწაზე ცხოვრობს და დედამიწით განისაზღვრება მისი მოქმედება; სხვა პლანეტები, სახელდობ მზე, დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე (იძლევა სინათლეს, სიობოს), მაგრამ ადამიანის ცხოვრების საფუძველი მაინც დედა-მიწაა, არ; ერთ სხვა პლანეტაზე ადამიანს არ ეცხოვრება და არ მიესვლება. დედა-მიწა კი თავისთავად განსაზღვრულ ფართობს წარმოადგენს (სულ 509 მილიონ კვ. კლ.მ.) და ისიც მთლიანად არ არის ადამიანისთვის გამოსაყენებელი: დიდი ნაწილი წყალს - ზღვებს და ოკეანებს უჭირავთ და დანარჩენ ხმელეთის თვალსაჩინო ნაწილებიც გამოუსადევარია მეურნეობისათვის, მაგ. უდაბნოები, ყინვარები და სხვ.

ჰავაც არ არის ყოველგან ერთნაირი : ზოგან ნოტიო აღვილებია, ზოგან კი, წინააღმდეგ, ძალიან მშრალი, გვალვებიანი; ზოგან ზომიერი ქარები იცის, ზღვებიდან სინოტივე რომ მოაქვთ და ჰაეს აზომიერებენ, ზოგან კი ცხელი ქარები სპობენ სულ-დგმულს, მცენარეულობას. ბუნების ასეთი მოვლენები უდიდეს გავლენას ახდენენ ადამიანის საქმიანობაზე, ისინი საზღვრავენ ადამიანის მოქმედებას და მას განსაკუთრებულ ხსიათს აძლევენ. მართალია, ცოდნამ და ტეხნიკამ ბევრნაირი საშვალება მი-

სცა ადამიანს ბუნების მოვლენათა დასამორჩილებლად, მაგრამ ბუნება მაინც არ არის საცხებით დამორჩილებული და გავლენა იმის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისთვის, დღესაც გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებულ შენობაში, ორან-ზერეაში (la serre), თქვენ შეგიძლიათ ყოველგან მოიყვანოთ ყურძენი, ზეთის ხილი, ბამბა და სხვ. ისე, როგორც ყოველგან შეგიძლიათ გააშენოთ ქარხანა; მაგრამ შორეულ ჩრდილოეთის უზარმაზარ მიწის ფართობებს ვერ გადააქცევთ სავენახეთ, იქ ვერ მოაწყობთ ბამბის პლანტაციებს, აბრეშუმს ვერ მოიყვანთ, ზეთის ხილის ბალებს ვერ გააშენებთ; პური, ადამიანის ეს ძირითადი საკვები მასალა, ისიც კი არ მოდის დედა - მიწის ყველა კუთხეში და იმის მოსავალი, ისე როგორც სხვა მრავალი ნაწარ-მოების, დედა - მიწის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირია.

წყალი - ზღვები, ოკეანები, მდინარეები თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენენ ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობაზე. ზღვები და ოკეანები წარმოადგენენ გზას დედა - მიწის ერთ ნაწილი-დან, ერთ კონტინენტიდან (ხმელეთიდან) მეორეზე მისასვლელად — ევროპიდან ამერიკაში, ამერიკიდან აზიაში, აფრიკიდან ავსტრალიაში, მრავალ კუნძულებს შორის; ისეთ ძეველ ქვეყნების, როგორც იყო საბერძნეთი, ფინრეია და სხვ., კულტურის და აღებ - მიცემობის განვითარებას ის უწყობდა ხელს, რომ ისინი ზღვის ნაპირას მდებარეობდენ, განაეითარეს ნავოსნობა და სულ სხვადასხვა ქვეყნებთან ჰქონდათ დამოკიდებულება; ჩვენს დროშიც ბევრი სახელმწიფო სარგებლობს თავის სანაპირო მდებარეობით, საქმარისია თუნდაც მოეგონოთ პატარა ნორ-ვეგია (2.900 ათასი მცხოვრები), რომლის საეჭვო ფლოტს მეხუთე ადგილი უჭირავს მთელ მსოფლიოში.

მდინარეები არამცთ საუკეთესო საშვალება იყო ძეველ დროში ადამიანისთვის მისასვლელ - მოსასვლელად და დღემდის ასეთად დარჩენ, არამედ ისტორია იმასაც გვეუბნება, რომ ძველი ცივილიზაცია სწორეთ მდინარეების ნაპირებზე ვითარ-

დებოდა; უძველეს დროის ოთხი დიდი ცივილიზაცია მდინარე-
თა მიდამოებში გაიფურჩქნა: ჩინეთის — მდ. მდ. ჰოანგო-ჰოს და
იანგწე - კიანგის; ინდოეთის — მდ. მდ. ინდუსისა და განგის;
მდ. მდ. ტიგროსის და ეფრატის ფართე ადგილებზე გაიშალა
ასურო-ბაბილონის მონარქები და ნილოსის ნაპირებზე აყვავ-
და ძველი ეგვიპტე**). ჩვენ უხედავთ, რომ ჩვენს დროშიც უდი-
დესი ქალაქები ზღვის ან მდინარის ნაპირებზე არიან გაშენებუ-
ლი: ლონდონი (მდ. ტემზა), პარიზი (მდ. სენა), ბერლინი (მდ.
შპრე), ვენა, ბუდაპეშტი (მდ. დუნაი), ლიონი (მდ. რონა), მარ-
სელი (ზღვა), ნიუ - იორკი (ოკეანე) და სხვ.

არა მხოლოდ მისელა - მოსელისთვის, ადამიანი ძველი
დროიდანვე მდინარეს იყენებდა ბუნების წინააღმდეგ საბრძოლ-
ველათაც, ადგილებს, სადაც ხშირი გვალვები იცის, არხებით
სერავდა და რწყავდა, მწირსა და გამოუსადეგარ მიწას მოსავ-
ლიან ადგილებათ აქცევდა. სადაც წყალი მიკლებიათ, იქ ცხოვ-
რება მომკვდარა, რადგან წყალი უპირველეს მნიშვნელობის სა-
არსებო საგანია, როგორც მცენარის, ისე ცხოველისთვის *).

მთა და ბარი თავის გავლენას ახდენს ადამიანის მოქმედება-
ზე. 1200 მეტრის მაღლა, ზღვის დონეს ზევით, მთებში უკვე

*) გამონაგარიშებულია, რომ ერთი ცალი ფოთოლი სა-
ათში იმდენს წყალს იშრობს, რამდენსაც თვითონ იწონის; ჯე-
ჯილის ერთი ჰეკტარი იქ დათვისილ ხორბლეულის ზრდის გა-
ნმავლობაში იშრობს წყალს :

პური	1.120.000 კილოგრამს.
ჭვავი	835.000 "
ქერი	1.237.000 "
შერივა	2.278.000 "

ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი კილოგრამ გამხმარ ხორბლეულის
—პურის მისაღებათ საჭიროა 247 კგრ. წყალი, ჭვავის — 166
კგრ. წყალი, ქერის — 247 კგრ. წყალი და შერივის — 455 კგრ.
წყალი. იხ. Prof. Brunhes «La Géographie Humaine», 1925, p. 70.

**) L. Metchnikoff -ის ცნობ. წიგნი: : « La Civilisation et les
grands fleuves historiques », Paris 1889, გვ. 135; ეს წიგნი სა-
ზოგადოთ ამ საკითხს ძალიან საფუძვლიანათ აშუქებს.

ნაკლებია მოსახლეობა, მთა ხერა-თესვისთვის გამოუსადეგარია, მისვლა - მოსვლისთვის ძნელი. ძველათ, და ზოგჯელ ახლაც, მთა ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა სახელმწიფოსთვის, მტერი ადვილათ მას ვერ გადალახავს და მთიან საზღვრების დაცვა უფრო ადვილია. ბარი — მიწათმოქმედების ასპარეზია; აქ მოყავს ადამიანს უმთავრესად თავისი საკვები, მისვლა - მოსვლა აქ უფრო გაადვილებულია და სხვ.

დედამიწის გეოლოგიურ აგებულებაზეც ბევრია დამოკიდებული; ბუნებას დედამიწის გული ყველგან ერთგვარად არ დაუჯილდოვებია; ზოგან იმაში ჩაუმარხავს დიდძალი ქვანა-ხშირი, რკინა, ნავთი და მრავალი სხვა მინერალური სიმდიდრე, ზოგან — ნაკლებად, ზოგან სულ არა. ქვანახშირი, ეს ბუნებრივი სიმდიდრე, იყო საფუძველი თანამედროვე წარმოების განვითარების, და ის ქვეყნები დაწინაურდენ თანამედროვე მრეწველობაში, რომელსაც ქვანახშირი და რკინა აღმოაჩნდა: ინგლისი, გერმანია, შეერთ.-შტატები და სხვ. არა თანასწორი განაწილება ბუნების მიერ მიწის გულში ჩაფლულ მინერალურ სიმდიდრის ხშირად საშინელ ქიშპობას იწვევს სახელმწიფოთა შორის, პოლიტიკურ გართულებას, ამბოხებას და ქვეყნების დაყრობასაც. ამის შესახებ სხვა ქვეყნების მაგალითები ჩვენ შეითხველს მაინც და მაინც არ ესაჭიროება: ცნობილია განცხადება, ბ. რადეკმა (რუს. კომუნისტ. წარმომადგენელმა) სამი ინტერნაციონალის წარმომადგენელთა სხდომაზე (1922 წ.) ბერლინში რომ გააკეთა: საქართველოს იმის-თვის ვიპყრობდით, რომ ნავთი გვესაჭიროებოდაო; გერმანიის გენერ. შტაბის უფროსი, გენ. ლიუდენდორფი სწერს თავის მოგონებაში, რომ დიდი ომის დროს, როცა გერმანიას შემოაკლდა ნედლი მასალა, კერძოთ ნავთი, იგი ცდილობდა სა-კართველო და კავკასია დაეკავებია *); ამბობენ, რომ მექსი-

*) Er. Ludendorff « Souvenirs de Guerre 1914—1918 », T. II, გვ. 278 და შემდეგი.

კაში ზოგიერთი გავლენიანი წრეები იმავე ნაეთის კონცესიების ხელში ჩასაგდებათ ყაჩალებს ჯამაგირს უნიშნავდენ და მათხე იმდენს ხარჯავდენ, რამდენსაც კანონიერ მთავრობაზე *). ასეთი მნიშვნელობა აქვს მიწის გულს, განსაკუთრებით, როცა იქ იშვიათი მინერალური სიმდიდრე მოიპოვა.

მიწის-ნიადაგსაც ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს; ზოგან მიწის ზედაპირი ნოყიერია, ფრიად გამოსადევი სოფლის მეურნეობისთვის, ზოგან კი მწირია, ზეღმეტ მუშაობას მოითხოვს, ხელოვნურ სასუქს, მორწყვას, რომ ნაყოფი რამე გამოიღოს; იაპონიაში მთელი ფართობის 16 პროც. მხოლოდ წარმოადგენს ნიადაგს, გამოსადევს სოფლის მეურნეობისთვის, ვერმანიაში კი წინააღმდეგ — 80 - 90 პროც.

არც ფლორა (მცენარეულობა) და ფაუნა (ცხოველი) არის ერთნაირად გავრცელებული დედამიწაზე. ტყე — დღეს ქვეყნის დიდი სიმდიდრეა, ძველით კი ადამიანს იმის ეშინოდა; ტყიანი ადგილები ნაკლებათ იყო დასახლებული, როგორც ჩვენს დროში სამხრეთ ამერიკის დიდი ნაწილის ტყე, როგორც მთა, მოსახლეობის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენდა, ადამიანი იმის მხოლოდ გადაღმა და გადმოღმა ესახლებოდა.

არც ეგრეთ წოდებული კულტურული მცენარეულობა არის ერთნაირად ყოველგან გავრცელებული; ეს გარემოება ზოგისთვის სიმდიდრის წყარო და ზოგისთვის, წინააღმდეგ, მძიმე შრომის და სიღარიბის. მცენარეულობა წარმოადგენს როგორც ადამიანის, ისე პირუტყვის საკეებ მასალას; ქვეყანა ღარიბი მცენარეულობით, ღარიბია მესაქონლეობით.

ცხოველი ორ ნაირია: გარეული — ნაღირი და შინაური. ერთ დროს ნაღირი ადამიანის მარჩენალი იყო, მაშინ ადამიანი თავს ნაჟირობით იჩინდა; „ნა-

*) Ръевъ Л'Еспанъоль де Ла Трамери «Мировая борьба за нефть», русс. трансмабо, Парижъ, 1922 №. 83. 71.

დირობის ხანაში“ პირველათ გამოიგონა ადამიანმა იარა-
 ლი, ამ ხანაში დიდი როლი ითამაშა პირველ - ყოფილ ადა-
 მიანის ენერგიის განვითარებაში, თავშესაფარის (ბინის) მო-
 წყობაში და სხვ. დღეს ნადირობა არ წარმოადგენს ადამიანის
 არსებობის საშვალებას, თუმცა არის ქვეყნები, სადაც ნადი-
 რობას სამრეწველო ხასიათი მიეცა, მაგრამ ეს ის ქვეყნებია,
 სადაც იშვიათი ნადირი კიდევ მოიპოვება; ევროპაში კი ნა-
 დირი წყდება და კანონი მას განსაკუთრებული მფარველობას
 უწევს. ადამიანმა გარეული ცხოველი დაიახლოვა, მოაშინა-
 ურა და როგორც დამხმარე ძალაც მუშაობაში გამოიყენა. ტე-
 ხნიკა საშინელ მტრათ მოევლინა მუშა საქონელს, დღეს იმდე-
 ნათ აღარ საჭიროებენ აქლემს, ხარ - კამეჩს, ცენს, როგორც
 ძველ დროში, ხოლო მათი მნიშვნელობა, როგორც საზოგა-
 დოთ შინაურ პირუტყვისა, დღეს მაინც დიდია და სოფლის მე-
 ურნებაში ჯერ კიდევ აუცილებელი; პირუტყვი იძლევა
 მატყლს, ტყავეულობას, ქონს და სხვ.; ადამიანი ხორცის მჭა-
 მელია, რძე, ერბო — მასაზრდოებელია იმის. ხოლო არც ში-
 ნაური ცხოველი არის ერთნაირად ჯველა ქვეყნებში გავრცე-
 ლებული.

ამნაირათ, ჩეენ ვხედავთ, თუ რამდენათ მრავალფეროვა-
 ნია ბუნების პირობები და ეს მისი მრავალფეროვნება გავლე-
 ნას ახდენს ადამიანის არამცო საქმიანობაზე საზოგადოთ,
 არამედ მთელ მის ყოფაცხოვრებაზე და ხასიათზედაც. თბი-
 ლი ქვეყნების მოსახლეობა ბუნების მიერ უფრო განებივრე-
 ბულია; მას ნაკლები ტანსაცმელი სჭირია, იგი ნაკლებს სჭამს,
 უფრო იოლათ აშენებულ ბინაზე ცხოვრობს და სხვ.; წინა-
 აღმდეგ, ცივი ქვეყნების მცხოვრებნი იძულებული არიან უფრო
 თბილათ ჩაიცვან, მეტი სჭამონ, თბილი სადგომი აიშენონ და
 სხვ. დღე ჩრდილოეთის ქვეყნებში ზამთრის და შემოდგომის
 თვეებში ძალიან მოკლეა, გაზაფხულში და ზაფხულში — გრძე-
 ლი; ამას გავლენა აქვს თვით მუშაობის წესზე. სოფლის მე-
 ურნე მუშაობს საშუალოდ წლის განმავლობაში : რუსეთში —

4 თვე, გერმანიაში — 7 თვე და სამხრეთ ინგლისში — 11 თვე.

ჩამომავლობა, რასა, იმდენ გავლენას ვერ ახდენს ადა-
 მიანზე, რამდენსაც ბუნების ის პირობები, რომელშიდაც იგი
 ცხოვრობს. ჩრდილოეთ ციმბირის ტუნგუზები აღარ გვანან
 ჩინეთისას; ერთი ტომის ჩამომავლობაა ლენის ნაპირებზე
 (ჩრდილ. რუსეთი) მომთაბარე იაკუტები და დასავლეთი აზი-
 ის თურქები, ხოლო არც გარეგნობით და არც ყოფაცხოვრე-
 ბით ისინი ერთი მეორეს ახლა აღარ ჰგვანან *).

კულტურა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ყოფაცხოვ-
 რებაზე, იგი აახლოვებს ადამიანს ერთი მეორეს და ერთი მე-
 ორეს ამსგავსებს მათ ყოფაქცევას, მაგრამ სიძლიერე ბუნების
 მოქმედებისა მათზე, მათ ხასიათზე, მაინც დიდი რჩება. ინგ-
 ლისის ლიტერატურის და ყოფა - ცხოვრების მკვლევარი,
 ფრანგის ცნობილი მწერალი H. Taine ინგლისელის განკურ-
 ძობულ ხასიათს ლათინურ რასიდან ხსნის იმ ბუნების გან-
 საკუთრებულ გავლენით, რომელშიაც ინგლისელი ცხოვრობს.
 ბნელი და ზავთიანი ნისლი, სწერდა იგი, ფარავს მათ (ინგლი-
 სელების) სულ ისე, როგორც ეს ნისლი ფარავს იქ ზეცას,
 და მხიარულება მათში ძალდატანებულია და დროგმოშვე-
 ბით, როგორც მზის სხივები მათ ქვეყანაშიო **). ინგლისელ
 ეკონომისტის Alf. Marshall-ის აზრიც ის არის, რომ ინგლი-
 სის გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო იმ გა-
 რემობებას, რომ აქ დასახლდა ჩრდილოეთ ევროპის ტომ-
 თა შორის ყველაზე უფრო გაბედული და გამძლე ხალხი; რომ
 აქაური ჰაერი ხელს უწყობდა ადამიანის ენერგიის განვითა-
 რებას უფრო, ვინემ ჩრდილოეთის რომელიმე სხვა ქვეყანაში;
 რომ კომერციულ საქმიანობის განვითარებას ინგლისში ხელი

*) Fr. Ratzel « Anthropogéographie », იხ. B. Я. Желез-
 новъ « Очерки Политич. Экономии », მე-5 გამ., გვ. 90.

**) H. Taine « Histoire de la Littérature Anglaise », T. 2,
 1899, გვ. 27 და სხვა აღგილებიც.

Մյություն առա մեռլորդ օմիս ցանսայստորյածուլ մօքեահյօնիամ, առամեց օնցլուսու խալենու ծանեծրոցիա մօքրյակոլյեծամու; დա օնցլուսուլու սեցա ցշնեծուսա սացապրու დա սագոնանսու սայմեշու, ցոնցմ ցծրայլյեծո. որալույլյեծո, ծյունեծո დա սոմեցեծո *). սագորանցյատու թշշենոյրու ծանեծա եղլու շնչյոծս պյ սուցլուս մյունեոծուս ցանցուտահյօնա დա գըլյեմուս սուցլատ սագորանցյատու շեցահյօնա մյերո մուսակլյոծա դարիս, ցոնցմ դասացլյուտ ցըրոնձու սեցա օնցուստրալուր վայսենցեծու — օնցլուսշու დա ցըրմանուշու; պյ մյերո մուշու թշրուլու մըսայստորյա. յս ցարյումոյեա տացու դացու սեցամս ցրանցու խասուտս; մուշասպ հոմ սկոլցյեծա დա վալոյիս ցեռցրյեծու Շուա-ցշլշու թրուալյեծս ոցո, ամծոծս ցրանցու ցնոծուլու թշյորալու A. Siegfried-ո, ոցո մանոնապ ցլյեթուցու ովայզա; „համգրու ցրանցու, հոմ Շտածյեշգուլյեծաս սեցլուն, տոտյու մորալուրատ „ծլուշաս“ (ցլյեթյեծո ուցամբ) սթարյեծցեսու“; „սամշառու հոմ ցաստացյեծս օնցլուսուլու մալարուս մշամա football-ու (ցյեթ-ծանրու) սատամանու մուծու, ցրացու — ծոսըստանշու մոյիիյահյօնա, հագցան ցլյեթատա դարիյենուլու“-ո (Paul Morand) **).

* * *

Արց աճամունու հիյեծա ցշլշու եղլդայրյուլու; ոցո տացու մերու ցծրմցու ծանեծաս դա տանճատան օմորհուլյեծս օմիս. տանճապոլուլու ցոնցիա աճամունու, մաս հոմ პորությունան արիյյես, ցործնա սանցագորտ, թըենոյյա կըրմուտ — յս օմիս սամշալյեծանու ծանեծանշու ցասամարքացացուլատ.

Մրայալու ատասու թշլութաճու ցեռցրոծս աճամունու մշյել վայսենանշու դա սանցագորյունու ցեռցրյեծաս ցիյեզա դա սեցագուսեցա մշյենցիա էլյոնդատ ամ ատասու թլուս վոնցետ ցրու մըորհյեստան լամոյությունյեծա; մացրամ մեռլորդ ամ եղտասու թլուս վոնցետ

*) Prof. Alf. Marschall « Principes d'Economie Politique » trad. française, Paris, 1907, T. I, p. 42—44.

**) A. Siegfried « Tableau des Partis en France », p. 13—14.

აღმოჩენილი იქმნა ქვეყანა ახალი, ამერიკის უზარმაზარი ტე-
 რიტორია; ამ ახალ ქვეყანას მრავალი ემიგრანტი მიაწყდა
 ძველი ქვეყნებიდან და ამ გარემოებამ მოსახლეობის სიმჭიდ-
 როვეს, განსაკუთრებით ძველ ევროპაში, შემსუბუქება მო-
 უტანა. ბევრი კუნძული, გაბნეული წყნარსა და ატლანტი-
 კის ოკეანეში, წინათ მიუწდომელი, ახლა აღამიანით არის
 დასახლებული და მეურნეობაში ჩაბმული.

ადამიანმა გასჭრა მთები, გაჩეხა ტყები, კალაპოტში ჩა-
 აყენა მდინარეები, გაიყვანა არხები, მორწყო უდაბნოები, ზღვე-
 ბიც კი „შეავიწროვა“ და ამნაირათ მან ხელოვნურათ გააფარ-
 თოვა თავისი სამოქმედო ასპარეზი. ადამიანის მიერ ბუნების
 დამორჩილებისთვის ღონისძიებათა საუცხოვო მაგალითს, სხვა-
 თა შორის, პატარა ჰოლანდია წარმოადგენს. ამ ქვეყნის ტერი-
 ტორიის თითქმის ერთი მეოთხედი ზღვის დონეზე დაბლა მდე-
 ბარეობს; ამიტომ იგი არამცუ სოფლის მეურნეობისთვის
 იყო გამოუსადევარი, უხმარი, არამედ მდებარეობა მისი მო-
 სახლეობისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა — აღლ-
 ვებულ ზღვის ტალღები ტერიტორიის დიდ ნაწილს ხშირად
 წალევავდა ხოლმე (ასე, 18 ნოემბერს 1421 წ. წალევილი იქ-
 მნა 72 სოფელი და 100.000 მცხოვრები დაიღუპა; წინათაც,
 მე-12 და მე-13 საუკუნებში აღვილი ჰქონდა ასეთ საშინე-
 ლებას). ჰოლანდიელებმა თითქმის მთელი ზღვის ნაპირების
 გასწრივ ხელოვნური საგერი (დამბა) გააშენეს და დაჭაობე-
 ბულ აღვილების ამოშრობას შეუდევნ (450 მანქანას და 1.700
 ქარის წისქვილს ამ მიზნით ამუშავებენ) და ამნაირათ 325
 ათასი ჰეკტარი, მთელი ტერიტორიის თითქმის მერვედი, სახ-
 მარი მიწა შეიძინეს. ამ მუშაობას ახლაც განაგრძობენ და
 Zuiderssee-ს (ტბაა, დარჩენილი ამ აღვილს ზღვიდან წალევის
 შემდეგ) ამოშრობით კიდევ 212.000 ჰეკტარი სახმარ მი-
 წის შეძენას პირებენ *).

*) M. Fallex et A. Mairey « La Face Nouvelle du Monde »,
 p. 185.

ჩვენ არაფერს ვიტყვეთ უველასთვის ცნობილ თანამე-
 დროვე ტეხნიკის განვითარების, ქიმიურ გამოკვლევათა და
 სხვა ამ გვარ საშვალებით ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის შე-
 სახებ; ასეთ საშვალებებმა მთელი რევოლუცია შეიტანეს უკ-
 ვე და შეაქვთ დღესაც ადამიანის ეკონომიკურ საქმიანობაში.
 ადამიანი აუმჯობესებს მიწის ნიადაგს ხელოვნურ სასუქით,
 რწყავს უდაბნოს ხელოვნურათ გაყვანილ წყლის არხებით; იგი
 არჩევს მცენარეს, თუ სად და როგორ დარგოს თუ დასთესოს
 იგი, ამყნის იმას, არჩევს ცხოველს, თუ სად რა თვისების გა-
 ზარდოს იგი, სად და როგორ გამოიყენოს და სხვ.

* * *

ადამიანის შრომა ეს მეორე, უდიდესი ფაქტორია წარმო-
 ების და უფრო აქტიურიც, ვინემ ბუნება. შრომის წესი სხვადა-
 სხვა ისტორიულ ხანაში და სხვადასხვა სოციალურ - პოლიტი-
 კურ ურთიერთობის პირობებში სხვადასხვა ნაირია და სხვადა-
 სხვა ნაირი შედეგიც თანახლავს ჩმას; მაგრამ ამ უამათ ჩვენს
 საგანს არ წარმოადგენს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის
 ყოველმხრივ გარჩევა; ჩვენ ახლა დაკამაყოფილდეთ იმის
 გარკვევით, თუ რა როლს თამაშობს ეკონომიკურ სა-
 ქმიანობაში შრომის მომცემი — მოსახლეობა.

მთელ დედამიწაზე 1.800 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვ-
 რობს; ყველა ქვეყნებში ერთნაირად არ არის ეს მოსახლეობა
 განაწილებული. მაშინ როცა აესტრალიაში და ოკეანიაში მო-
 სახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 0,9 მცხოვრებს ერთ კვ. კი-
 ლომეტრზე და სამხრეთ ამერიკაში — 4, ევროპაში საშუალოდ
 იგი აღემატება 50 მცხოვრებს ერთ კვდრ. კილომეტრზე. მე-19
 საუკ. დასაწყისში (1811 წ.) მთელი მოსახლეობის რიცხვი დე-
 დამიწაზე 900 მილ. სულს შეადგენდა, მე-20 საუკუნის და-
 საწყისში კი (1911 წ.) იგი 1.650 მილ. სულს აღემატებოდა. ასი

წლის განმავლობაში მსოფლიოს მოსახლეობა 83% გაზრდილა; ხოლო რამდენათ მოსახლეობა იზრდებოდა იმდენათ იმის ბრძოლა ბუნების დასამორჩილებლათ აღვილდებოდა; მციდონოთ დასახლებული ქვეყნები უმეტეს შემთხვევაში უფრო დიდ კეთილდღეობაში იმყოფებიან, ვინემ მცირეთ დასახლებული.

მოსახლეობის ზრდის უპირველესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ბუნების კანონი არის: მეტი ადამიანი იბადება და ნაკლები კვდება; მაგრამ ყველა ქვეყნებში ეს წესი ერთსა და იმავე პირობებში და ერთნაირის ტემპით არ მიმდინარეობს — ზოგან მოსახლეობა უფრო სწრაფის ნაბიჯით იზრდება, ზოგან კი, წინააღმდეგ, ნელის ნაბიჯით მიღის წინ. აქ დიდ როლს თამაშობს არა ბუნება მხოლოდ, არამედ ცხოვრების საერთო პირობებიც : კვება, საღვომი, ჰიგიენა, შრომის პირობები და სხვ.

თვით სახელმწიფოს საზღვრებში ხშირად მოქმედობს ხელოვნური მიზეზი მოსახლეობის ზრდისა ერთ კუთხეში და დაკლების მეორე კუთხეში, ხდება შინაური ემიგრაცია და იმიგრაცია : სოფლის მოსახლეობა ქალაქებისკენ მიისწრაფის, სოფელი თანდათან ცალიერდება, ხოლო ქალაქები კი იზრდებიან. ასევე მოქმედობს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობაზე ემიგრაცია და იმიგრაცია გარედან, ერთ სახელმწიფოდან მეორეში გადასახლება. ხუთი წლის განმავლობაში (1920 - 24) გადასახლებულა ამერიკაში : გერმანიდან—241 ათასი ხელი, ავსტრიიდან—38 ათასი, დიდი ბრიტანეთიდან 984 ათასი, იტალიიდან—1.614 ათასი, ორლანდიდან—107 ათასი და სხვ. წინააღმდეგ, ჩამოსახლებულა ამავე დროს : შეერთ. შტატებში—2.865 ათასი, კანადაში—577 ათასი, არგენტინაში (4 წლის განმავლობაში)—694 ათასი და სხვ.

შემდეგ აღსანიშნავია გარეშე ერების ნებით და უფრო უნებლიერ, ძალდატანებით, შემოერთება, დაპყრობა. ხდება თუ

არ ხდება ასიმილიაცია დაპყრობილ ერთა, სახელმწიფო მათ შრომას მაინც თავის შეხედულებისამებრ იყენებს, ავტოლექს რა მათზე საერთო კანონებს და ხშირად განსაკუთრებულსაც, და მათი ნაშრომი სახელმწიფოს საერთო სიმდიდრეს ემატება. რამდენათ დიდ როლს თამაშობს ხშირად შემოერთებულ ქვეყნების მოსახლეობა სახელმწიფოს საერთო მოსახლეობის ზრდაზე, და მაშასადამე იმის სიმდიდრის დაგროვების პირობებზე, ამის მაგალითს, სხვათა შორის, იძლევა რუსეთი. პეტრე დიდის დროს (1724 წ.) რუსეთის იმპერიის მოსახლეობა უდრიდა სულ 13 მილ. სულ; 1796 წ. იგი შეადგენდა 36 მილ.; ხოლო აქედან 29 მილიონამდის იყო გაზრდილი ის ძირითადი მოსახლეობა, 1724 წ. რომ 13 მილ. უდრიდა, ხოლო 7 მილ. წარმოადგენდა მოსახლეობას „შემოერთებულ“ ქვეყნებისას (პოლონეთის და ნოვოროსიის); 1815 წ. რუსეთის იმპერიის მოსახლეობა უკვე 45 მილ. უდრის; აქედან ძირითადი მოსახლეობა (ე. ი. 13 მილ.) ასულა 30,5 მილ. და შემოერთებულ ქვეყნების — 14,5 მილ. (პოლონეთის და ნოვოროსიის ახლა ფინლანდია და ბესარაბია მოემატა); 1897 წ. რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობა ადის 129 მილიონამდის, აქედან პეტრე დიდის დროინდელი (13 მილ.) 65 მილ. არის ასული და შემოერთებულ ქვეყნების — 64 მილიონამდის *). ასეთი წესი მოსახლეობის ზრდის, რასაკვირველია, ნორმალურ წესათ არ ჩაითვლება.

მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ეკონომიკურ მსოფლმხედველობაში ხანდახან შიშაც იწვევდა; ფიქრობდენ, რომ მოსახლეობის ზრდა უფრო სწრაფის ნაბიჯით მიღის წინ, ვინემ ზრდა მისი მოთხოვნილების დასაქმეოფილებელ საშვალებათ. ამბობდენ (ინგლისის ეკონომისტი Malthus), მაშინ როცა მოსახლეობის ზრდა ხდება გეომეტრიული პროგრესით (1, 2,

*) II. Н. Милюковъ «Очерки по истории Русской Культуры»,
1909 წ., ტ. I, გვ., 24-25.

4, 8, 16, 32, 64...), წარმოება თუ ნაწარმოების მოცულების იზრდება არითმეტიკული პროგრესით (1, 2, 3, 4, 5, 6, 7...), და აქედან ის დასკვნა გამოყავდათ, რომ თუ მოსახლეობის ზრდა ასეთის ტემპით განვითარდა, დადგება დრო, როცა მას საარსებო საშვალებანი აღარ ეყოფა და ხალხი ამოიხოცება. ამას პრაკტიკული რჩევაც მოყვებოდა, როგორც მაგალითად, ლარიბები არ უნდა ქორწინდებოდენ და სხვ. თუმცა მალტუსის თეორიის გავლენა ერთ დროს დიდი იყო, იგი ცხოვრებამ არ გაამართლა. საუკუნეში მეტმა განველო მას შემდეგ და ჩვენ სულ წინააღმდეგ მოვლენას ვხედავთ; თავი რომ გავანებოთ ამ საკითხის ამ საუკუნის განმავლობაში ისტორიულათ განხილვას, ფაქტი ის არის, რომ ადამიანი დღეს უკეთესად ირჩენს თავს, უკეთესად არის ჩატმული და დახურული, ვინემ ერთი საუკუნის წინ, როცა დედა - მიწაზე მცხოვრებთა რაცხვი იმის ნახევარი იყო, რაც დღეს არის; ახლანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიც განა იმას არ მოწმობს, რომ ადამიანის საქმიანობამ და კერძოთ ცოდნის და ტეხნიკის განვითარებამ იმდენათ წინ წასწია ადამიანის შემოქმედებითი უნარი, განსაკუთრებით დაწინაურებულ ქვეყნებში რომ სწორეთ საარსებო საშვალებათა სიმრავლემ წინ გაუსწრო ზრდას მოსახლეობისას. აი ამ ზრდის მაჩვენებელიც 1913 წლიდან (100) 1925 წლამდის მთელ მსოფლიოში :

ნაწარმოების
(1913 წ.
ფასებში):

მოსახლეობის:	
ეკროპაში	101
ჩრდ. ამერიკაში	119
მსოფლიოს დან. ნაწილში	106
მთელ მსოფლ. საერთოდ	106
	103
	127
	130
	118 *)

*) « Le Cours et les Phases de la Dépression Economique Mondiale », Edit. Soc. des Nations, 1931.

ჩვენი დროის ეკონომისტები და სახელმწიფო მოღვაწეები იმას ამტკიცებენ, რომ ზრდა მოსახლეობის ქვეყნისთვის არა ბედნიერება; რამდენათ მეტია ქვეყანაში მოსახლეობა, იმდენათ მეტია შრომა იხარჯება, იმდენათ მეტია ნაყოფი ამ შრომის და იმდენათ იზრდება ქვეყნის საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ამიტომ ჩვენ გხედავთ, რომ ზოგ ქვეყნებში სხვადასხვა ზომებს მიმართავენ მოსახლეობის ბუნებრივი გზით გაზრდისთვის ასე მაგალითად, აძლევენ პრემიებს ცოლშვილიან და მრავალ შეილიან ოჯახს (საფრანგეთში), გადასახადს აწესებენ მარტოხელ ადამიანზე, მათ უკრძალავენ ზოგიერთ სახელმწიფო თანამდებობას (იტალია) და სხვ. რიცხვი ჰქმნის არა მარტო სიძლიერეს (puissance) ხალხისას, არამედ იმის სიმდიდრესაც, იმიტომ რომ „სიმდიდრე კი არ ჰქმნის ადამიანს, არამედ ადამიანი ჰქმნის სიმდიდრეს“; ადამიანთა რიცხვი და ლირსება ერთი - მეორეს არ ეწინააღმდეგება, პირიქით ავსებს ერთი მეორეს, „ურიცხვოთ არ არის თვისება, როგორც უხეებოთ არ არის ტყე და უადამიანოთ — კაცობრიობა“. მცხოვრებთა სიმრავლე ხელს უწყობს ქვეყნის თავდაცვას, მრეწველობის და კულტურის განვითარებას, სოციალურ ცხოვრების განვითარებას, ამაღლებს სახელმწიფოს ავტორიტეტს და სხვ. *).

ხელვნური საშვალებანი მოსახლეობის ზრდისთვის (ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, ერების დაპყრობაზე არ ვამბობთ) მიზანს ვერ აღწევენ, რადგან მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა არავთა განსაზღრულ კანონს და წესებს არ ემორჩილება. ერთად ერთი დასკვნა, რასაც დაკვირვება იძლევა ის არის, რომ სიდაც ცხოვრება უფრო პრიმიტიულია და ბუნებრივი საშვალებანი მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლათ მეტია, იქ მოსახლეობა უფრო მეტის სისწრაფით იზრდება (დიდია მშობია-

*) Mario Gianturco « Le Problème Internationale de la Population » — Revue Politique et Parlementaire », 1930, p. 225. და შემდ.

რობა — natalité), მაგ. რუსეთი, სერბია და სხვ.; ხოლო იქ, სადაც საზოგადოება აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს, ე. ი. ადამიანი უფრო განვითარებულია, მისი მოთხოვნილება იზრდება, ცხოვრების პირობები გართულებულია და იგი ადამიანისაგან მეტსა და მეტს ენერგიასა და მომზადებას მოითხოვს, სადაც ძლიერდება ბრძოლა არსებობისთვის, იქ მოსახლეობის ზრდა შენელებულია (საფრანგეთი, ინგლისი) *).

ფრანგის მეცნიერის Levasseur-ის აზრით, რამდენათ საზოგადოება ეკონომიურ განვითარების უმაღლეს საფეხურზე ადის, იმდენათ მოსახლეობის სიმჭიდროვე მატულობს, მაგრამ ეს სრულებითაც უბედურებას არ წარმოადგენს, რადგან საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე იცვლება წესი ადამიანის მიერ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. როცა საზოგადოება განვითარების სულ დაბალ საფეხურზე იმყოფებოდა და ადამიანი თავს ირჩენდა ნაღირობით, მას მეტი ტერიტორია სჭირდებოდა, რომ მის განკარგულებაში მეტი

* აუ ნიადაგზე სხვადასხვანარი თურქებიც წარიაშვა, მაგ. ინგლისში Birth-control; ამის მოშერენი ამბობენ, რომ მშობიარობა უნდა შემოკლდეს და ხალხი უფრო ბედნიერი იქნება, უფრო მდიდარი, უფრო მოწყობილი და უფრო დიდხანს იცოცხლებს. როგორც ვსოქვით, ცხოვრებამ ეს შეხედულება არ გაამართლა. 1912 წ. ლონდონში განსაკუთრებულმა კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა ახალ მიმართულებას, ცნობილს სახელწოდებით «Eugenism». ამის მიმდევართა მიზანია, საკონცების თეორეტიულათ დამუშავებით და პრაკტიკულ მოღვაწეობით მფარველობა გაუწიონ კაცობრიობას, განსაკუთრებით ოცნერ რასას, რომ იგი არ გადაშენდეს; საზოგადოებაში ბევრია ალკოგოლიკი, ჭლექიანი, სიფილიტიკი, ეპილეპტიკი, გიური და სხვა ასეთები; მათი ჩამომავლობა ვრცელდება და მძიმეთ აწევს საზოგადოების ჯანმრთელ ნაწილს; ამას ბოლო რომ მოელოს, ამისთვის, მათი აზრით, საჭიროა: იმიგრაციის სასტიკი კონტროლი, დაქორწინების ნებართვა მხოლოდ ჯანმრთელებს და სხვ.

სანალირო ადგილი ყოფილიყო. ტერიტორიის იმავე სიცრცეშე ადამიანთა გაცილებით მეტი რიცხვი ირჩენდა თავს, როცა ადამიანმა განვითარების შემდეგ პერიოდში ფეხი შედგა — ნადირობიდან მეჯოგეობაზე (მწყემსობაზე) რომ გადავიდა; კიდევ უფრო ნაკლები ტერიტორია სჭირდებოდა მას, როცა იგი უკვე ერთ ადგილზე ბინავდება და მიწათ - მოქმედებას მოკიდა ხელი (ამ პერიოდში 40 გუბენივრების ერთ კვ. კილო-მეტრზე დასახლება ნორმალურათ უნდა ჩაითვალოს). საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდეგ პერიოდში — სამრეწველო ხანა, როცა ტეხნიკა ვთარდება, 120 - 160 ადამიანი (სამჯელ თუ ოთხჯელ მეტი, ვინემ მიწათ - მოქმედების ხანაში) ერთ კვ. კილომეტრზე კარგად ცხოვრობს; დასასრულ, როცა აღებ - მიცემობა განვითარების უმაღლეს საფეხურს აღწევს და საზოგადოებას ეძლევა საშვალება სხვა ქვეყნები-დანაც შემოიტანოს საკვები და ნედლი მასალა (უცხოეთში საკუთარ ნაწარმოების გაცვლის საფუძველზე), მოსახლეობის სიმჭიდროვე შეიძლება კიდევ უფრო და უფრო განვითარდეს და ეს არავითარ საფრთხეს ერის კეთილდღეობისთვის არ წარმოადგენს *).

ამნაირათ, რამდენათ სახალხო მეურნეობა განვითარების დაბალ საფეხურზე იმყოფება, იმდენათ მეტი ტერიტორია არის საჭირო მოსახლეობის კეთილდღეობისთვის. ისეთი ქვეყნების მოსახლეობა, როგორიცაა ბელგია, ჰოლანდია, შვეიცარია, დანია პატარა ტერიტორიის ფარგლებშიც კარგათ ირჩენს თავს, იმიტომ რომ, აქ სახალხო მეურნეობა, როგორც სამრეწველო ქალაქებში, ისე სოფლათ, უმაღლეს საფეხურამდის არის განვითარებული; წინააღმდეგ, ჩამოართვით მიწა და მცირე ტერიტორიაზე შეკუმშეთ განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მყოფ აფერიკის, სამხრეთ ამერიკის და სხვა ჩამორჩენილ ქვეყნების მოსახლეობა და იგი შიმშილით ამოიხოცება; უზარ-

*) E. Levasseur « La Population Française », 1892, T. III,
p. 473—481.

მაზარ რუსეთის მოსახლეობა ხშირად განიცდის შიმშილს, იმიტომ, რომ იქ ეკონომიური ცხოვრება განუვითარებელია, მოსახლეობა გაუნათლებელი. რიცხვი მოსახლეობის, მისი რაოდენობა, ღირსებათ ვერ იქცევა (რაოდენობა თვისებათ ვერ გადაიცევა), თუ მას ამისთვის ხელის შემწყობი სხვა პირობებიც არ ახლავს (მაგალითები: რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის) და ამ პირობებში უპირველესია კულტურა, განათლება მოსახლეობას.

საზოგადოების კეთილდღეობა, უნარი მისი ეკონომიურ საქმიანობის ძალიან დამოკიდებულია ამ საზოგადოების კულტურულ განვითარებაზე. საზოგადოება იმდენათ უფრო იმორჩილებს ბუნების პირობებს, რამდენათ მას შეუძლია თანამედროვე ცოდნა და ტეხნიკა ეკონომიურ საქმიანობაში გამოიყენოს. ამიტომ მოსახლეობის რაოდენობასთან ერთად დიდ როლს თამაშობს ის „ხარისხიც“ ამ მოსახლეობის, რომელსაც მას კულტურული განვითარება აძლევს.

ჩვენ ვსთქვით, რომ თანამედროვე ერი ერთ ეკონომიურ ორგანიზმს წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში ამისკენ მიისწრაფის. ამიტომ, რამდენათ ამ „ორგანიზმში“ სპარბობს ელემენტი, რომელიც ერთნაირის წარსულით, ერთის კულტურით, ერთნაირ ზენ- ჩვეულებით, ერთნაირ სამოქალაქო უფლებით, ერთნაირ ინტერესით არის აღჭურებილი, იმდენათ იმის განვითარება ნორმალურ წესით მიმდინარეობს. წინააღმდეგ, თუ სახელმწიფოს ეროვნული შემადგენლობა სხვადასხვანაირია, სხვადასხვა ეროვნულ იდეალს ისახავს იმის საერთო მოსახლეობის შემადგენელი ელემენტები, იმდენათ ინტერესთა შეთანხმება მოლიან ეროვნულ ორგანიზმის დასაცავად რთულდება; ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლებისთვის არის იმავე დროს ბრძოლა ეკონომიურ კეთილდღეობისთვისაც.

ერი სხვადასხვა სოციალურ ფენებს წარმოადგენს; ინტერესთა წინააღმდეგობა ეკონომიურ ნიადაგზე მათ შორის დიდია და ბრძოლა ხშირად მწვავე სასიათს იღებს, ხშირად რევოლუციური ციებითაც თავდება. რამდენათ სახელმწიფო კანონმდებ-

ლობა ამ საწინააღმდეგო ინტერესთა დაცვის თავისუფალ და ლეგალურ საშვალებას იძლევა, იმდენათ ერის ყველა სასიცო-ცხლო ძალების განვითარება ნორმალურ წესით მიმდინარეობს ხალხი გულმოდგინეთ იცავს თავის ეროვნულ ინსტიტუ-ტებს, თავის მიწა-წყალს, მისთვის სასიკვდილოთ თავისდამდე-ბია. ამიტომ პოლიტიკური წესწყობილება და სისტემა მართვა-გამგეობის დიდ როლს თამაშობს ყველა სასიცოცხლო ძალთა განვითარებისთვის, იმის საუკეთესოდ გამოყენებისთვის, იმის დაზოგვისთვის.

შრომა მონის, ყმის, შრომა ძალდატანებული ნაკლებ შედე-გებს იძლევა (რომაელების იმპერიაში გამოანგარიშებული იყო, რომ მონა ნახევარს აკეთებდა, ვინემ თავისუფალი ადამიანი), იყი მეტ ადამიანს მოითხოვს. ჩვენ ვხედავთ, რომ ეგვიპტეში უზარმაზარი პირამიდები აუგიათ და უდიდესი არხები გაუყვა-ნიათ მონების საშვალებით, მაგრამ იგი იყო შრომმა დაუზოგავი; იმ დროს კაცი არაფრათ ფასობდა, არა ადამიანურ შრომით წაქცეულთა და დაღუპულთა რიგები ახლები ცვლიდენ. პირველ ყოფილ ადამიანისთვის, მონისთვის ენერგიის მიმეუმი ძალა იყო არა აზრი, არა გონება, არამედ ერთი და იგივე მოქმედების მეთოდიურათ განმეორება — რიტმი. დღევანდელ შრომის პი-რობები გართულებულია, გართულებულია შეუდარებლათ; თა-ნამედროვე ტეხნიკა მოითხოვს მომუშავიდან არა ფიზიკურ ძა-ლას მხოლოდ, არამედ განვითარებულ გონებასაც; ხოლო ადა-მიანის გონების განვითარებას თან ახლავს ზრდა იმის მოთხოვ-ნილებების, შეგნება მისი ადამიანური ლირსების, მიღრეკილება თავისუფლებისადმი. შრომის თავისუფალი პირობები, იმის კა-ნონით დაცვა, იმის სამართლიანი დაფასება — სახელმწიფოს შიგნით, ხოლო ეროვნული თავისუფლება, თავისი საკუთარი კანონმდებლობა — სხვა ერებთან დამკიდებულებაში აგრედ-ვე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარე-ბაზე.

თუ მოსახლეობის ზრდა ბედნიერებაა ქვეყნის, ზრუნვა

ადამიანის ჯანმრთელობაზე ეკონომიურ განვითარების ქვეყუ-
თხედია. რამდენათ მეტს ძლებს ადამიანი, რამდენათ მწარმოე-
ბელი (მომუშავე) ჰასაკში მყოფ ადამიანთა რიცხვი სჭარბობს
მოსახლეობაში, იმდენათ ჯამი მწარმოებელ შრომის მეტია
ქვეყანაში. ჰასაკის მიხედვით მოსახლეობა იყოფა :

ა) არა მწარმოებელი (არა მომუშავე) ჰასაკის — დაბადე-
ბილან (0) - 15 წლამდის და მოხუცნი — 70 წლის ზევით;

ბ) ნახევრად მწარმოებელი ჰასაკის — 15 - 20 წლამდის
და — 60 - 70 წლამდის;

გ) მწარმოებელი (მომუშავე) ჰასაკის — 20 - 60 წლამდის.
ამის მიხედვით განხილული უნდა იქმნას მოსახლეობის
შემადგენლობა, რადგან ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სა-
ზოგადოების ეკონომიურ საქმიანობისთვის.

* *

ამნაირათ, ჩვენ გავეცანით საერთო პირობებს იმ ორი
მნიშვნელოვანი ფაქტორისას, უმთავრეს გავლენას რომ ახდე-
ნენ საზოგადოების ეკონომიურ საქმიანობაზე : ბუნებას და
შრომას.

ის, რაც ითქვა ბუნების შესახებ საზოგადოთ და მსოფ-
ლიო მასშტაბით, სახელმწიფოს საზღვრებში, ერის ცხოვრება-
ში, განისაზღვრება იმის საკუთარ ტერიტორიით, იმის სივრ-
ცით, აგებულობით, ჰავით და შემადგენლობით.

მოსახლეობა ქვეყნის არის გამომხატველი იმის ეროვნულ
შემოქმედების ყოველ დარგში : მისი შრომის უნარზე, შემა-
დგენლობაზე, კულტურაზე, ორგანიზაციაზე არის დამოკიდე-
ბული საზოგადოების ეკონომიური საქმიანობა, ერის ეკონო-
მიური კეთილდღეობა.

საკუთარ ტერიტორიის და საკუთარ ხალხის გარეშე არ
არსებობს ეროვნული შემოქმედება, ერის მთლიანი სახეობა

აქ მოსჩანს, მისი ნიჭი აქ იფურჩქნება, მისი სიმდიდრე — სულიერი და ნივთიერი — აქ გროვდება და სილარიბეც აქ აშკარავდება.

ერავინ იტყვის, რომ ის პირობები, ერთი ერის ნივთიერ და კულტურულ განვითარებაზე რომ უმოქმედნიათ, მეორეზე ვერ იმოქმედებენ; ადამიანები ერთი მეორეს უფრო ემსგავსებიან, ვინემ განსხვავდებიან — არ არის ერი რჩეული...

საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებას უკეთესად მაშინ გავეცნობით, უფრო სწორი წარმოდგენა იმაზე მაშინ გვექნება, როცა სხვა დაწინაურებული თუ ჩამორჩენილი ერებას ცხოვრების განვითარების თუ ჩამორჩენის საერთო პირობებს ვიცნობთ.



II

సాహిత్యాలో తిఱితొలగించి

६

1.

საქართველოს მინისტრის

ჩვენ საგანს არ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის შესწავლა ისტორიულათ; მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ქართველთა ტომი იქ დაბინავდა, სადაც დღეს ცხოვრობს, სივრცე მის განკარგულებაში არსებულ ტერიტორიის ხან მატულობდა და ხან კლებულობდა. ზრდა იმის სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ იყო მიმართული და, წინააღმდეგ, უმთავრესად აქედან სჭრიდენ მის ტერიტორიას გარეშე ერები; ხოლო ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი და დასავლეთით — შავი ზღვა მისი ტერიტორიის ხელშეუხლებელ საზღვრებს წარმოადგენდენ ყოველთვის, თუ საქართველო მთლიანად დაპყრობილი არ იყო და დამოუკიდებელ სახელმწიფოს სახეს სულ არ კარგავდა.

ისტორიის ასეთ განაჩენს საქართველო ვერც მეოცე საუკუნეში ასცილდა და დღევა-დელი მისი ტერიტორია იმას აღარ წარმოადგენს, რასაც რუსეთის საქართველოში ხელმეორედ შემოსვლის წინ.

საქართველოს ტერიტორიას, იმის დღევანდელ საზღვრებში, ანგარიშობენ 68.865 კვ. კილომეტრიდან 71.619,4 კვ. კალომეტრამდის *).

*) რამდენიმე (საბჭოთა) ოფიციალურ გამოცემაში, რომითაც ჩვენ ვისარგებლეთ, სულ სხვადასხვანაირი ცნობაა:
 1) Атлас С.С.С.Р., изд. ГИКА, Москва, 1928 წ.—68.865 კვ.



საქართველოს
მთავრობის

საბჭოთა გამოცემებში ჩვენ ვერ ვიპოვეთ სრული მანკიფრადის ში იმის, თუ რამდენი ტერიტორია დაკარგა საქართველომ იმიდან, რაც დამოუკიდებელ რესპუბლიკის დროს (1921 წლის დასაწყისში) მის საზღვრებში შედიოდა და ცნობილი იყო თევზ საბჭოთა კავშირის მიერ 7 მაისის 1920 წლის საქართველოს-თან დადებულ ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულების მუხ. მუხ. 3 და 4); ჩვენი ანგარიშით კი, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ტერიტორიიდან საბჭოთა ხელის-უფლებამ დაუთმო საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოს (ოსმალეთს, სომხეთს და აზერბაიჯანს) დაახლოვებით 12.715 კვ. კვერსტი ანუ 13.564 კვ. კილომეტრი (არსებული ტერიტორიის დაახლოვებით ერთი მეტეთედი), სახელდობა :

1. არდაგანის ოლქი	4.917	კვ.	ვ. ანუ	5.245	კვ. კლმ.
2. ართვინის „	2.875	„	„	3.067	„ „
3. ბორჩალოს მაზ. ნაწილი	3.573	„	„	3.812	„ „
4. ნაწილი ყარაიაზ. რაიონის		ყოფ. ტფილ. გუბერნიაში	?		?
5. ნაწილი ბათომის ოლქის	1.350	„	„	1.440	„ „

ჩვენ არათერს ვამბობთ ზაქათალის ოლქის (საინგილო) შესახებ, რომელიც ისტორიულათ, აღმინისტრატიულათ და ეკონომიკურათ საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წ.) ფაქტიურათ მას აზერბაიჯანი ფლობდა, იგი ჩვენსა და აზერბაიჯანის შორის სადაც საგანს წარმოადგენდა და იმის ბედი ურთიერთ შეთანხმებით ან არბიტრაჟის საშვალე-

კლმ.; 2) Народное Хозяйство Закавказья И.С.У., Тифлис, 1927 წ.—69.525 კვ. კლმ.; 3) საბჭოთა საქართველოს 10 წელი, გამოცემა საქ. ს.ს.რ. საგეგმო კომ., ტფილისი, 1931 წ.—70.094 კვ კლმ.; 4) საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.—საქართვ. საგეგმო კომისიის გამოცემა, ტფილისი, 1926 წ.—71.619,4 კვ. კილომ.

შიო უნდა გადაწყვეტილიყო. ზაქათალის ოლქის ტერიტორია უდრის 3.502 კვ. კმ-ს (3.736 კვ. კილომეტრს).

ტერიტორიის მიხედვით საქართველო მაინც, დღესაც, მსოფლიოში არსებულ ბევრ სახელმწიფოზე წინ დგას; ასე, სა-
ქართველოზე ნაკლები ტერიტორია უჭირავთ (კვ. კილომეტ-
რიბით):

ა) ევროპაში :

ლატვიას	65.791	ალბანეთს	27.538
ლიტვას	55.670	ლიუკსენბურგს	2.585
ესტონიას	47.549	დანცინგს	1.893
დანიას	44.326	ანდორას	452
შვეიცარიას	41.295	ლიხტენშტეინს	157
ჰოლანდიას	34.223	სენ - მარინოს	61
ბელგიას	30.444	მონაკოს	1,5

ბ) აშერიკაში :

დომინიკენს	48.577	სალვადორს	34.126
კოსტა - რიკას	48.550	პარაგვაის	28.700

ამნაირათ, ევროპაში და აშერიკაში დღეს არსებობს მთე-
ლი რიგი სახელმწიფოთა, სივრცით საქართველოზე ნაკლები,
დამოუკიდებლათ რომ ცხოვრობენ და თავისი საკუთარი რე-
სურსებით თავს რომ ირჩენენ; ხოლო ზოგი იმათვან პოლიტი-
კურათ და ეკონომიკურათ ფრიად თვალსაჩინო როლსაც თა-
მაშობს საქრთაშორისო ასპარეზზე. მართალია, ზოგს იმათ-
ვან აქვს კოლონიებიც, მაგალ., ბელგიას — კონგო; მაგრამ ბე-
ლგია მხოლოდ 1885 წელს დაეპატრონა კონგოს და ისიც 1908
წლიდის მეფის (ლეოპოლდ II-ის) კერძო საკუთრებას წარმოა-
დგენდა; დანია ფლობს გრენლანდიას, მაგრამ ეს ქვეყანა
მთლიანად ყინვარს წარმოადგენს და იმის მოსახლეობა 15
ათას სულს არ აღემატება; ჩაც შეეხება ისლანდიას, იგი 1918
წლიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენ' და მას



დანიასთან მხოლოდ მეფის სახელი და გვირგვინი ჰყავს მის გვარის გვარის დასახელებულ ქვეყნებში გამონაკლისს წარმოადგენს ერთად-ერთი პოლანდია, რომლის ეკონომიკურ ცხოვრებაში კოლონიებს თვალსაჩინო როლი ეჭირათ და უჭირავთ დღესაც.

ჩვენი მეზობელ და მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორია უდრის : სომხეთის — 30.948 კვ. კლმ., აზერბაიჯანის — 84.679 კვ. კლმ., ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ერთად — 96.200 კვ. კლმ.*) და ოსმალეთის — 763.000 კვ. კლმ. (აქედან აზიაში — 739 ათასი და უკროპაში — 24 ათასი).

საქართველოს მოსაზღვრენი არიან : აღმოსავლეთ - სამხრეთით — აზერბაიჯანი, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრეთით — სომხეთი და ოსმალეთი და ჩრდილოეთით (და ნაწილობრივ აღმოსავლეთით) — ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები. ახლა, როგორც თვითონ საქართველო, ისე ყველა იმის მოსაზღვრე ქვეყნები, გარდა ოსმალეთისა, შედიან საბჭოთა სოციალ. რესპუბლიკათა კავშირში.

საქართველოს საზღვრები გაჭიმულია დაახლოვებით 1.600 კილომეტრის მანძილზე; აქედან : შავი - ზღვის ნაპირი — 270 კლმ., ოსმალეთის საზღვარი — 210 კლმ., სომხეთის — 130 კლმ., აზერბაიჯანის — 290 კლმ. და ჩრდილოეთ კავკასიის — 700 კლმ.

ალმინისტრატიულათ მთელი საქართველო დაყოფილია შემდეგ ნაწილებათ :

*) ჩრდილ. კავკასია ახლა წარმოადგენს შემდეგ ავტონომიურ ერთეულებს (ფართობით ათას კვ. კილომ.): ჩეჩენეთი — 9,2, ინგუშეთი — 3,2, ყარაჩაი — 8,8, ყაბარდო — 12,2, ადიგეის ოლქი (ჩერქეზეთი) — 3,1, ჩრდ. ოსეთი — 6,0 და დალესტანი — 54,2; სულ 7 ავტონომიურ ოლქს საერთო ტერიტორიით — 96,200 კვ. კლმ.

აღმოსავლეთი საქართველო :

მაზრები და ავტონომ.	ფართობი
ერთეულები :	კვ. კილომ.
1. ახალქალაქის მაზრა	2.718
2. ახალციხის „	2.628
3. ბორჩალოს „	2.973
4. გორის „	4.722
5. სიღნაღის „	6.061
6. თელავის „	4.427
7. დუშეთის „	4.337
8. ტფილისის „	6.054
	სულ 30.920

დასავლეთი საქართველო :

9. ლეჩუმის „	2.231
10. ოზურგეთის „	2.000
11. რაჭის „	2.381
12. სენაკის, ფოთის რაიონით	2.068
13. ზუგდიდის „	2.574
14. ზემო-სვანეთის „	3.024
15. ქუთაისის „	3.502
16. შორაპნის „	2.769
	სულ 20.549

აფხაზეთის ს. ს. რ.

(იყოფა შემდეგ ნაწილებათ :
გალის, სოხუმის, კოდორის,
გუდაუთის და გაგრის) 8.111

აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ.

(ნაწილები : ხულოს, ჭოროხის,
ჭობულეთის, აჭარის-წყლის და
ქედის) 2.577
სამხრ. ოსეთის ავტონ. ოლქი 3.708

სულ მთელი საქართ. 68.865

ამნაირათ, საქართველო აღმინისტრატიულად მიღებული გენს : 16 მაზრას და 3 ავტონომიურ ერთეულს (აფხაზეთის და აჭარისტანის რესპუბლიკა და სამხრ. ოსეთის ავტონომ. ოლქი).

ამ რამდენიმე ხნის წინეთ მოხდა საქართველოს აღმინისტრატიული დაყოფა 690 სასოფლო საბჭოთ; ეს სასოფლო საბჭოები თავს იყრიან სამ საქალაქო საბჭოს (ტფილისის, ქუთაისის, ფოთის) და 48 რაიონულ ცენტრის ირგვლივ, გარდა ავტონომიურ ერთეულებისა. მთელ საქართველოში 4.918 სოფელია; ერთი სასოფლო საბჭო აერთებს საშუალო რიცხვით შვიდ სოფელს. ამნაირათ, მთელი საქართველო წარმოადგენს :

რაიონს: სასოფ. საბჭ.: სოფელს:

საქართველო (ავტ. რესპ.			
გარდა): 3 საქ. საბჭოს და 48	546		3.541
აფხაზეთი	5	96	530
აჭარისტანი	4	20	293
სამხრეთ ოსეთი	3	28	554 *)

საქართველოში სივრცე ერთი სოფლის უდრის საშუალოდ 14 კვ. კილომეტრს, დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ევროპაში სივრცე კომუნის; ასე, შვეიცარიაში ერთი კომუნის სივრცე საშუალოდ უდრის 13,7 კვ. კილომეტრს, საფრანგეთში 14,5 კვ. კლმ. და სხვ.

*) „საბჭოთა საქართველოს 10 წელი”, სტატისტ. კრებული, ტფილისი, 1931 წ.

საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი

(რ ე ლ ი ე ც ი) *)

საქართველო მდებარეობს დაახლოებით ჩრდილოეთ აკოლიების (latitude, შირით) 41-44 გრ. შორის და აღმოსავ-ლეთ გაკოლიების 41-47 გრ. შორის. (longitude, დონითა) ამნაი-რათ, საქართველო დაახლოებით იმავე აკოლიებაზე **) მდე-ბარეობს, როგორც ევროპაში ბულგარეთი, ალბანეთი, ჩრდ. იტალია, სამხრ. საფრანგეთი.

საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი მეტად ჭრელ სუ-რათს წარმოადგენს. დაწყებული ადგილებიდან, რომელნიც ზღვის დონეს არ აღემატებიან (0 - 25 მეტრი), და გათავებუ-ლი მთის უმაღლეს მწვერვალებით (5 ათას მეტრზე მაღალი), იგი შეიცავს დაბლობებს, ლრმა და ვიწრო ხეობებს, გორაკებს, ადამიანით დასახლებულ მთებს და მთის ფერდოებს და ადა-მიანისთვის თითქმის სავსებით მიუწოდომელ მთაგრეხილებს, კლდეებს და ყინვარებს. ეკონომიურ თვალთაზრისით, ბარი თუ სავსებით გამოყენებულია (გარდა ზოგიერთ ჭაობიან ადგილე-ბისა), სამუშაროთ, მთიან ადგილების შესახებ ამას ვერ ვი-ტყვით ***).

*) პროფ. ალ. ჯავახიშვილი „საქართველოს გეოგრაფია“ ტ. I, ტფილისი, 1926; A. F. Ляйстер и Г. Ф. Чурсин “География Закавказья”; კრებული “Закавказье”, изд. Высш. Экон. Совета З.С.Ф.С.Р. 1925; პროფ. გ. გეხტმანი „საქართველოს ეკონომ. გეოგრაფია“, ტფილისი, 1926 წ.

**) ამ ტერმინს ხმარობს პროფ. ალ. ჯავახიშვილი „სა-ქართველოს გეოგრაფიაში“, ტ. I, გვ. 1.

***) პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ქვეყანა მდებარეო-ბის მიხედვით ორად იყოფებოდა: ერთს შეადგენდა „ბარი“, მეორეს „მთა“მიწა-წყლის ასეთი დანაწილება საქართვე-

* * *

მთები. მთებს დიდი ფართობი უჭირავს საქართველოში. უმთავრესი ადგილი მათ შორის კავკასიონის ქედს — მთავარ-სა და მცირეს — ეკუთვნის. კავკასიონის მთავარი ქედი ეპვ-რის საქართველოს ჩრდილოეთით, იგი მიყვება მის საზღვარს, დაწყებული შევიდან (აფხაზეთში) და შემდეგ კასპიის ზღვის ნაპირს (აფშერონი) სწვდება; მთელი იმის სიგრძე თით-ქმის 1.500 კილომეტრია და სიგანე 110 - 160 კლმ. აღწევს. ეს ქედია კავკასიის რომ ორ ნაწილად ყოფს : იმიერ (ჩრდილო-ეთ) და ამიერ - კავკასიია. მრავალ ადგილას მუდმივი თოვლია და ყინვარებით დაფარული, იმის მწერვალები შორიდანაც საუცხოვო სურათს წარმოადგენს დასანახავად, ხოლო მისა-სვლელად კი ბევრ ადგილას იგი სრულად მიუწოდომელია ადა-მიანისთვის. კავკასიონის მთავარი ქედი ხშირად 4.500 მეტრის სიმაღლეს აღწევს და ზოგან 5.000 მეტრსაც აღმატება; სა-ქართველოს საზღვრებში კავკასიონის უმაღლესი მწვერვალია ყაზბეგი (მყინვარი) — 5.043 მეტ. *) კავკასიონის მთის ქედი მხოლოდ ორ ადგილას არის გზებით გაკრილი, * თუ პატარა მთის ბილიკებს არ ვიანგარიშებთ : მამისონის უღელტეხილზე (2.825 მ. სიმაღლე) ქ. ქუთაისიდან ალაგირის მიმართულებით (ოსეთის სამხედრო გზა) და ჯვარის უღელტეხილზე (2.379 მ. სიმაღლე) ტფილისიდან კავკავისკენ (საქართველოს სამხე-დრო გზა).

კავკასიონის ქედის სამხრეთით, მისდამი პერპენდიკუ-
 ლოსთვის იმდენათ ბუნებრივია, რომ ჩვეულებრივ ყველგან იხმარებოდა და საბუთებშიცაა აღბეჭდილი, გარკვეულ ხანი- თვან მოყოლებული მაინც“. იხ. მისი „საქართველოს ეკონო- მიური ისტორია“, წიგნი პირველი, 1930 წ., გვ. 131.

*) ყველაზე მაღალ მთის ჰიმალაიას (აზიაშია) სიმაღლე უდრის — 8.840 მეტრს ზღვის დონეს ზევით; იალბუზის (კავ- კასიონის ქედი) — 5.629 მ., მონბლანის (საფრანგ. ალპები) — 4.807 მ.

ლარულათ, მდებარეობენ ქართლის და კახეთის მთები, ხოლო პარალელურათ მას მიყვებიან და შემდეგ მასვე უერთდებიან მთაგრეხილები : გაგრის, ბზიბის, კოდორის (აფხაზეთში), სვანეთის, ლეჩხუმის და რაჭის. ზოგნი ამათგან შესანიშნავი ტყეებით არიან დაბურული, მშვენიერ ალპიურ საბალახო მდელოებს შეიცავენ, მრავალი მდინარე ჰპოვებს სათავეს ამ მთებში და ზოგან მუდმივი თოვლითაც არიან ისინი დაფარული (სვანეთის, კოდორის მწვერვალები და სხვ.). ბზიბის და რაჭის მთების სიმაღლე არსად აღმატება 3.000 მეტრს, ხოლო სვანეთის აღწევს 4.260 მეტრ სიმაღლეს (ნამკოვაში), კოდორის — 3.870 მეტრ. (მოგუაშირხა) და ლეჩხუმის — 3.875 მეტრ. (ფასის - მთა). ზემო სვანეთის მოსახლეობა მხოლოდ მდ. ინგურის ვიწრო ხეობით და მაღალ ულელტეხილებით (მაგ., ლატპარის — 2.834 მ.) უერთდება დანარჩენ ქვეყნიერობას, მაგრამ ზამთრის თვეებში ეს გზები გაუვალია და იქაური მცხოვრებნა სრულიად მოწყვეტილი რჩებიან დანარჩენ მოსახლეობიდან. ქართლის და კახეთის მთები საერთოდ უფრო დაბალი არიან; პირველის მხოლოდ ერთი მწვერვალი (მთა წმინდა) აღწევს 3.276 მეტრის სიმაღლეს და კახეთის მთების (მასარის მთა) -- 3.027 მეტრ.; მუდმივი თოვლის ზონას ესენი არ აღწევენ არსად

კავკასიონის მცირე ქედი საქართველოს სამხრეთით და სამხრეთ დასავლეთით აღიმართება; ისიც შავი ზღვის ნაპირიდან იწყება და აღმოსავლეთისკენ მდ. არაქსს უწევს. აქ იშლება მთების შემდეგი წყება : მესხის ანუ ქართლ-იმერეთის მთაგრეხილი (ერთ ნაწილში მას ეწოდება ლიხის მთა), რომელიც საქართველოს ორ ნაწილად ყოფს (აღმოსავლეთ და დასავლეთ) და სურამთან რკინის გზის ტონელით არის გაჭრილი (სიგრძით 4 კილომ.); ამ მთის კალთები ტყეებით არის დაფარული; იგი მხოლოდ თავის ბოლო ნაწილებში სამხრეთით და ჩრდილოეთით აღმატება სიმაღლით 2.000 მეტრს (ხოლო არსად უმაღლეს 2.500 მეტრისა), ორივე მხრიდან ექანება და სურამის ულელტეხილთან იმის სიმაღლე დაახლოებით 1.000

მეტრს უდრის. აჭარა - ახალციხის (აჭარა - გურიის) ანუ იმერეთის მთაგრეხილი შავი ზღვის ნაპირებიდან იწყება, გადასკრის გურიას (მდინარეები ჭოლოკი, ოჩამურა, ნოტანები და სუფსა) და ბორჯომის ხეობამდის მოდის; იგი თითქმის გადამულია თრიალეთის ანუ არჯევანის მთებზე, ბორჯომის უ ხეობაში რომ იწყებიან და ტფილისის არე - მარეს სწვდებიან (მთა - წმინდა ტფილისში ამ მთაგრეხილის ნაწილს წარმოადგენს); ეს მთებიც ტყეებით არის შემოსილი. ამ მთებს გადასკრის ახალციხე - ქუთაისის (ზეკარის ულელტეხილზე — 2.160 მეტრის სიმაღლეზე) და ბორჯომ - ახალქალაქის (ცხრა - წყაროზე — 2.450 მეტ. სიმაღლეზე) გზატკეცილები. აჭარა-ახალციხის მთების სამხრეთ - დასავლეთით მდებარეობს პონტის მთაგრეხილი, რომლის ნაწილს წარმოადგენს ქობულეთის და ჩაქვის მთები; ესენი, ორივე, შავი ზღვისკენ ეშვებიან და იმის ნაპირას — პირველი ციხის - ძირში და მეორე კახაბერში (ბათომთან) თავდებიან. ამ მთებში ხარობს მუხისა და წიფლის მშვენიერი ტყეები.

ჩვენ აღარ შევეხებით სხვა უფრო მცირე მნიშვნელობის მთებსა და ზეგან ადგილებს, რადგან ამის ზედმიწევნით შესწავლა უმთავრესად ფიზიკურ გეოგრაფიის საგანს შეადგენს; ნათქვამიდანაც ნათლად სხანს, თუ რაოდენი ადგილი უჭირავს საქართველოში მთებსა. თუ ჩვენ შევადარებთ ამ მხრივ საქართველოს ჩვენ მეზობელ ქვეყნებს — სომხეთსა და აზერბაიჯანს, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოში მთიან ადგილებს მეტი ფართობი უჭირავს, ვინემ აზერბაიჯანში, და ნაკლები, ვინემ სომხეთში. ასე, ძველებურ გუბერნიების მიხედვით გამოანგარიშებულია, რომ უჭირავთ ფართობი სიმაღლით ზღვის დონეზე ზევით *):

*.) ვსარგებლობთ М. М. Дубенский "Очерки по Эконом. Географии Закавказья", Тифлис, 1924 წ.; გადაყვანილია მეტრებზე ჩვენ მიერ.

600 մեტ. 600-1.800 մ. უფრო მაღ.

ყოფ. ქუთაისის	გუბ-ში	49,0 %	30,3 %	20,7 %
„ ტფილისის	„	23,3 „	56,5 „	20,2 „
„ განჯის	„	51,8 „	28,8 „	18,9 „
„ ბაქოს	„	80,0 „	15,8 „	4,2 „
„ ერევნის	„	3,6 „	46,1 „	50,3 „

ამნაირათ, სომხეთში (ყოფ. ერევნის გუბერნია) განსაკუთრებით მაღალი ზონა (1.800 მეტ. მაღალი) შეადგენს ტერიტორიის 50,3 პროც., აზერბაიჯანში (ყოფ. ბაქოს და განჯის გუბ.) კი წინააღმდეგ 4,2 და 18,9 პროც.; აღმოსავლეთ საქართველოში (ყოფ. ტფილისის გუბ.) სჭარბობს სიმაღლით საშუალო ზონა (56,5 პროც.) და დასავლეთ საქართველოში (ყოფ. ქუთაისის გუბ.) აღვილებს არა უმაღლეს 600 მეტრისა უჭირავთ ტერიტორიის 49 პროც. და 600 - 1.800 მეტ. — 30,3 პროც.; 1.800 მეტრზე უფრო მაღალ ზონას როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, უჭირავს ტერიტორიის 20 პროც. დაახლოვებით.

საქართველოს მაღალი მთები, უპირველესად ისინი, მის საზღვრებს ჩრდილოეთით და სამხრეთით თითქმის პარალელურათ რომ მიყვებიან, შემდეგ დანარჩენებიც — იმის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდენ ისტორიის განმავლობაში : აქ, ამ მთებში, აკავებდა ქართველი თავდამსმელთ და ამ მთების მიუვალ და დაბურულ ტყეებში თავს აფარებდა იგი დამარცხებული. მაგრამ მშვიდობიან დროში, ჩვეულებრივათ, მთა მრისხანეა : ძუნწია აღამიანისთვის საკვების მისაწოდებლათ (2.000 - 2.500 მეტრის ზევით ტყეც აღარ ხარობს), მიუვალია, ცივი, გაუგებარი. ამბობენ, რომ მრავალ ქვეყნის დამპყრობელ რომაელებს ალპები აშინებდა, ისინი ამ მთებს „გაყინულ საშინელებას“ უწოდებდენ. და აი სწორეთ ალპებში, ამ უმაღლეს მთების კალთებზე განვითარდა ერი, რომელიც თავის კულ-

ტურით, პოლიტიკურ წესწყობილებით და ეკონომიურ კეთილ-
 დღეობით თვით ევროპაშიც თითით საჩვენებელია; ეს არის
 პატარა შვეიცარია (მხოლოდ ალპებს უჭირავს შვეიცარიის ტე-
 რიტორიის თითქმის ნახევარი). მთების მრისხანე ბუნებასთან
 ბრძოლაში, იმის დასაძლევათ და საარჩეო პირობების გასა-
 უმჯობესებლად ბევრი შრომა დახარჯა შვეიცარიის ხალხმა
 და აქ გამოიჭედა ამ ქვეყნის შვილთა ის საუკეთესო თვისება-
 ნი, ასე რომ ახასიათებენ : „ხასიათის სიმტკიცე და მოთმინება,
 არაეთარი სიძნელე რომ ვერ აბრკოლებს... დისციპლინა და
 გრძნობა სოლიდარობის — აუცილებელი ადამიანისადმი მტრუ-
 ლათ განწყობილ ფიზიკურ პირობებში მცხოვრებ ხალხისათვის;
 ინიციატივა და პარტიკულიარიზმი, რადგან მთაში თუ სხვისი
 დახმარება საჭირო არის, ჯერ საკუთარ თავს უნდა დაეყრდ-
 ნოს ადამიანი; იქ თითოეული ოჯახი ჯერდება საკუთარ კე-
 რას, თითოეული სოფელი საკუთარ თემს, თითოეული და-
 ჯგუფება საკუთარ ხეობას. ამით აიხსნება პოლიტიკური და
 სოციალური დანაწილება შვეიცარიის, ფედერალური ფორმა
 სახელმწიფოსი, 25 პაწია რესუბლიკა მცირე ტერიტორიაზე
 შეთანხმებით და კმაყოფილებით რომ ცხოვრობს, თითოეული
 საკუთარ ორგანიზაციონით, ხასიათით, საკუთარ მიდრეკილებით
 და თავის კერძო მოთხოვნილებით**). ასეთ თვისებების წყალო-
 ბით, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ენერგიის საშვალებით,
 შვეიცარიის ხალხმა უმაღლესი მთები და ყინვარები დაიმორ-
 ჩილა. თუ ჩვენში რეინის გზა მხოლოდ ერთ ადგილას — სუ-
 რამის უღელტეხილთან — სჭრის მთას და ისიც მხოლოდ 4 კ.
 მანძილზე, და რეინის გზის ვიწრო ლიანდაგი სულ რაღაც 32
 კლმ. სიგრძეზე (ბორჯომიდან ბაკურიანამდის) ადის მთებში
 და უდიდესი ნაწილი ჩვენი მთების ურმითაც მიუვალია, --
 შვეიცარიის მთები რეინის გზით არის დასერილი და იგი ხში-
 რად უმაღლეს მთების მწვერვალებზე და ყინვარებზე არის აყ-

**) A. Dauzat « La Suisse Illustrée », p. 2.

ვანილი (მაგ. Youngfau-ს ყინვარზე — 3.200 მეტრის სიმაღლეზე); ას კილომეტრს აღემატება მხოლოდ უმთავრეს ტონელების სიგრძე ერთად აღებული *), ხოლო აქაურ ტონელების რიცხვი სულ 300 აღემატება. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეეიცარის მთებში ახლა ავტომობილები და კომფორტით მოწყობილი განიერი ოტოკარები დასრიალობენ. ამნაირათ, ეს უმაღლესი მთების ქვეყანა, მდებარე ევროპის შუაგულში, მთებმა — კლდეებმა ვერ დააბრკოლეს, რათა იგი სატრანზიტო გზათ გადაქცეულიყო აღმოსავლეთიდან-დასავლეთით და ჩრდილოეთიდან-სამხრეთ ევროპისკენ. მიმოსვლის გადავილების გამო საკუთარი მოსახლეობაც ძალიან სარგებლობს შთებით : 800.000 ჰეკტარის ფართობზე გაშლილია აქ ალპიური სააბალახოები, მთის მწვერვალებზე გაშენებულია სასტუმროები (ერთი უმთავრესი წარმო შეეიცარის შემოსავლის), მოწყობილია სპორტი უცხოელების მოსაზიდავათ და სხვ. და სხვ. შეეიცარის ალპები ახლა აღამიანს კი აღარ აშენებენ, პირიქით იმას იზიდავენ; მარტო მთის უმაღლეს მწვერვალებზე და ყინვარებზე ასასვლელი რკინის გზებით სარგებლობს წლიურათ შეეიცარიაში 10.500 ათასი მგზავრი და მათი საშვალებით გადააქვთ 200 ათასამდე ტონი საქონელი...

შეეიცარის მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ აღამიანი თუ გაისარჯა, მთები ჩვენს დროში მის საქმიანობას ვერ შეაფერხებს, პირიქით მათი საფუძვლიანათ გამოყენებაც შესაძლებელია.

* *

ბარი. ბარს დასავლეთ საქართველოში მეტი ფართობი უჭირავს, ვინემ აღმოსავლეთში. დასავლეთ საქართველოს და-

*) იმათვან უმთავრესნი არიან : Simplon (19 კლმ.), Lætschberg (14 კლმ.), Saint-Gotard (14 კლმ.), და სხვ.

ბლობ ადგილებში უპირველესად აღსანიშნავია კოლხიდის (გეოგრაფიის რესულ სახელმძღვანელოებში უწოდებენ შავი-ზღვისას) დაბლობი. იგი იწყება შავი - ზღვის ნაპირებიდან და ერთის მხრით (აღმოსავლეთისკენ) ლიხის (სურამის) მთას სწვდება (მდ. რიონის და ყვირილის ველი), ხოლო მეორე მხრით (ჩრდილოეთისკენ) ბათომიდან დაწყებული იგი ვიდრე სოხუმამდის მიიმართება. იმის სიგრძე დაახლოვებით 160 კლმ. უდრის, სიგანე — 90 კლმ., სიმაღლე ზღვის დონის ზევით თითქმის არსად აღემატება 250 მეტრს. რადგან ეს ფართობი მდიდარია ატმოსფერულ ნალექებით, მრავალ პატარა მდინარით და ამავე დროს ეს მდინარეები ზღვისკენ გამოსავალს თავისუფლად ვერ პოულობენ (ზღვის ნაპირები აქ ხშირად ქვიშის ბეგობებიდან და ხანდაგებიდან — პესчанია ქიში, *la dune sablonneuse* — შესდგება), ბევრი ადგილი აქ დაჭაობებულია; ჟაობიან ადგილების სიერცეს აქ 180 ათას ჰექტარს ანგარიშობენ და იგი მაღარიის საშინელ ბუდეს წარმოადგენს. კოლხიდის ვაკე იყოფა რამდენიმე ნაწილათ; ა) აფხაზეთის ბარი — დაწყებული აფხაზეთის სულ ჩრდილოეთ ნაწილიდან ვიდრე მდ. გალიზგამდის; ბ) მას მოყვება სამურზაყანის ბარი — მდ. ინგურამდის; გ) აქედან სამხრეთით, ვიდრე მდ. სუფსამდის, იშლება სამეგრელოს ვაკე, ხოლო აღმოსავლეთით დ) ცხენის-წყლის და რიონის ველი ანუ იმერეთის ვაკე, ცნობილი თავის ნაყოფიერებით; ე) მდ. სუფსიდან მდ. კინტრიშამდის (ქობულეთთან) გადაშლილია გურიის ვაკე. ყველა ამ ადგილებში, კოლხიდის ბარის მთელ ფართობზე, უფრო მშრალი და ჯანმრთელი ჰავა რიონის (ზემო ნაწილში) და აფხაზეთის რიონებშია, ამიტომ მოსახლეობაც აქ (განსაკუთრებით რიონის აუზში) მჭიდროთ არის დასახლებული.

აღმოსავლეთ საქართველოში აღსანიშნავია უპირველეს ყოვლისა კახეთის ბარი. აქ მდებარეობს ალაზნის ველი, გაწოლილი გომბორის მთისა და კავკასიონის მთავარ ქედის სამხრეთისკენ დაფენილ კალთებს შუა; სიგრძე იმის უდრის და-

ახლოვებით 160 კლმ. და სიგანე — 15-დან 40 კლმ.; შიგბალუ ზღვის დონეს ზევით კოლხიდის ვაკისას აღემატება და ჩრდილოეთ ნაწილში 450 მეტრს აღწევს. ალაზნის ველი უნაყოფიერეს ადგილათ ითვლება მთელ საქართველოში და სანახავათაც თვალწარმტაცია. აქვე იწყება შირაქის ველი (თუქურმიშიდან) და სამხრეთ აღმოსავლეთისკენ მიიმართება (სიგრძით 30 კლმ. და სიგანით 10 - 15 კლმ.); იგი ცნობილია თავის საზამთრო საბალახოებით, სადაც სუსტიან მთების მოსახლეობა (თუშები, ფშაველები და სხვ.) ზამთრობით ცხვარს მოდენის ხოლმე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ელდარის ვაკე, დაახლოვებით 35 კლმ. სიგრძით და 10 - 13 კლმ. სიგანით (130 - 150 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. ზ.); იგი მდ. იორის ნაპირზე მდებარეობს; გორის ანუ ქართლის ვაკე — მდებარეობს ლიხის მთის. კავკასიის მთავარ ქედის და ორიალეთის მთაგრეხილების შუაში, გაჭიმულია მდ. მტკვრისა და დიდი და პატარა ლიახვის აუზებში, დაახლოვებით 750 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. ზ. იმის გარშემო მდებარე მთები ანელებენ აქაურ ჰავას და ამიტომ აქ მებაღეობა არის განვითარებული, აქაური ხილი ცნობილია თავისი გემოთი და არომატით. გორის ვაკეს აღმოსავლეთით მოყვება მუხრანის ველი — მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნდ. ქსნისა და არაგვის აუზებში; დასასრულ აღვნიშნავთ ხაგურამოს ვაკეს, რომლის აღმოსავლეთის ნაწილი სწვდება თაოქმის ტფილის.

ამნაირად, ბარი საქართველოში წარმოადგენს სრულიად საკმარის ფართობს არამცუ მიწათ - მოქმედებისთვის საზოგადოთ, არამედ მრავალგვარ ეგრედ წოდებულ სოფლის მეურნეობის მაღალ კულტურისათვის (მაგ., მეცნიახეობა და სხვ.). და ისეთ მცენარეულობისათვის, რომელიც მხოლოდ დაბლობში ხარობს.

* * *

პიდროგრაფია. ზღვა. საქართველოს დასავლეთით საზღვრავს შავი ზღვა, რომელიც ბოსფორით, მარმარა ზღვით, დარ-

დანელით, ხმელთაშუა ზღვით და გიბრალტარის სრუტით ატ-ლანტიკის ოკეანეს უერთდება. შავი ზღვის მოელი სიერცე 411.540 კვ. კლმ. შეადგენს, სიგრძე — 1.160 კლმ. და სიგანე — 600 კლმ.; სილრმე იმის საშუალოდ 1.200 მეტრს უდრის (ულრმესი ადგილია 2.240 მეტრი სოხუმის პარალელურათ ევპატორიის მეტრიდიანზე); საქართველოს ნაპირებთან, თითქმის იქვე იმის სილრმე 550 მ. იწყება და თანდათან ლრმავდება, დაშორდება თუ არა ნაპირს. სიგრძე საქართველოს ნაპირისა შავ-ზღვაზე იწყება მდ. ფსოუს შესართავთან (აფხაზეთის ჩრდილ. ნაწილში) და გრძელდება ვიდრე ოსმალეთის საზღვრამდე (სამხრეთით) და უდრის დაახლოებით 270 კლმ. ჩრდილოეთ ნაწილში ვიდრე სოხუმამდის შავი ზღვის ნაპირი მთა-გორიანია, შემდეგ კი — ვაკე; იგი ნაკლებათ არის დაჭრილი, საგრძნობათ შეწეულია ზღვაში მხოლოდ ბათომთან, დრანდში, სოხუმში, გუდაუთში და პიჭვინთაში.

წყლის ტემპერატურა შავ ზღვაში ჩამოდის 3 გრ. C. (იანვარში) და ადის 22-24 გრ. C. (აგვისტოში). შავი ზღვის წყალი სხვა ზღვებთან და ოკეანესთან შედარებით ნაკლებათ მარილიანია: ზედაპირზე — 1,8 პროც., უფრო ღრმა — არა უმეტეს 2,2 პროც. (ხმელთაშუა ზღვის მარილიანობა უდრის — 4,1 პროც., ოკეანის — 3,5 პროც.); ეს იმით აიხსნება, რომ მას ყოველი მხრიდან მრავალი მდინარის უმარილო წყალი ერთვის და იგი ზღვის წყლის ჩევეულებრივ სიმღაშეს ანელებს. ცხოველი და მცენარე მხოლოდ 180 მეტრის სიღრმეზე იმყოფება შავ ზღვაში, რადგან უფრო ღრმა შავი ზღვის წყალი საწამლავ გოგირდიან გაზებს (строводород, hydrogène sulfureux) შეიცავს.

ის გარემოება, რომ საქართველოს აქვს თავისუფალი გამოსავალი ზღვაში, არის უდიდესი მნიშვნელობის საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებისთვის; იგი აახლოებს საქართველოს ეკონომის ქვეყნებს და ეს უკანასკნელი საქართველოს გზით უახლოვდებიან ამიერ-კავკასიის დანარჩენ ნა-

წილს, სპარსეთს, კასპიის მხარეს, თურქეთშიანს და სხვ. პატარა საქართველოს თავისი ასეთი ბუნებრივი მდებარეობით შეუძლია ისარგებლოს ისე, როგორც ასეთივე სატრანზიტო მდებარეობით ძალიან სარგებლობენ ეკონომიურ წარმატებისთვის სხვა პატარა ქვეყნები — ბელგია, პოლანდია და სხვ. სწორეთ ეს ბედნიერი მდებარეობა ბევრჯელ მისი უბედურების, მისი დაპყრობის, მიზეზათ გადაქცეულა; ყველას, ძველსა და ახალს დამპყრობელებს მოსვენებას არ აძლევდა ეს კუთხე, ყველა ცდილობდა მის დაპატრონებას: ძირიათ მოიძებნება ასეთი სატრანზიტო გზა, ასეთი ყელი, სხვადასხვა შორეულ ქვეყნებს ერთი მეორეს რომ აბაში და უკავშირებს.

საქართველოს მნიშვნელობა, როგორც განსაზღვრულ ტერიტორიალურ ერთეულის, გაცილებით ნაკლები იქნებოდა, მას რომ საკუთარი გამოსავალი არ ჰქონდეს ზღვაში. თითქმის ყველა ქვეყნები, ცნობილნი ქველსა და ახალს ისტორიაში თავისი ცივილიზაციით და აღებ - მიცემობით — საბერძნეთი, იტალია, თითქმის მთელი დასაცლეთი ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია — ზღვის პირას მდებარეობენ და ზღვით აქვთ კავშირი მთელს მსოფლიოსთან; წინააღმდეგ, აზიის და აფრიკის ის ნაწილები, რომელნიც მოკლებული იყვენ ამ საშვალებას, თითქმის მე-19 საუკუნემდის საესებით პირველყოფილ მდგომარეობაში იმყოფებოდენ; ჩვენ ვიცით, თუ როგორ მიისწრაფოდენ ჩამორჩენილ რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელნი ზღვებისკენ. ტრანსპორტი შორეულ ქვეყნებში მისასვლელათ გაცილებით ადრე განვითარდა ზღვით, ვინემ ხმელეთით, და დღესაც ზღვის ტრანსპორტი გაცილებით უფრო იაფათ ფასობს; საზღვაო ტრანსპორტით უფრო ადვილია შორ მანძილზე გადატანა ისეთ საქონლის, რომელიც დიდ არეს მოითხოვს და იმავე დროს ძირიათ არ ფასობს და ამიტომ გადაზიდვის დიდ ხარჯს ვერ აიტანს (მაგ., ქვა - ნახშირი, ხე-ტყე, ხორბალი, და სხვ.; ჩვენებური მარგანეცი რომ ზღვის ნაპირიდან შორს მდებარეობდეს და ხმელეთით დიდ მანძილ-

ზე იყოს გადასატანი, იგი ევროპის ბაზარზე სხვა ქვეყნების მარგანეცის კონკურენციას ვერ გაუძლებდა); ხშირად მოგზაურობაც კი ზღვით უფრო სწრაფია და უფრო სასიამოვნო, ვინედ ხმელეთით (ასე, ევროპიდან შორეულ აზიაში უფრო ზღვით მოგზაურობენ, ვინედ ხმელეთით — რუსეთის გზით).

ჩვენ ვიცით, თუ რამდენი დავა, რამდენი უსიამოვნება უხდება იმ ქვეყნებს, რომელნიც ამ მხრივ სხვისგან არიან დამოკიდებული. ამბობენ, ვერსალის საზაფო კონფერენციაზე (1919 წ.), როცა გამარჯვებულთა არეოპაგი ძველი იმპერიების ნანგრევებზე ახალ სახელმწიფოებს სჭრიდა და იმათ საზღვრებს უკერავდა, პრეზიდენტი ვილსონი გადაჭრით წინააღმდეგი იყოვო, რათა შევჭმნილიყო ახალი სახელმწიფო ისე, თუ მას ზღვაში გამოსავალი არ ექნებოდა (მის თვალში, ალბათ, პოლონეთს უშველა — „კორიფორის“ შექმნამ და სხვებს კიდევ ევროპაში მდ. მდ. დუნაის, ელბას, ოდერის და რეინის ინტერ-ნაციონალიზაციამ და კერძოთ ჩეხოსლოვაკიას — ჰამბურგის და შტეტინის პორტებში მისთვის ნეიტრალურ ზონების დაწესებამ — („ვერსალის საზაფო ხელშეკრულების“ მუხ. 331 - 363).. შვეიცარიის მდგომარეობა, — რომელიც დიდი ომის დროს არც ერთ მეომარ მხარეს არ მიმხრობია და ბოლომდის ნეიტრალიტეტს იცავდა, ხოლო ამავე დროს იძულებული იყო საკვები და ნედლი მასალა ოკეანეს და ზღვების გადაღმა მდებარე ქვეყნებიდან შემოეტანა, — აუტანელი შეიქმნა, რომ მისთვის საფრანგეთს არ დაეთმო დროებით ერთი თავისი ნავთსადგური ხმელთაშუა ზღვაზე — port Cetie (შვეიცარიის არაქვეს გამოსავალი ზღვაში). განა ბევრსა ყავს ასეთი გულშემატევარი მეზობელი?..

საქართველოს აქვს ორი შედარებით კარგად მოწყობილი ნავთსადგური შავ ზღვაზე — ბათომი და ფოთი და ერთიც უფრო პატარა — სოხუმი; ხოლო მისი ნაპირი შავ ზღვაზე შეიცავს სხვა ადგილებსაც ასეთივე ნავთსადგურების მოსაწყობათ.

მდინარები. საქართველო მდიდარია მდინარეებით; ზოგნი იმათგან იღებენ სათავეს კავკასიონის ქედის ყინვარებში და ზოგნი უფრო დაბალ მთებში ხშირად გაფანტულ წყლით მდიდარ წყაროებიდან.

დასავლეთ საქართველოში უპირველესად ყოვლისა აღსა-
ნიშნავია **მდ. რიონი.** იგი კავკასიონის მთავარ ქედის ყინვა-
რებში (ფასის მთა) იღებს დასაწყისს, იქედან ჯერ დასავლე-
თისკენ მიმდინარეობს და შემდეგ (სოფ. ალპანიდან) სამხრე-
თისაკენ ეშვება, ჩაივლის ქ. ქუთაისს და კოლხიდის ვაკით შა-
ვი ზღვისკენ მიიმართება და მას ქალ. ფოთიან ერთვის. მდი-
ნარე რიონის სიგრძე 297 კლმ. უდრის, ხოლო მთელი მისი
აუზი 13 ათას კვ. კილომეტრის ფართობს. მთიან ადგილებში,
სადაც იგი გაივლის, მდ. რიონი მეტად ანჩხლია და სწრაფი,
უზარმაზარ ქვებს სძრავს და ადგილიდან ადგილზე მიაგო-
რებს, ადიდებული იგი არღვევს ხოლმე თავის კალაპოტს და
თან მიაქვს ყველაფერი, რაც მას წინ ელობება; დაბლა იგი
უფრო ნელია და ერთ დროს ქ. ფოთიდან დაბა ოპირამდის
გემების მიმოსვლაც კი სწარმოებდა მაზე; ამ რამდენიმე წლის
წინად ნავოსნობა რიონზე განახლებული იყო, ხოლო დაბა ორ-
პირი, ერთ დროს პატარა ნავთსადგური, დიდი ხანია აღარ არ-
სებობს, იგი ადიდებულმა და ნაპირებიდან ამოსულმა რიონმა
თანდათან მოსპო.

მარჯვნით მდ. რიონს (ორპირთან) ერთვის **მდ. ცხენის წყალი,** აგრედვე ძლიერ სწრაფი მდინარე (იმის სიგრძე 205 კლმ. უდრის), და მარცხნით მდ. ყვირილა (სიგრძით 125 კლმ.).

შემდეგ აღსანიშნავია **მდ. ინგური — სეანეთში** და სამე-
გრელოში (სიგრძე — 198 კლმ.), მდ. კოდორი — უსწრაფესი
მდინარე მთელ კავკასიაში (სიგრძე — 98 კლმ.), მდ. მზი-
მთა, პზიბი (ქსენი აფხაზეთში), ხოპი (სამეგრელოში), **სუფსა**
(გურიაში) და სხვ., რომელთაგან თითოეულის სიგრძე 155 კლმ.
არ აღემატება.

სულ დასავლეთ საქართველოში ითვლება 54 ისეთი მდი-

ნარე, თითოეულის აუზის ფართობი 250 კლმ. ნაკლები ოომარი არის, და მათი სიგრძე ერთად 3.433 კილომეტრს შეადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოში უნდა აღინიშნოს უპირველეს ყოვლისა მდ. მტკვარი. იმის სათავე იწყება ოსმალეთის საზღვრებში (გელის მაღალი და ჭაბიან ადგილებში — ყოფ. ყარსის ოლქში), ივი გაივლის საქართველოში, აზერბაიჯანში და კასპიის ზღვას ერთვის; მთელი იმის სიგრძე 1.113 კლმ. უდრის და მთელი მისი აუზი 91 ათას კვ. კილომეტრს (მდ. რეინის — Rhin — სიგრძე, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს გაივლის — შვეიცარიას, საფრანგეთს, გერმანიას და ჰოლანდიას — 1.400 კლმ. შეადგენს; მდ. რონის — Rhône —, რომელიც შვეიცარიასა და საფრანგეთში მიმდინარეობს, სიგრძე — 860 კლმ., მდ. სენის — Seine — საფრანგეთში — 800 კლმ. და სხვ.). მდ. მტკვარი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს ჯერ სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, გაივლის ბორჯომის ხეობას და შემდეგ უხვევს სამხრეთ - აღმოსავლეთისკენ, სჭრის ქართლისა (გორის) და მუხრანის ველებს, გაივლის ქალ-ტფილისში და ყარაიაზის, შირვანის, ყარაბახის და მუღანის გზით მიმდინარეობს კასპიის ზღვისკენ. მდ. მტკვარით ქ. ახალციხიდან ვიდრე ტფილისამდის ტივებით ხე - ტყეს ეზიდებიან, ხოლო ევლაბიდან (აზერბაიჯანში) ქვემოთ კასპიის ზღვამდის მაზედ პატარა გემების მიმოსვლაც სწარმოებს.

მდ. მტკვარს ერთვიან : მდ. მდ. დიდი ლიახვი (ამას თავის მხრივ ერთვის პატარა ლიახვი), ქსანი, არაგვი (99 კლმ. სიგრძით) — ქართლში და მდ. ალაზანი (315 კლმ. სიგრძით), რომელსაც თავის მხრივ ერთვის მდ. იორი (265 კლმ.)— კახეთში; მდ. მტკვარს ერთვის აგრედვე, ტფილისიდან აღმოსავლეთით, მდ. ხრამი, რომლის სათავე თრიალეთის მთებშია (ცხრა - წყაროზე), სიგრძით 159 კლმ.

ჩვენი მდინარეები, სამწუხაროთ, ძალიან ნაკლებათ არიან გამოყენებული. ძველი დროის ცნობილ გეოგრაფის სტრაბო-

ნის მოწმობით მდ. რიონზე და მის შესართავზე მდ. ყვირილაზე ნაოსნობა წარმოებდა ვიდრე შორაპნამდის, სულ 150 კილომეტრის მანძილზე (*). არამცუ ნაოსნობისთვის, ჩვენი მდინარეები მიწის მოსარწყავათაც არ ყოფილა გამოყენებული, არსად მათი კალაპოტი არ ყოფილა გაწმენდილი, ნაპირები გამაგრებული, დღეს რომ ისინი წყალდიდობის დროს არე - მარეს გლეჯენ და აფუჭებენ. მდ. ტემზამ მეტი სიმდიდრე შეძინა ინგლისს, ვინემ ყველა იქ გაყვანილ არხებმა ერთად და შეიძლება ყველა ინგლისის რკინის გზეშმაო, სწერდა Alf. Marshall-ი (**). თუ ამოდენი სამსახური გაუწევია მდ. ტემზას არხებით და რკინის გზებით მოფენილ ინგლისისთვის, რაოდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენთვის მდინარეებს, რომ ისინი მოვლილი იყვენ!..

ტბები. საქართველო არ არის ტბებით მდიდარი, განსაკუთრებით თუ იმას ჩვენ შევადარებთ მასავით პატარას, მთა-გორიან ქვეყანას — შვეიცარიას. ყველაზე უფრო ღილი ტბა — ეს ფარავანის ტბაა, რომელიც მდებარეობს ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) 2.100 მეტრის სიმაღლეზე %. დ. %.; სიგრძით იგი 9,5 კლმ. უდრის და სიგანით 6 კლმ.; ტაბისწყურის (სიტყვიდან: ტბის ყური) ტბა — იქვე ჯავახეთში, 20 კლმ. მანძილზე დაშორებული ფარავანის ტბიდან, სიგრძით 6 კლმ. და სიგანით 3,5 კლმ.; ეს უფრო ღრმაა (25 მეტრი), ვინემ ფარავანის ტბა. სოფ. გუდაურთან ახლოს, და იმის დასავლეთით, 2.875 მეტრის სიმაღლეზე მდებარობს ქელის ტბა, სიგრძით 4,5 კლმ. და სიგანით 1 კლმ.; ამ ტბაში იღებს სათავეს მდ. ქსანი. ცნობილია აგრედვე ტბები ღილი და პატარა რიწა (აფხაზეთში); პირველის სიგრძე დაახლოებით 3,5 კლმ. უდრის, სიგანე — 1 კლმ., ხოლო სილრმე 117 მეტრს აღწევს. ტბები ხარის თვალი და ძროხის თვალი (იმყოფებიან რაჭაში, იმ ად-

*) El. Réclus « Nouvelle Géographie Mondiale », Paris, 1881, VI, p. 164 et Toutain « L'Economie Antique », Paris, p. 180.

**) მისი « Principes d'Economie Politique », ტ. I, გვ. 169.

გილას, სადაც მდ. შაორი დედა - მიწის ქვეშ იკარგება, რომ ორი კილომეტრის შემდეგ ისევ დედა - მიწის ზედა პირზე გამოჩდეს) და ერშო (1685 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონეს ზევით) — აგრედვე რაჭაში.

დაბლობის ტბებში ღირსშესანიშნავია პალეასტომის ტბა, ქ. ფოთის მახლობლად; იმის როგორც სიგრძე, ისე სიგანე, დაახლოვებით 4 კლმ. უდირის. თუ მთის ტბების წყალი ანკარაა და სასმელათ სასიამოვნო, პალეასტომის ტბას, წინააღმდეგ, მწვანე - მოყვითლო ფერი დაკრავს და დამპალის გემო აქვს; ეს იმით აიხსნება, რომ იმის ნაპირები კაობებით არის გარშემორტყმული და ოვითონ ტბაც წყლის ბალახით არის სავსე, ეს ბალახი რომ კუნება ტბის ძირში ეშვება და ლპება. პალეასტომის ტბა უერთდება შავი ზღვას პატარა მდინარით კაპარჭით და სამაგიეროთ თვით ამ ტბაში შემოღის მეორე, აგრედვე პატარა, მდინარე პიჩორა, მომდინარე გურიის მთებიდან.

ჩვენ აღარ შევეხებით სხვა უფრო უმნიშვნელო ტბებს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგრედვე იმუოფებიან.

* * *

საქართველოს ჰავა. იშვიათია ქვეყანა ისეთ პატარა ტერიტორიაზე, როგორც საქართველოა, რომ ჰავის ისეთ სხვადასხვაობას წარმოადგენდეს, როგორც ამას ჩვენში აქვს ადგილი. ეს შედეგია საქართველოს ტერიტორიის მდებარეობის და იმის იმ ფიზიკურ აგებულებისა და შემადგენლობის, რასაც ჩვენ ზევით გავეცანით. დასავლეთით შავი ზღვა, ატლანტიკის ოკეანეს აღმოსავლეთ ბოლოთ რომ შეიძლება ჩაითვალოს, და იქვე სულ რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთით და სამხრეთით, სულ თუ არა, ხშირად მაინც, მუდმივი თოვლით მოფენილი მთის მწვერვალები; მშრალი ზეგანის დიდი ფართობები და იქვე უზარმაზარ მთაგრეხილების შუაში გადაშლილი დაბლობი და უკე ადგილები, ძალიან ხში-

რად ნესტიანი და დაჭაობებულიც; ქარები ხან ნოტიო და ნაზ
მშრალი, ხან თბილი და ხან სუსხიანი. საქართველოში ტემპე-
რატურის ხშირი და დიდი ცვალებაფობაა; ხშირათ ზამთრის
თვეებში თქვენ დაინახავთ (მაგ., ქვემო — იმერეთში და სამე-
გრელოში) ხეხილს აყვავებულს — ბალს, ქლიავს და სხვ., მა-
გრამ უცებ დაკრავს ისევ ცივი ამინდები და ეს აყვავებული მცე-
ნარები იღუპებიან. ასეთი სხვადასხვაობა, ეს სიჭრელე ჰავის
დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სა-
ქართველოსი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ აღმოსავლეთი სა-
ქართველო საერთოდ უფრო მშრალია, დასავლეთი — უფრო
ნოტიო.

ატმოსფერული ნალექების წლიური საშუალო რაოდენო-
ბა, მრავალი წლის დაკვირვების თანახმად, უდრის სხვადასხვა
ადგილას :

ბათომი	2.529	ბორჯომი	572
ოზურგეთი	2.048	გორი	495
ქუთაისი	1.374	სიღნალი	589
სოხუმი	1.291	ფუშეთი	614
ზუგდიდი	1.557	თელავი	760
ტყვიბული	1.668	ტფილისი	497
ჭიათურა	992	მანგლისი	540
აბასთუმანი	630		

წლიური საშუალო ტემპერატურა უდრის სხვადასხვა ად-
გილას (გრადუსებში ცელსით, თანახმად 20 წლის დაკვირვე-
ბისა — 1886 - 1905 წ.წ.) :

	უდაბლესი (იანვარში)	უმაღლესი (აგვისტოში)	საშუალო წლიური
ბათომი	6,4	23,5	14,5
ოზურგეთი	4,4	23,0	13,8
ქუთაისი	4,4	24,4	14,7
ტყვიბული	2,2	22,2	12,5

სოხუმი	5,1	24,1	14,3
ახალქალაქი	— 7,8	17,2	5,7
ბორჯომი	— 2,6	20,4	9,3
გორი	— 2,1	22,8	10,9
ტფილისი	0,1	24,2	12,6
გუდაური	— 7,0	13,5	3,4
ჭინონდალი	0,1	22,9	12,0 *)

საქართველოს ჰავას საერთო შემდეგ ჯგუფებათ ყოფენ:

1. სუბტროპიკული ნესტიანი ჰავა : აქარაში, გურიაში, სამეგრელოში და აფხაზეთში — შავი ზღვის განაპირა რაიონებში; ეს ჰავა დამახასიათებელია თბილი ზამთრით (იანვარში საშუალო ტემპერატურა უდრის. + 4°) და ცხელი ზაფხულით (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა 24°), წლიური საშუალო ტემპერატურა უდრის 14° C. აქაურ ჰავას იაპონიის და სამხრეთ ჩინეთის ჰავას ადარებენ, ამიტომ აქ ხარობს სუბტროპიკული მცენარე — პალმა, ბამბუკი, ეკვალიპტუსი, ჩაი, ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი და სხვ.

2. ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკული ჰავა : შავი ზღვიდან უფრო დაშორებულ აღმოსავლეთ რაიონში — იმერეთის (კოლხიდის ვაკე), აქარის და აფხაზეთის ერთ ნაწილში; აქ ზამთარი ნესტიანია და ზაფხული მშრალი, გვალვებიანი. საშუალო ჰავა აქ დაახლოებით იგივეა, რაც ზემოთ დასახელებულ სუბტროპიკულ ნესტიან ჰავის რაიონში; აქაური ჰავა წაგავს ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნების ჰავას — ბალკანეთისას, სირიისას და ნაწილობრივ იტალიისას და ისპანიისას.

3. „სიმინდის“ ჰავა : გორის, მუხრანის, საგურამოს, ალაზანის რაიონებში. ზამთარი აქ უფრო ცივია, ვინემ ზემოთ დასახელებულ აღგილებში, ზაფხული კი თითქმის ისეთივე; წლიური საშუალო ტემპერატურა აქ უდრის 12°. ამ აღგილებში

*) ვსარგებლობთ “Кавказский Календарь” 1910 წ.

ჩველაზე უფრო რბილი ჰავით ცნობილია ალაზანი, განთქმული თავის ნაყოფიერებით და კარგი ხარისხის ხილით და ვენახით. ამ ადგილების ჰავა ემსგავსება ჩრდილოეთ იტალიის ჰავას (ლომბარდია).

4. ზომიერი ცივი ჰავა : მთავარ და მცირე კავკასიონის მთის კალთების ტყიან ადგილებში; ზაფხული აქ არ არის ცხელი და ზამთარიც შედარებით ზომიერია; წლიური საშუალო ტემპერატურა უდრის 10° . აქაური ჰავა წააგავს დასავლეთ ევროპის ჰავას საზოგადოთ.

5. ცივი ჰავა : იწყება მთებში 2.000 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. ზ. წლიური საშუალო ტემპერატურა აქ $3 - 4^{\circ}$ უდრის; მჭაცრი ზამთარი და ძლიიან მოკლე ზაფხული ახასიათებს ამ ზონას, ამიტომ ამ ზონის მაღლა უკვე აღარ ხვდებით მუდმივათ მობინადრე მოსახლეობას; იგი ცნობილია თავისი საბალახო მდელოებით.

6. მიდივ თოვლიან ადგილების (პოლიარულის ჰავა : 2.500 - 2.700 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. ზ. თუ კიდევ ვხვდებით ალპიურ მდელოს, საზაფხულო საძოვრებს, უფრო ზევით და ზევით უკვე თოვლით დაფენილი ადგილები და ყინვარები იწყება; აქ კი საშუალო წლიური ტემპერატურა 0° არ აღმატება.

საერთოდ აღებული საქართველოს ჰავა იძლევა (მცირე გამონაკლისით) საუკეთესო პირობებს სხვადასხვა გვარ კურორტების გასანვითარებლად მზგავსათ ევროპაში ცნობილ კურორტებისა. ასე, მაგალითად, შავი ზღვის ნაპირას ჩენენში მდებარე ადგილები თავის ჰავით არ ჩამოუვარდებიან სახელგანთქმულ ევროპის კურორტებს: ნიცას, კანს (Cannes), მანტონს (საფრანგეთში), სენ - რემს (იტალიაში) და სხვ.; ქუთაისის და ტყიბულის რაიონები — მონტრესა და ლუგანოს (შვეიცარიაში); აბასთუმანი, ცემი, ბაკურიანი, ბახმარო თავის

ჰავით ალბეგის ცნობილ კლიმატიურ საღგურებს თუ არ სჯობ-
ბნის, არ ჩამოუფარდება.

* *

მიწის ნიადაგი. ბუნებრივი პირობების მრავალფეროვანობის გამო, საქართველოს ნიადაგიც ძალიან სხვადასხეანაირია. ჩვენს საგანს არ წარმოადგენს ამ ნიადაგის წარმოშობის და იმის გეოლოგიურ სტრუქტურის აღწერა, თუმცა სწორეთ ამ უკანასკნელზე არის დამკიდებული, სხვათა შორის, ის ბუნებრივი სიმდიდრე, მიწის გულში რომ ინახება და რომლის შესახებ სხვა ადგილას უნდა იქნეს საუბარი.

შავი ზღვის ნაპირი ქალ. ფოთიდან სამხრეთისკენ და მდ. ინგურიდან მდ. რიონამდის ხასიათდება ქვიშიან, ალაგ - ალაგ თიხით ნარევი, ნიადაგით; აქ ბევრი ჭაობიანი და ნახევრად ჭაობიანი ადგილებია ნაცრისებურ ნიადაგით ცნობილი; ასეთ ნიადაგიან მიწას ადგილობრივი მოსახლეობა „ეჭერს“ უწოდებს. ფართობი აქედან სამხრეთით (ბათომის რაიონი) წითელ მიწის ნიადაგს წარმოადგენს (რომლის მსგავსი ნიადაგია — ცეილონზე, სამხრ. ჩინეთში და იაპონიაში) — მეტად ხელსაყრელს ჩაის კულტურისთვის. ფართობზე მდ. რიონიდან ვიდრე აქარის მთებამდის (გურია და ქვემო იმერეთი). — შავი — მიწის ნიადაგია; სამეგრელოში ჩვენ ვხვდებით უფრო ქვიშიან, ყვათელ თიხით ნარევ, ნიადაგს. მაღლობი ადგილები დასავლეთ საქართველოში უმეტეს ნაწილათ თიხიანს, კირით ნარევ, ნიადაგს წარმოადგენენ, ხშირათ კენჭით მოფენილს; მდ. რიონის გაყილებაზე ზოგ ადგილას ამ თიხა — ქვიშა - კენჭიან ნიადაგზე არის დამკიდებული, სხვათა შორის, ნააღრევ მებოსტნეობის განვითარება.

აღმოსავლეთ საქართველოსში: ჯავახეთში (ახალქალაქის მაზრა) უმეტეს ნაწილთა შავი-მიწის ნიადაგია; ქართლის (გორის მ.) ნიადაგის შემაღენლობა დიდ ნაწილში წარმოადგენს ლაშე

(იაზ, limon), რომელიც ანაუოფიერებს ამ რაიონს და კერძოთ ხელს უწყობს პურის მოსავლიანობას; ბორჩალოს და დუშეთის მაზრებში ჩვენ ვხედებით, როგორც შავ-მიწიან, ისე კირიან და თიხიან ნიადაგებს; სიღნაღის წინა მხარის ნიადაგი უფრო თიხა ნარევია, უკანა მხარე — უფრო შავ-მიწიანი; თელავის მაზრაში — მდ. ალაზანის მარჯვენა მხარე მდიდარია თიხიან ნიადაგით, მარცხენა — შერეულ ზონების ნიადაგს წადმოადგენს; ტფილისის მაზრის ნიადაგი უფრო თიხიანია, ხოლო თიონეთის მაზრაში ნიადაგის დიდ სხვადასხვაობას ვხედავთ.

**

ფლორა და ფაუნა. მსოფლიოში სულ 140 - 150 ათასი სხვადასხვანაირ სახის მცენარე ხარობს და მიღიონი სხვადასხვა სახის ცხოველი იმყოფება. ამათვან ადამიანი ჯერ-ჯერობით მხოლოდ 300 სხვადასხვა სახის მცენარით სარგებლობს და 290 სახის ცხოველით. დანამდვილებით არც კი ვიცით, საქართველოში სახელდობ რამდენი სახის მცენარე არის სულ ცნობილი, ვიცით კი ის, რომ მცენარეთა იმ მრავალ ნაირობაში, საქართველოს ბუნება რომ იძლევა, ძალიან მცირე ნაწილი არის ადამიანის მიერ გამოყენებული; რაც შეეხება ცხოველებს, იმის ცოდნა შეიძლება უფრო სრული იყოს, რაღაც ბევრი ნადირი უკვე გადაშენდა ჩვენში, ტყების გაჭრისა და მისვლა-მოსვლის გააღვილების გამო.

საქმიარისია ამ ორასი წლის წინეთ დაწერილს ბატონი-შვილის ვახუშტის გეოგრაფიაში ჩავიხედოთ, ჩვენ რომ დაერწმუნდეთ საქართველოს ფლორის და ფაუნის (მცენარეთა და ცხოველთა) მრავალ სახეობაში; ხოლო მის მიერ მოყვანილ ცხრილსაც ბევრი აკლია, ის, რაც ამ უკანასკნელი ორი საუკ. განმავლობაში იყო აღმოჩენილი თუ უცხო ქვეყნებიდან ჩვენში იყო გაღმონერგილი. ჩვენ ამ ცხრილს სრულად მოვიყვანთ, რაღაც იგი მოგვაგონებს ამ ქართველ გეოგრაფის დიდ ცოდ-

ნას და დაკვირვებას და ძველი ქრისტიანული ენის სიმდიდრეს მცირებაზე და ცხოველთა სახელწოდებისთვის, ჩვენს დროში უკვე მივიწყებულს *) :

„რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ - მარცვალნი, კაცთა საზრდელნი: ბრინჯი, ხორბალნი, ქრთილი, შერივა, სიმინდი, ლომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაბა, მაშა, უგრეხილი, კანაფი, სელი და სხვანიცა... კვალად ბამბას სთესენ, განა სხვაგნებური უმჯობეს არს, არა-მედ მრავალნაყოფიერებს.

„**ხილთათვის.** ხოლო ხილი წალკოტთა მრავალნი : ნა-რინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის - ხილი, ბროჭეული, ყურძენა, ატამი, ვაშლ - ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტული, ქლიავი მრავალგვარი, ლელვი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზომარტლი, ფშატი, ნევი, მელსაპეპონი, ბუმბულა, კიტრი; ხოლო ტყისანი არიან თხილი, ტყემალი, ზომარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, ქრიკინა, ალუბალი, ბალამწარა, ბალ - ლოჯი, მაჟაველი, პანტა, კუნქელი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათვის სხალა, დათვის ბაბა, დათვის თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა; ხოლო მთისანი არიან : მოცხარი, კლდის - მერსენი, ჟოლო, უელი, მოცვი და სხვანიცა მრავალნი.

„**სავარდისათვის.** სავარდეთა ყვავილნი მრავალი. ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი : მიხაკი, სუნბული, ნარგიზი,

*) პროფ. ივ. ჯავახიშვილი სწერს ბატ. ვახუშტის „გეოგრაფიის“ შესახებ : „თავისი საპატიო ხნიერების თითქმის ორასი წლის წინათ დაწერილობისდა მიუხედავად, იგი ჯერაც დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება, ცხობათა სიუხვისა და განმაცვითრებელი მრავალფროვანობის წყალობით, ვახუშტის გეოგრაფიას არას დროს მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება“. იხ. მისი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, გვ. 113.

ზამბახი, ყაყაჩონი მრავალგვარნი და კვალად სხვანიცა მრა-
 ვალნი ყვავილნი სხვადასხვაგვარნი და ფერნი : ხოლო ველთა
 ია, კოჩივარდა, ნეგო, მიხაკა, შროშანა და სხვა მრავალნი,
 ვიდრე ას ფერამდე და ას გვარამდე.

„მტილოფანთათვის. მტილთა : ბაღრიჯანი, ქინძი, კამა,
 ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასა,, ბოლოკი,
 პეტრუშა, სტაფილო, ქინძიჯორა, ოხრახუში, მაჟედონი, კომ-
 ბოსთო, ლახანა, ყრდელი და სხვანიცა; ხოლო ტყეთა და ველ-
 თა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროთ სახმარნი ბალახნი,
 მხლად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა : სატაცური, ას-
 პანახი და სხვანი, და ვითარცა კვლიაკი, და ტყუირა და მის-
 თანანი მრავალნი.

„ პირუტყვთა და მფრინველთათვის. არამედ პირუტყვნიც
 მრავალნი, ვითარცა აქლემი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კამ-
 ბეჩი, ცხვარი, თხა, ღორი. ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა :
 იჩემი, ქურციკი, ჯიხვი, მშველი, არჩევი, თხა, ყურდებული, ვი-
 ფხი, დათვი, მგელი, აფთარი, ფოცხველი, ღორი, მელი, მაჩვი,
 მწავი, მთახვი, ძლაბი და სხვ.; კვლავად მფრინველნი : ქათამი,
 ბატი, იხვი, ინდოური ქათამი, ტრედი, ამათ შინ იპყრობენ; ხო-
 ლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი ბატი, იხვი,
 აკაური, ვარხვი, ღალღა, ლაინა, ესენი ზამთარ არიან, ზოგნი
 ზაფხულ შემოდგომასა, თეინიერ არა. კოკობი, კაკაბი, დურე-
 ჯი, გნოლი, როჭო, ბურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრური, კიოტა.
 ტყის ქათამი, ვარიელი, სავათი, ტრედი მრავალგვარი, გვრი-
 ტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კო-
 ლინბური, ბულბული, ყაზალახი, მალაღური, ჩიტნი და სირნი
 მრავალგვარი. შვენიერი.- ჭრელნი და მომღერალნი მრავალნ.;
 ხოლო ხორცის მჭამელნი : ყაჯირი, სვავი, ორბი, არწივი, შა-
 ვარდენი, გავაზი, ბარი, ქორი თეთრი და წითელი, მიმინო, მა-
 რჯანი, თვალშავი, ალალი, კირკითა, ძერა, ბაბა - ყველი, ბო-
 ლო - ბეჭედა, ჭარო, ყორანი, მახარანი, შავი ყვავი, მალარანი.

ყვავი, ბუ, ზარნაშო, წოტი, ჭეკა, ჭილყავი, ყაპყაჭი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა, ოყარი, ყარაული და სხვანიცა“.

„თევზთათვის. ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან : ორა-
გული, ზუთხი, ანდიკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაბოეტი, კარ-
ჩხანი, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილმანი თევზნი და
სხვანიცა“ არის აგრედვე დასახელება „მძრომთა“ და „მწერ-
თა“ *).

საქართველოს ტყეებში ტყის მცოდნე პირები ითვლიან 336
სხვადასხვა სახის წიწვიან თუ ფოთლოვან ხეს, რომელთაგან
დაახლოებით 150-ს აქვს სამრეწველო მნიშვნელობა.

**

ასეთია მოკლეთ საქართველოს ბუნება, ის ფიზიკური პი-
რობები, რომელშიდაც ვითარდებოდა და უნდა განვითარდეს
საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური ცხოვრება. როგორც
უკვე ესთქვით, არა მარტო ბუნებრივი პირობები მოქმედებენ
ადამიანის საქმიანობაზე, არამედ ადამიანიც და საზოგადოების
კოლექტიური შემოქმედება გავლენას ახდენს ბუნების მიერ
მოცემულ პირობებზე; კულტურის ზრდასთან ერთად. ცოდ-
ნისა და ტეხნიკის განვითარების საშვალებით ადამიანი იმორ-
ჩილებს ბუნების მრავალ მოვლენას და უფრო მეტად და მე-
ტად იყენებს იმას, რაც წინაპართათვის სრულიად გამოუყენე-
ბელი იყო. ახლა კი ჩენ მაინც იმას უნდა შევეხოთ, რაც დღე-
ვანდელ სინამდვილეში არსებობს, და უპირველეს ყოვლისა
უნდა გავეცნოთ იმას, თუ რამდენი სახმარი (მეურნეობის სხვა-
დასხვა დარგისთვის გამოსადევე) და რამდენი უხმარი (მეურ-
ნეობის სხვადასხვა დარგისთვის ახლა გამოუსადევეარი) მიწა
იმყოფება საქართველოს მოსახლეობის განკარგულებაში.

*) ბატონიშვილი ვახუშტი „ღეოლრაფიული აღწერა სა-
ქართველოისა“, 1842 წ., გვ. 54-62.



3

საქართველოს მიწის ფონდი შეადგენს სულ 6.935,7 ათას ჰეკტარს; აქედან სახმარი მიწის ფართობი უდრის 5.634,9 ათას ჰეკტარს, უხმარის — 1.300,8 ათას ჰეკტარს. სახმარი მიწა შემოინართ არის განაწილებული (1927 წ.):

კარმიდამო	72,3	ათასი	პენტ.	ანუ	მთელი	ტერი-ის	1,0	0/0
ბალები	17,1	"	"	"	"	"	0,3	"
ვენახი	37,4	"	"	"	"	"	0,6	"
სახნაფ-სათესი	1.193,0	"	"	"	"	"	17,2	"
სათიბი	102,6	"	"	"	"	"	1,5	"
ტყე	2.468,3	"	"	"	"	"	35,6	"
საძოვარ -								
საბალახო	1.744,2	"	"	"	"	"	25,1	"
სულ სახმარი								
მიწა	5.634,9	"	"	"	"	"	81,3	"
უხმარი მიწა	1.300,8	"	"	"	"	"	18,7	"
სულ	6.935,7	პენტარი					100	0/0

*) ქართულ მწერლობაში უფრო ხშირად ხმარობენ: „გა-
მოსადევი და გამოუსადევარი“ (მეურნეობისთვის) მიწა. ბ-ნ
ივ. ჯავახიშვილის ცნობა და გამარტება ამის გამო ჩენ ფრი-
ად საკულოსმოთ და დასაბუთებულათ მიგვაჩინა, რომ ის სი-
ტყვები არ ვიხმაროთ. იგი სწერს: „გამოყენებულებისა, თუ
გამოუყენებაღობის თვალსაზრისითაც ყოველი მამული, სა-
კუთრება თუ ქონება აგრეთვე ორ მთავარ დარგად იყოფე-
ბოდა: ერთ ნაწილს „სახმარი“ შეადგენდა, მეორე კიდევ „უხ
მარი“. რაც მეურნეობისათვის გამოყენებული იყო ის „სახმა-
რად“ ითვლებოდა, რაც გამოუყენებელი რჩებოდა, იმას უხმა-
რი ეწოდებოდა... „უხმარი“ მოლად უკარგისს არ ნიშნავდა,
რა შესაძლებელი იყო შრომითა და მედგარი ბრძოლით. მუ-
შაობით სახმარად ქცეულიყო...“. იხ. მისი ზემო დასახელე-
ბული „საქართველოს ეკონომი. ისტორია“, გვ. 133.

ամենաուշատ, կուլտուրալ միվաս—յար-մուգամոս, ծաղքես, զենաես, սաենաց-սատեսս և աստիճան—լուսուրաց հիշենքու մտելու թյորութորուուս 20,6%։ մարդու հայեն կազման առ արևու օսետու, հռմ կուլտուրալ միվաս հառագենուն մտելու թյորութորուուս յրտ մեխուտյունից մերս առ աղբամարտեա. տաքու հռմ ցազանեծու մի პատրահա սաենալմիւտուրաց հիրգուլութուու, հռմելուաց գուգու թյորութորուուս պատրահա պատրահա, մագալուտագ, Շվեյցարա (450 ատասու գր. կլմ.). հռմելուս մեռլուց 4,4% (20 ատասու գր. կլմ.) Մեյացընս կուլտուրալ միվաս, նորացընս, սաճաց կուլտուրալ միվաս ფարտուն մտելու թյորութորուուս 1,8% առ աղբամարտեա (375 ատասու գր. կլմ-դան — 7 ատասու) և գունլունանդուս — 2% (388 ատասու գր. կլմ-դան — 7,600), — թյորութորուուտ սայարտացընունի նայութեա Շվեյցարահա՛նու կուլտուրալ միվաս հառագենուն մտելու թյորութորուուս դասելուրաց 15% Մեյացընս, սաճալունանդու — 35%, սիմահու միվաս 22,5% և սեպ. ցանեսեցընս սայարտացընուս և դասաելեցնաց կազման միվաս մտելուն մեռլուց և յի, սամիշեսարտ, գրուաց մենիշենելունանդ, հռմ մի կազման մտելուն սովորուս մեխուրենաց մտելուն ցամուսագուրան միվաս գուգու նայութեա ասց տպ ու ու սեպ. ցանեսանանաց արևու ցամուսենեցնաց, հռմուրաց, մագալուտագ, Շվեյցարահա՛նու — թյուրութմունատուու. „ռուուցալլուրա սրամուսիւրա միմաս ամենան, սիշերս յրտու ացթորու, հռմ տույժմուս յրտու մեխուտյունու Շվեյցարահու միվաս սինապուտու. տպ ամուտ միմաս տվյալ սինդատ, հռմ ամ մեխուտյուն առ մունացեա եռահմելունաց արց յրտու լուրու, արց եց, արց ծալաես — յս մարտալու. տպ միմաս տվյալ ապուրեցեն, հռմ ամ մեխուտյունու Շվեյցարայուրաց սանցագուտ զեր սարցեցլունեց, սրամուսիւրա սրպուս, սրպուս սիսուրպեցուու; դա մե զաւեաց Շվեյցարայուր սասկումրունեց პարունա սինդուրա սաելուուտ, ցուցեց մեցնուրու (մեցնուրու) յուրա պուս սաելուուտ, մտեցնու պացանու հյունու ցնեց սաելուու, Pilatus-ու, Righi-Kulm-ու, Yungfrau-ու (մտու միշվերցալլեց), Davos-ու սաելուու, յոնցարցեց տուունան միշվերցալլեց, Tartarin-ու և Bompard-ու սաելուու մե զաւեաց և

շամովմեծ, մե զլալագեծ դա տպ սակարուա բուլսաց զդյօթ, հռմ Շվեյցարուուս „ցամուսագեցարու“ մովա մերս ցրանյս, յրոնաս, ցորանյա սէտերլունցս դա ըռլարս ուլլեցա, զոնյմ սալցետյսու մուլունո զայց-ցորա!“ *). օմաս հվեն, սամշուխարուու, կուլց դո- լու ենու ցամացլունձուու զեր զութպուու դա հվենու Ծյուրունուուս ու ցարտոնձու, հաց պեմարուա, մարտուա պեմարու դա ցամուսագե- ցարուա դլյու - դլյունձուու.

Տեղագասեցա կուտենու մուեցուու, մովա սայարտցելուու այս արուու ցանժունց պահանջունու (ատասո Ֆեյքուրշու) : օն. Կերունու զա. 110- 111.

Կայունանչյ մերու ցարտոնձու պ է թ ա հ ո թ ո ֆ ո ս ու մ պ ո ւ յ ո ւ ա լ պ շ ե տ ո ւ մ ա ն հ ո ւ (33,1% մուելու մանհուու ցարտոնձուու), Կայունանչյ նայլունձու ծորհիալու մանհուու (8,8%).

Ծյաս պատուաց Կայունանչյ մերու ցարտոնձու սամերյու ուսետշու (69,2 % մուելու ուլյուու ցարտոնձուու), Շեմդյց այսանչյուշու — (52,7 %), պարանչու — (51,0 %) դա Տեց.; Սայարտցելուու Ծյու- յունձու մուելու ցարտոնձուու կո ծորհու ալցունու պատուաց այսա- նչյուու (17,5 % մուելու սայարտցելու Ծյույնձուու).

Տաճուար - Տաճալակունց Ֆուրցել ալցունու դցաս ախալյա- լայուու մանհու (46,1 % մուելու ամ մանհուու ցարտոնձուու), պահա- սկել ալցունու — Ցուցունց մանհու (7,7%), Տաճուար - Տաճա- լակունց պահանիս պահանի (290,4 ատասո Ֆեյքուր.), Շեմդյց — այսա- նչյուտշու (191,2 ատասո Ֆեյքուր.), Քոյունուու մանհուու (156,9 ատասո Ֆեյքուր.) դա Տեց.

Տատունձու ցարտոնձու Կայունա կուտենչյ պահու դունձու Ծյու- լունձուու մանհուու (30,5 ատ. Ֆեյքուր.), Շեմդյց — ախալյալայուու մա- նհուու (18,1 ատ. Ֆեյքուր.), ծորհիալու մանհուու (12,9 ատ. Ֆեյքուր.) դա Տեց.

Ցենակս պատուաց Շորածնուու մանհուու — 7,1 ատ. Ֆեյքուր., յու- տանուու — 5,8 ատ. Ֆեյքուր., Տոլնալուու — 5,8 ատ. Ֆեյքուր., Ելազուու — 5,5 ատասո Ֆեյքուր. դա Տեց.

*) G. Lacarpantier « La Suisse au Travail », p. 158.

ხეხილის ბალების მიხედვით პირველ ადგილზე დგას გორას მაზრა — 3,2 ათ. ჰეკტ., შემდეგ ზუგდიდის — 2,4 ათ. ჰეკტ., აფხაზეთი — 2,2 ათ. ჰეკტ., აჭარა — 2,2 ათ. ჰეკტ. და სხვ.

თუ ჩვენ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ერთი სულზე გიანგარიშებთ მიწის რაოდენობას, დავინახავთ, რომ მოდის (ჰეკტარებში) :

სულ	სახმარი	მიწა	2,7	ჰეკტ.
საძოვარ - საბალახო	"		0,8	"
სახნავ - სათესი	"		0,5	"
ტყე			1,1	"

თუ ამავე მდგომარეობას ჩვენ შევადარებთ ჩვენ მეზობელ ქვეყნებს, დავინახავთ, რომ სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე მოდის მიწა (ჰეკტარებში) :

საქართველო:	სომხეთში:	აზერბაი-ში:
სულ სახმარი მიწა	2,7 ჰეკტ.	3,8 ჰეკტ.
სახნავ-სათესი	0,5 "	0,98 "
საძოვარ-საბა-ხო	0,8 "	2,2 "
ტყე	1,1 "	0,5 "

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილიდან სჩანს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ყველაზე ნაკლებათ უზრუნველყოფილია სახმარი მიწით საქართველოს სოფლის მოსახლეობა; პირველი ადგილი უჭირავს აზერბაიჯანს, მეორე — სომხეთს და უკანასკნელი საქართველოს.

მხოლოდ ტყის ფართობს უჭირავს საქართველოში პირველი ადგილი, აზერბაიჯანში მეორე და სომხეთში უკანასკნელი.

საძოვარ-საბალახოს ფართობით პირველი ადგილი უჭირავს სომხეთს, მეორე აზერბაიჯანს და უკანასკნელი საქართველოს; საქართველოს სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე მოდის თითქმის მესამედი იმის, რაც სომხეთისაზე, და ნახევარი იმის, რაც აზერბაიჯანისაზე.

რაც შეეხება სახნავ - სათეს მიწას, ამ საფუძველს სოფლის მეურნეობისას, აქ მდგომარობა კიდევ უარესია საქართველოს-თვის; მაშინ როცა აზერბაიჯანში და სომხეთში სოფლის მასახლეობის ერთ სულზე მოდის თითქმის ერთნაირათ (1 ჰეკტ. და 0,98 ჰეკტ.), საქართველოში — ამის ნახევარი (0,5 ჰეკტ.).

რამდენათ ნაკლებათ უზრუნველყოფილია სახნავ - სათეს მიწით საქართველოს სოფლის მოსახლეობა ეს კიდევ უფრო ნათელი შეიქნება ჩეგნოვის, როცა სახნავ - სათესი მიწის რაოდენობას სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე სხვადასხვა კუთხის მიხედვით გავეცნობით.

* * *

სახნავ - სათესი მიწა მოდის სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე (ჰეკტარებში) მაზრების და ავტონ. ერთეულების მიხედვით :

აღმოს. საქართველო :

	ათ. ჰეკ.:	სული:	ერთ სულზე საშუალოდ:
1. ახალქალაქის	83,6	75.462	1,1
2. ახალციხის	44,6	83.401	0,5
3. ბორჩალოს	67,1	75.292	0,9
4. გორის	129,6	177.026	0,7
5. დუშეთის	43,8	61.139	0,7
6. სიღნაღის	125,6	145.759	0,8
7. თელავის	68,1	95.547	0,7
8. ტყილისის	165,2	154.623	1,0

დასავლ. საქართველო :

9. ზემო-სენეთი	2,7	11.179	0,2
10. ზუგდიდის	67,6	124.279	0,5
11. ქუთაისის	96,8	225.105	0,5



სხვადასხვა კუთხის მიხედვით მიწა საქართველოში

მაზრები და ავტონ.	ერთეულები:	სახნა სათესი				
		მ-ტ- კ	მ-ტ- ლ-ი-ს ა-ბ	ც ხ-ი-ს ა-ბ	ვენა ც	სატე- პ-ე-ს
1. ახალ ქალაქის	1,9	0,2	—	1,4	82,2	83,6
2. ახალკინის	0,9	1,5	—	9,4	35,2	44,6
3. ბორჩალოს	1,8	0,1	1,6	26,2	40,9	67,1
4. გორის	2,7	3,2	2,8	21,2	108,4	129,6
5. ღუშეთის	1,3	0,3	0,7	6,2	37,6	43,8
6. სიღნაღის	5,7	0,6	5,8	11,6	114,0	125,6
7. თელავის	3,3	0,2	5,5	2,7	59,4	62,1
8. ტფილისის	3,3	1,3	2,2	15,4	149,8	165,2
9. ზემო სეანეთის	0,4	—	—	—	2,7	2,7
10. ზუგდიდის	6,2	2,4	0,3	—	67,6	67,6
11. ქუთაისის	10,9	0,4	5,8	15,8	81,0	96,8
12. ლეჩეუმის	1,9	0,3	0,8	—	11,0	11,0
13. ოზურგეთის	4,3	1,6	0,1	—	45,8	45,8
14. რაჭის	2,7	0,1	1,5	—	14,5	14,5
15. სენაკის	6,3	0,2	0,2	—	56,1	56,1
16. შორიპნის	8,2	0,1	7,1	2,2	56,5	58,7
აფხაზეთი	7,5	2,2	2,7	—	76,6	76,6
აჭარა	2,3	2,2	—	—	16,5	16,5
სამხრ. ოსეთი	0,7	0,2	0,3	3,0	22,1	25,1
ს უ ლ	72,3	17,1	37,4	115,1	1077,9	1193,0

*) ესარგებლობთ ცნობებით „Нар. Ком. Земельной“ (1927) გვ. 85; სამწუხაროთ, აქ „ტყეების“ ჯამში დაშვებულია შეც-
დომა ათი ათასეულ დესეტინით ნაკლები; ამის მიხედვით და

ასე არის განაწილებული (ათას ჰეკტარში) :

სახელი	ფ	საძირებელი	საბაზო	სულ სახელი მდებარეობს	უსახლი მიწა	ლ
18,1	3,3	128,9	236,0	35,1	271,1	
3,5	121,5	55,2	227,2	34,9	262,1	
12,9	61,8	123,1	268,4	26,2	294,6	
7,7	167,8	98,6	412,4	58,5	470,9	
3,3	105,6	133,9	288,9	143,9	432,8	
10,9	69,3	290,4	508,3	96,6	604,9	
1,9	216,6	98,9	388,5	64,3	452,8	
30,5	171,2	156,9	530,6	73,6	604,2	
3,1	128,4	78,5	213,1	87,9	301,0	
0,1	97,0	20,8	194,4	63,6	258,0	
0,2	113,8	52,5	280,4	68,3	348,7	
0,3	89,4	51,5	155,2	66,8	222,0	
0,1	86,0	22,8	160,7	37,8	198,5	
2,8	58,5	73,6	153,7	83,8	237,5	
0,1	57,4	21,7	142,0	64,3	206,3	
0,1	77,1	38,6	189,9	86,5	276,4	
1,2	434,7	191,2	716,1	107,7	823,8	
2,2	148,9	51,9	224,0	66,8	290,8	
3,6	271,0	55,2	356,1	34,2	390,3	
102,6	2479,3	1744,2	5645,9	1300,8	6946,7*)	

ამავე რაოდენობით ჩვენ მიერ გამოყვანილი ჯამიც საერთო ფონდის ჰეკტარებში მეტი გამოდის იქ ნაჩვენებზე (6.935,7)— 11 ათასეულ ჰეკტარით. ტყის სივრცე ჩვენში საერთოდ კარგად არ არის გამორჩეული.

12. ლეჩხუმის	11,0	45.731	0,2
13. ოზურგეთის	45,8	103.872	0,4
14. რაჭის	14,5	62.638	0,2
15. სენაკის	56,1	120.919	0,4
16. შორაპნის	58,7	178.136	0,3
აფხაზეთი	76,6	168.772	0,4
აჭარა	16,5	81.579	0,2
სამხრ. ოსეთი	25,1	81.557	0,3
<hr/>		<hr/>	
სულ	1.193,0	2.072.016*)	0,5

ამნაირათ, თუ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე სახნავ - სათესი მიწა მოდის საშუალოდ ნახევარი ჰეკტარი (0,5), იგი აღემატება ნახევარ ჰეკტარს მხოლოდ 7 მაზრაში (ყველა აღმოსავლეთ საქართველოში), სამ მაზრაში უდრის ნახევარ ჰეკტარს, და დანარჩენ მაზრებში და ავტონომ. რესპუბლიკებში ნახევარ ჰეკტარზე ნაკლები უწევს.

ამიერ - კავკასიაში საერთოდ მიწის დიდი სივიწროვეა, ხოლო საქართველოში სახნავ - სათესი მიწით უზრუნველყოფილია სოფლის მუშა იმდენათ, რამდენათაც თუნდაც აზერბაიჯანაში და სომხეთში, მხოლოდ სამ მაზრაში — ახალქალაქის, ტფილისის და ბორჩალოს. სახნავ - სათეს მიწის უდიდესი სივიწროვეა (სულზე სოფლ. მოსახლ. — 0,2 ჰეკტ.) — ზემო - სვანეთის, ლეჩხუმის, რაჭის მაზრებში და აჭარში, შემდეგ ოზურგეთის მაზრაში და სამხრ. ოსეთში (0,3 ჰეკტ.). საშუალოდ უწევს :

მცხოვრებს (სულს) :	მთელი მოსახლეობის :
1 — 1,1 ჰეკტ.	230.085 11,1 %
0,8 — 0,9 „	221.051 10,7 „

*) არ არის შესული ფოთის რაიონის 257 მცხოვრები.

0,7 „	333.712	16,1 „
0,5 „	432.785	20,9 „
0,4 „	393.563	18,9 „
0,3 „	259.693	12,6 „
0,2 „	201.127	9,7 „
	—	—
	სულ 2.072.016	100 „

საშუალოდ ნახევარ ჰეკტარზე მეტი უწევს სულზე სოფ-
ლის მოსახლეობის $37,9\%$, ხოლო დანარჩენ $62,1\%$ — ნახევა-
რი და ნახევარ ჰეკტარზე ნაკლები.

მთელ საბჭოთა კავშირში ნათესების ფართობი უდრის (1926 წ.) 112 მილ. ჰეკტარს; ამავე დროს სოფლის მოსახლე-
ობის რაოდენობა 114 მილ. სულს; ამნაირათ სოფლის მოსახ-
ლეობის ერთ სულზე მოდის დაახლოებით ერთი ჰეკტარი; იქ
ეს საშუალო ნორმა შეიძლება გადიდებულ იქმნას, რადგან
მიწის დიდი ფართობები კიდევ გამოუყენებელი რჩება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ნათესების ფართობი უდ-
რის დაახლოებით:

ათასი ჰეკტარი:	სოფლის მოსახლეობა (1000 სული);	სოფლის მოსახლე-ის 1 სულზე:
საფრანგეთში	22.700	21.000
გერმანიაში	20.000	22.700
დანიაში	1.000	1.900
შვეიცარიაში	1.185	2.800

**

მიწათმოქმედება, ხენა - თესვა, წარმოადგენს საქართვე-
ლოს სოფლის მეურნეობის უმთავრეს საფუძველს და ეს ასე

დარჩება მანამდის, სანამ საქართველოც, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნები, ეკონომიურ განვითარების გამო უაღრესად სამრეწველო ქვეყნად არ გადაიქცევა.

ამავე დროს ჩვენში მიწის დიდი სივიწროვეა. მოსახლეობა იზრდება, მისი მიწა - წყლის რაოდენობა კი იგივე რჩება, რაც ამ 100 - 200 წლის წინათ იყო. ნიშნავს ეს, რომ საკუთარი მიწა - წყალი საქართველოს მოსახლეობას ვერ დაარჩენს და მან გამოსავალი, მაგალითად, ემიგრაციაში უნდა ეძიოს ან სხვისი მიწა - წყალზე დაიჭიროს თვალი? სრულიადაც არა. ქათველი კაცი, როგორც ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ძნელად სცილდება თავის ქვეყანას; ამიტომ მის ემიგრაციაზე ლაპარაკი, როგორც ამას ხანდახან საბჭოთა პრესაში აქვს ადვილი, სულ ერთია შეეხება ეს ინტელიგენციას თუ უბრალო მუშას, ზედმეტია ლაპარაკი; ამას მხოლოდ სასჯელის ხასიათი ექნება საქართველოს მოსახლეობისთვის და არა მდგრამარეობის გაუმჯობესების. დაწინაურებულ ქვეყნების, მჭიდროთ რომ არიან დასახლებული, მაგალითი იმას გვეუბნება, რომ რამდენათ იქ მოსახლეობა იზრდებოდა, იმდენათ უმჯობესდებოდა საშვალებანი მიწის ნაკლებ ფართობზე მეტი მოსავლის მოსაყვანათ.

ჩვენში ახლა დაახლოებით პურის იმდენი მოსავალი მოდის, რამდენიც, მაგალითად, საფრანგეთში, ამ 100 - 120 წლის წინათ მოდიოდა (1815 - 1824 წ.წ. განმავლენაში საშუალოდ ერთ ჰეკტარზე მოყავდათ საფრანგეთში — 800 კილოგრამი); ახლა ეს მოსავალი საფრანგეთში თითქმის გაორკეცებულია (1931 წ. — 1407 კგრ.), ხოლო საფრანგეთზე კიდევ გაცილებით მეტი პური მოყავთ დასავლეთ ევროპის პატარა ქვეყნებში, როგორც მაგალითად : პურის საშუალო მოსავალი უდრის ერთ ჰეკტარზე (1923 - 1931 წ.წ.) ჰოლანდიაში — 2.831 კგრ., დანიაში — 2.780 კგრ., ირლანდიაში — 2.516 კგრ., ბელგიაში

— 2.510 კგრ., შვეიცარიაში — 2.107 კგრ. *). ჩვენში პურის მოსავალი უდრის მგოლოდ 806 კგრ. — ჰეკტარზე (საშუალო 1927 - 1929 წ.). **).

აი ამ გარემოებას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება; დროა, რომ ჩვენებური სოფლის მეურნე ექსტენსიურ მეურნეობიდან ინტენსიურ მეურნეობაზე გადავიდეს; მას უნდა მიეცეს საშუალება გაუმჯობესოს წესი სოფლის მეურნეობის და დაინტერესდეს მეტი მოსავლის მოყვანაში. ამისათვის კი საქართვა, სხვათა შორის, რომ შეიცვალოს თვით წესი მიწათმფლობელობის და მიწის მუშა გახდეს სრული პატრონი თავის ნაწარმოების; განვითარებულ ქვეყნების მაგალითი იმას გვიჩვენებს, რომ ბურჯი სოფლის მეურნეობის არის წვრილი მესაკუთრე - გლეხი.

თუ საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ ზედმეტია ლაპარაკი, არც ის არის დასაშვები, რომ საქართველოს გარედან მოსული მოსახლეობა შეემატოს. საქართველოს ზოგიერთი კუთხე თუ უფრო ნაკლებ არის დასახლებული, შესაძლებელია მოხდეს შინაური იმიგრაცია, ე. ი. საქართველოს ერთი ნაწილიდან თვით საქართველოს მოსახლეობის მეორე ნაწილში გადასახლება და ესეც არა ძალდატანებით, არამედ ისეთ პირობებში, რომ თვითონ გადასახლებული გრძნობდეს ასეთ ზომის უპირატესობას მისი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ზომაც მიზანს ვერ მიაღწევს.

ერთი ნაწილი საქართველოს მიწის ფართობის ეგრეთ წოდებულ ძვირფას კულტურის მეურნეობას უჭირავს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ამის საშვალებას იძლევა საქართ-

*) Annuaire National de l'Agriculture 1932—33, Edit. Paris, p. 395.

**) საბჭოთა საქართველოს 10 წელი“-ში მოყვანილ ცნობების მიხედვით; გვ. 214.

ველოს ბუნება. ძეირფას კულტურის მცენარეთა ფართობი კიდევ უნდა გაფართოვდეს. ხოლო იმ წესით, რომ ეს არ უნდა ხდებოდეს ხორბლეულის მოსავლის ანგარიშზე. ბევრი ფიქრობს, და იმ უბრალო მოსაზრებას ემყარება, რომ ხორბლეულის მეურნეობას სჯობს მეურნეობა თამბაქოსი, ვენახის, ფორთოხალ - მანდარინის და სხვ. იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ძეირათ ფასობენ. ამ საინტერესო საკითხზე აქ ჩვენ, სამწუხაროთ, დიდხანს ვერ შევჩერდებით. საჭიროა აქ ოღნიშვნა მხოლოდ იმის, რომ თუ ზოგ შემთხვევაში (ჰავის და მდებარეობის მიხედვით) და კერძო მეურნისთვის ასეთი მოსაზრება მისაღებია, საერთოდ და საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეს ძალიან სახიფათოა. ყოველგან სოფლის მეურნეობა, და უმთავრესად წვრილი, მხოლოდ ნაწილობრივ არის დამოკიდებული გარეშე ბაზრებზე, რადგან თავისი ნაწარმოების დიდი ნაწილის მომხმარებელი არის თვითონ სოფლის წვრილი მეურნე, მისი ოჯახი. თუ მისი მეურნეობა ისე მოეწყო, რომ იგი იძულებული შეიქნა მთელი თავისი ნაწარმოები გაყიდოს და ყველაფერი, რაც მას სჭირია, იყიდოს, როგორ მდგომარეობაში ჩავარდება იგი, რომ ეს ძეირფას კულტურის ნაწარმოები რაიმე მიზეზების გამო ვერ გაყიდოს? მაგალითად, პურზე უფრო ძეირათ ღვინო ფასობს და საქართველოში არ არის კუთხე, გარდა მცირე გამონაკლისისა, ვენახი რომ არ ხარობდეს; მოყიდოს ხელი მთელმა მოსახლეობამ მევენახობას ემ იმედით, რომ ღვინოს ძეირათ გაყიდის და პურს იაფათ შეაძენს? საფრანგეთში, რომელსაც ღვინის დიდი ბაზარი აქვს, ეს რამდენიმე წელიწადია ღვინის მთელი მოსავალი არ იყიდება და ხელისუფლება იძულებული შეიქნა აღეკრძალა ვენახის გაშენება 10 ჰეკტარზე მეტი ერთი მეურნის მიერ (კანონი 4 ივლისის 1931 წ.). ყოველთვის და მრავალ გარემოებათა გამო მოსალოდნელია, რომ გაუყიდველი დარჩეს მაღალ კულტურის სხვა გვარი ნაწარმოებიც (თამბაქო, ჩაი, მანდარინი და სხვ.), და ქვეყანა სხვისი პურის მოლოდინში ისე დარჩეს,

რომ პურის შესაძენი საშვალებაც არ დაურჩეს, ხოლო ვერც ლვინო, ვერც თამბაქო და სხვა ამ გვარი ნაწარმოები მას პურის მაგიერობას ვერ გაუწევს. საქართველოს პირობებში ასეთი მდგომარეობა მოასწავებს საქართველოს რუსეთიდან, რუსეთის პურიდან, დამოკიდებულებას; ეს ზოგიერთ პოლიტიკურ მოსახლებით მპყრობელ ერისთვის ძალიან კარგია, საქართველოს ეროვნულ ინტერესით კი მიუღებელი.

ბევრი ქვეყანა დასავლეთ ევროპაში, რომ პურის დიდი ნაწილი უცხოეთიდან შემოაქვს; ესენი ან ულრესად სამრეწველო განვითარების ქვეყნებია, ან სახნავ - სათეს მიწის სივიწროვის გამო, თუმცა ინტენსიურ სოფლის მეურნეობას ეწევიან, საკუთარი პური არ ყოფნისთ. საქართველო კი ძალიან შორს არის ასეთ მდგომარეობიდან. ბუნების მიერ იგი ისე არის დაჯილდობული, რომ იქ ყველაფერი მოდის; ამიტომ საქართველოს შინაური ეკონომიკური პოლიტიკა იმას მოითხოვს, რომ მისი მიწა - წყალი იმნაირათ იქმნეს განაწილებული, რათა ყოველ დარგს მეურნეობისას მისი წილი მიეზღოს : პურს და საზოგადოთ წორბლეულობას — ადგილობრივ მოთხოვნილების დასაქმაყოფილებლათ, ძვირფას კულტურას — უცხოეთის ბაზარზე გასატანათ. და ეს, როგორც ვსთქვით, ადვილი მოსახლეობებით იქნება მაშინ, როცა საქართველოს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია მოხდება..

**

მიწათმფულობელობის ის ფორმა, ჩვენში და მთელ საბჭოთა კავშირში ახლა რომ არსებობს, არ არსებობს არსად სხვა ქვეყანაში; ამიტომ შეუძლებელია ამ მხრივ საქართველოს ევროპის ქვეყნებთან შედარება. გავეცნოთ მოქლეთ იმ ფაქტიურ მდგომარეობას, რომელიც მიწათსარგებლობის მხრივ არსებობს საქართველოში.

სოფლის მეურნეობა ახლა ჩვენში იყოფა სამ კატეგორიათ

(სექტორათ) : საბჭოთა მეურნეობა (ხევხოვა), კოლექტიური მეურნეობა (კოლხოვა) და ინდივიდუალური მეურნეობა. საბჭოთა წყობილების პროგრამულ საფუძვლების თანახმად ინდივიდუალურ მეურნეობის არსებობა დროებითია, მიწის მესაკუთრე სახელმწიფოა და როგორც კი მოისურვებს იგი, ინდივიდუალურათ სარგებლობის მიწის ფართობი ან საბჭოთა (სახელმწიფოს) ან კოლექტიურ მეურნეობის „სექტორულ“ უნდა გადავიდეს.

1930 წელს ნათესების ფართობს მთელ საქართველოში ანგარიშობენ სულ 909.554 ჰექტარს *) ; აქედან :

საბჭოთა მეურნეობის	6.158	ჰექტ. ანუ	0,7 %
კოლექტიურ	147.597	"	16,2 "
ინდივიდუალურ	755.799	"	83,1 "

წინა წლებთან შედარებით ინდივიდუალური მეურნეობა თანდათან კლებულობს, ხოლო მეურნეობა პირველ ორ კატეგორიის მატულობს; ასე, ნათესების ფართობი შეადგენდა პროცენტებში :

	1928 წ.	1929 წ.	1930 წ.
საბჭოთა მეურნეობის	0,1	0,2	0,7
კოლექტიურ	0,3	1,4	16,2
ინდივიდუალურ	99,6	98,4	83,1

მეურნეობის დარგის მიხედვით, ხორბლეულის (პური - ხორბალი, ქერი, სიმინდი) კულტურაში უფრო ნაკლები ადგილი უჭირავს საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას და ეს „სექტორი“ უფრო ნაკლებ ვითარდება, ვინემ ტეხნიკურ (თამბაქო, ბამბა) და დანარჩენ ნათესებში. ასე, ნათესების მთელ ფართობში სხვადასხვა კულტურას შემდეგი ადგილი ეჭირა 1930 წელს (პროცენტებში) :

*) იხ. „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“.

ხორბლეულს:	ტეხნიკურს:	დანარჩენს:
საბჭოთა მეურნეობაში	0,7	3,8
კოლექტიურ	15,5	22,9
ინდივიდუალურ	83,8	73,3

აქედან ცხადია, რომ მიუხედავათ საბჭოთა ხელისუფლების სურვილისა და თეორიისა ადვილათ არ ხერხდება ჩვენში სოფლის მეურნეობის „განსაზოგადოება“; ხოლო ამ მხრივ მომართული ხელისუფლების ხშირი დეკრეტები და განკარგულებანი, გაურკვევლობა იმაში, თუ რას უქადის „ხეალინდელი დღე“, უსათუოდ უარყოფითი გავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც ჩაბმულია ინდივიდუალურ მეურნეობაში, უკარგავს იმას ხალის და ანელებს მის საქმიანობას.

საქართველო ჯერ - ჯერობით მაინც წვრილი მეურნეობის ქვეყნათ არის არსებითად დარჩენილი, უფრო წვრილის, ვინებ ჩვენ ვხედავთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. საფრანგეთში, მაგალითად, მოდის სოფლის ყოველ გვარ მეურნეობებზე (Terres labourables) მეურნეობა, რომელიც შეადგენს :

ათასი ჰეკტარი:	მოელი ფართობი:
1 ჰეკტარზე ნაკლებს	1.327
1 - 10 ჰეკტარამდის	11.244
10 - 40 „	14.313
40 ჰეკტარზე მეტს	22.493

უფრო ნაკლებ მიწა - წყლის პატრონ ქვეყნებს თუ ავიღებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ : დანიაში, მაგალითად, 206.000 მეურნეობიდან — 134.600 მეურნეობას უჭირავს 908.000 ჰეკტარი (ერთ მეურნეობაზე არა უმეტეს 15 ჰეკტ.), ხოლო 43.400

*) Annuaire Général de la France et de l'Etranger, 1926.

მეურნეობას — 1.093.000 ჰეკტარი (ერთ მეურნეობაზე 15-30 ჰეკტ.); შვეიცარიაში სამ ჰეკტარზე ნაკლები მეურნეობაზე მოდის — 41 %, ხოლო 59 % უჭირავთ მეურნეობათ, რომელთაგან თითოეული აღმატება 3 ჰეკტარს *). ჩვენში არსებულ მიწათსარგებლობის პირობებში მხოლოდ „განსაზოგადოებული“ (საბჭოთა და კოლექტიური) მეურნეობა თუ შეიძლება ჩაითვალოს ცოტათ თუ ბევრათ მსხვილ მეურნეობათ და მათ, როგორც დავინახეთ, უჭირავს ნათესების ფართობის მხოლოდ 16,9 %; დანარჩენი 83,1 % კი წარმოადგენს ინდივიდუალურ მეურნეობის „სექტორს“ და, მაშასადამე, წვრილ მეურნეობას.

三

როცა საქართველოს ტერიტორიის და იმის „სახმარ“ მიწების შესახებ არის ლაპარაკი, აღნიშნული უნდა იქმნეს, თუნდაც ძალიან მოკლეთ (ვრცლათ ამის შესახებ სხვა ადგილას უნდა ითქვას), რომ საქართველოს ტერიტორია (მიწის გული) მდიდარად მინერალებით. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ევროპაში ტერიტორიით საქართველოსავით პატარა ჭიხელმწიფო, სადაც იმდენი ბუნებრივი სიმდიდრე მოიპოვებოდეს, როგორც საქართველოში. არც შევიცარიას, არც დანიას, არც ჰოლანდიას, არც ბელგიას, არც ერთს რუსეთიდან გამოყოფილს ბალტიის სახელმწიფოებს და სხვ. არ მოვპოვა მრეწველობის განვითარებისთვის საჭირო იმდენი მინერალური სიმდიდრე, რაც საქართველოს; პატარა სახელმწიფოებში მხოლოდ ბელგიას აქვა, და ისიც მხოლოდ ქვინანაშირი, საქართველოზე მეტი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რასაკვირველია, მარგანეცი (შავი-ქვა); საქართველოს მარგანეცი ცნობილია მსოფლიოში, როგორც ხარისხით, ისე რაოდენობით. საქართველოს მარგანეცის უმთავრესი მაღანი იმყოფება ჭიათურაში,

^{*)} G. Lecarpantier « La Suisse au Travail » p. 91.

ხოლო იგი არსებობს მრავალ სხვა კუთხეშიც (გურიაში, სამე-
გრელოში, ქვემო-იმერეთში, რაჭაში, ქართლში), სულ 49
ადგილას.

შემდეგ — ქვა-ნახშირი. ქვა-ნახშირის მაღანით ცნობილია
განსაკუთრებით ტყვიბული (იმერეთი) და ტყვარჩელი (აფხაზე-
თი), ხოლო იგი მოიპოვება სულ 56 ადგილას (უფრო ცნობი-
ლია ამათგან გელათი, ბზიბი და სხვ.).

სპილენძი. სპილენძის მაღანით უფრო ცნობილი რაიონებია,
სადაც წარმოება უკვე არსებობდა, დღეს საქართველოს საზღ-
ვრებში აღარ შედიან : ძანსული, კვარცხანა (ოსმალეთს გადა-
ეცა) და ალავერდი (სომხეთი); ხოლო ცნობილია საქართველო-
ში სულ 171 ადგილი სპილენძის მაღანით, სამწუხაროთ, ჯერ
გამოუყენებელი.

რკინა. რკინის მაღანით განსაკუთრებით ცნობილია ჩათა-
ნის რაიონში (ბორჩალოს მაზრაში), სადაც ერთ დროს ნაყოფი-
ერი მუშაობაც კი სწარმოებდა; საქართველოში სულ 44 ადგა-
ლია აღნიშნული რკინის მაღანით.

ნავთი. არსებობს უტყუარი ნიშნები საქართველოში ნავ-
თის არსებობისა (სულ 69 ადგილას), თუმცა ფართო მასშტაბით
ნავთის ამოღების წარმოება არც ერთხელ მოწყობილი არ ყო-
ფილა, ხოლო მუშაობა — უფრო სანიმუშო, ვინემ სამრეწვე-
ლო ხასიათის — დადებითი შედეგებით ბევრ ადგილას იყო წა-
რმოებული (განსაკუთრებით კახეთში და გურიაში).

ჩვენში არსებობს მაღანი : გლაუბერის მარილის (10), ოზო-
კერიტის (4), ბარიტის (4), ინფუზორის მიწის (3), გრაფიტის
(4), მარმარილოსი (4), ვერცხლის და ტყვიის (89), ნიშნები
ოქროსი (8), სააღმშენებელო და სალიტოგრაფიო ქვის, ალება-
სტრის, ცეცხლის გამძლე თიხის და სხვ. და სხვ. (იხ. მოკლეთ

აღნუსხვა დ. აბხაზის წიგნში : «Les Richesses Naturelles de la Géorgie», Rome. 1923).

საქართველოში 150 მეტს სულ სხვადასხვა ადგილის მინე-
რალურ და სამკურნალო წყლების წყაროს ანგარიშობენ (უფრო
ცნობილია: ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ზეკარი, უწერა,
კობი, ტფილისი, ტყვარჩელი, ახტალა და სხვ.).

საქართველოს ტერიტორიის ბუნებრივი სიმდიდრეა თე-
ორი - ნახშირიც, რომელსაც საქართველოს მდინარეები მოი-
ცემა, თუ გამოყენებული იქმნენ ამისთვის, სიძლიერით არა
ნაკლებ სამი მილიონ ცხენის ძალისა.

III

საქართველოს მოსახლეობა

8

1.

საქართველოს მოსახლეობა *)

მთელი საქართველოს მოსახლეობა, 17 დეკ. 1926 წ. აღწერის თანახმად, უდრის — 2.666.494 სულს; თეორეტიულ გამოანგარიშებით 1 იანვ. 1931 წ. იგი უკვე 2,903.361 სულს შეადგინდა. ქვემოთ ამ მიმოხილვაში ჩვენ ვემყარებით 1926 წ. აღწერის ცნობებს, როგორც უფრო რეალურს.

9 თებ. 1897 წ. აღწერით, საქართველოს მოსახლეობა შეადგინდა 1.913.938 სულს; ამნაირათ, ამ უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას მოუმატნია 752.556 სულით ანუ 39,3 %, რაც წარმოადგენს საშუალოდ წლიურ მატებას — 1,3 %.

თვით ქართველების რიცხვი ახლანდელ საბჭოთა კავშირის მთელ საზღვრებში 1897 წ. უდრიდა — 1.329,3 ათ. სულს, ხოლ 1926 წ.—1.820,9 ათასს, ე. ი. იმავე 30 წ. განმავლობაში ქართველების მატება წარმოადგენს 37,0 % ანუ 1,2 % წლიურათ.

სხვა ეროვნებათა მოსახლეობის მატება საბჭოთა კავშირში

*) 1926 წ. 17 დეკ. სრულიად საკავშირო აღწერის ცნობები—სახელმწ. სტატ. მოაშე № 4-5 (33-34), ტფილისი, 1928 წ.; Атлас С.С.С.Р., Москва, 1928; საბჭოთა საქართველოს 10 წელი, ტფილისი, 1931 წ.; საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.—საქ. საგეგმო კომისიის გამოცემა, ტფილისი, 1926 წ.

უდრის იმავე 30 წლის განმავლობაში : სომხების — 47,1 % (წლიური — 1,5 %), თურქ - თათრების — 33,1 % (წლიური — 1,1 %) და რუსების — 42,5 % (წლიური — 1,4 %).

საერთოდ კი საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა, იმის დღევანდელ საზღვრებში, 30 წლის განმავლობაში გაზრდილა — 40,6 % (წლიური — 1,3 %). როგორც დიდი ომის წინ, ისე ამ უკანასკნელ წლებში, საბჭოთა კავშირის (ყოფ. რუსეთის) მოსახლეობა გაცილებით მეტი სისწრაფით ზრდას წარმოადგენს, ხოლო ამ ზრდის ტემპის შემცირება აღნიშნულ 30 წლის განმავლობაში, თვით საბჭოთა ლიტერატურაში მოცემულ განმარტების თანახმად, უნდა აიხსნას მსოფლიო ომის, შემდევ სამოქალაქო ომების და დასასრულ 1921 წ. გაუგონარ შიმშილობის მიზეზით („ათას“ — გვ. 15).

ასი წლის განმავლობაში (1811 წ.— 1911 წ.) ევროპას ქვეყნებში მოსახლეობის ზრდა წარმოადგენდა საშუალო წლიურათ : საფრანგეთში — 0,3 %, გერმანიაში — 1,4 %, იტალიში — 0,8 %, ინგლისში — 1,2 %, ევროპ. რუსეთში — 2,2 %, შვეიცარიაში (1861 — 1911 წ.) — 1,2 %, შვეციაში — 1,0 %.

* * *

თუ ჩვენ შევადარებთ საქართველოს მოსახლეობას სხვა ქვეყნებისას, როგორც მოვიქეცით ტერიტორიის ზესახებ, ჩვენ დავინახავთ, რომ ევროპაში და ამერიკაში კიდევ მეტი სახელმწიფო არსებობს მოსახლეობის რაოდენობით საქართველოზე ნაკლები, ვინემ ნაკლები ტერიტორიით. ასე ცხოვრობს :

ა) ევროპაში :	ლიტვაში	2.386	ათასი	სული
	ლატვიაში	1.900	"	"
	ესტონიაში	1.116	"	"
	ალბანეთში	1.005	"	"
	დინციგში	407	"	"

ლიუკსენბურგში	299	"	"
ისლანდიაში	108	"	"
ანდორრაში	55	"	"
მონაკოში	24	"	"
სენ-მარინოში	13	"	"
ლიხტენშტეინში	11	"	"

ბ) ამერიკაში :	გვატემალაში	2.454	"	"
	ურუგვაიში	2.036	"	"
	ეკუადორში	1.785	"	"
	სალვადორში	1.500	"	"
	პარაგვაიში	933	"	"
	ჰონდურაში	859	"	"
	ნიკარაგუაში	750	"	"
	კოსტა-რიკაში	507	"	"
	პანამაში	472	"	"

ზოგ კარგად ცნობილ სახელმწიფოთა მოსახლეობა ბევრით არ აღმატება საქართველოს მოსახლეობას; ასე, მაგალითად, ცხოვრობს : შვეიცარიაში — 4.108 ათასი სული, ფინლანდიაში — 3.582 ათასი, დანიაში — 3.550 ათასი, ირლანდიაში — 3.221 ათასი, ნორვეგიაში — 2.881 ათასი და სხვ.

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ცხოვრობს : აზერბაიჯანში — 2.313 ათასი სული, სომხეთში — 876,6 ათასი, ჩრდილო - კავკასიაში — 1.708 ათასი *) და ოსმალეთში — 14.044 ათასი (აქედან ევროპის ნაწილში — 1.044 ათასი და აზიაში — 13 მილიონი).

*) აქედან ცხოვრობენ: ჩეჩენეთში — 309,9 ათასი, ინგუშეთში — 75,2 ათასი, ყარაბაგიში — 64,6 ათასი, ყაბარდოში — 204 ათასი, ჩერქეზეთში — 113,5 ათასი, ჩრდ.-ოსეთში — 152,4 ათასი და დაღესტანში — 788,1 ათასი.



三

მამაკაცის რიცხვი მთელ საქართველოში შეადგენს — 1.347.513 და დედაკაცი — 1.318.981 სულს, ე. ი. მამაკ. რიცხვი აღმატება დედაკაცის რიცხვს, ყველა კუთხეში დასავლეთ საქართველოს გარდა, საღაც, წინააღმდეგ, დედაკაცთა რიცხვი მეტია, ასე, ცხოვრობს :

	მამაკაცი:	დედაკაცი:	ათას მამაკაცზე
	მოდის	დედა-ცი:	
აღმოს. საქართვ-ში	638.879	609.928	954
დასავლეთ „	489.079	508.260	1.030
აფხაზეთში	104.410	96.606	927
აჭარაში	69.610	62.347	897
სამხრეთ ოსეთში	45.535	41.840	918
	—	—	—
სულ საქ-ში:	1.347.513	1.318.981	978

ტრიალურ ამერ. შეერთ. - შტატებში მამაკაცთა რიცხვი ჭარბის.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პროპორცია მოსახლეობის დედობრივი და მამობრივი სქესის ჩვენში თანდათან იცვლება პირველის სასარგებლოთ. ასე, 1000 მამაკაცზე მოდიოდა დედაკაცი : 1886 წ. — 856, 1897 წ. — 874, 1917 წ. — 924, და 1922-23 წ. — 916 *); ხოლო 1926 წელს — 978.

აზერბაიჯანში 1000 მამაკაცზე მოდის 909 დედაკაცი, სომხეთში — 963, მთელ საბჭოთა კავშირში — 1069. ოვით საქართველოს ფარგლებში ცალკე ეროვნებათა შორის 1000 მამაკაცზე მოდის : ქართველებში — 995 დედაკაცი, სომხებში — 972, თურქებში — 953 და ოსებში — 913.

1000 მამაკაცზე უწევს დედაკაცი :

საფრანგეთში	1.030
გერმანიაში	1.030
ინგლისში	1.070
სერბიაში	940
შეერთებულ შტატებში	940

ადმინისტრატიულ ნაწილების მიხედვით საქართველოში ცხოვრობს :

მაზრები და

ავტონ. ერთეულები:

აღმოს. საქართველოში : მამრ. სქესის: დედრ. სქესის: სულ:

1. ახალქალაქის	40.447	38.490	78.937
2. ახალციხის	50.818	46.155	96.973

*) „საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.“ — საქ. საგ. კომ. გამოცემა, 1926, გვ. 5.

3. ბორჩალოს	45.516	41.021	86.537
4. გორის	104.726	102.003	206.729
5. დუშეთის	31.254	31.985	63.239
6. თელავის	53.457	51.787	105.244
7. სიღნაღის	83.754	74.357	47.587
8. ტფილისის	228.907	224.130	113.455
	—	—	—
სულ	638.879	609.928	1.248.906

დასავლ. საქართველოში :

9. ზემო - სენანეთის	5.199	5.980	11.179
10. ზუგდიდის	64.394	65.462	129.856
11. ლეჩხუმის	23.199	24.388	47.587
12. ოზურგეთის	55.243	58.212	113.455
13. რაჭის	28.527	37.043	65.570
14. სენაკის	60.972	65.445	126.417
15. ფოთის რაიონი	7.321	6.945	14.266
16. ქუთაისის	146.895	150.137	297.032
17. შორაპნის	97.329	94.648	191.977
	—	—	—
სულ	489.079	508.260	997.339

აფხაზეთში	104.410	96.606	201.016
აჭარაში	69.610	62.347	131.957
სამხრ. ოსეთში	45.535	41.840	87.375

სულ მთ. საქ-ში	1.347.513	1.318.981	2.666.494
----------------	-----------	-----------	-----------

1926 წლის აღწერის თანახმად, საქართველოს მოსახლეობა წარმოადგენდა 415.746 კომლს; აქედან :

საქართველოში (ავტ. ერთეულების გარდა)	355.237 კომლს
ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი	33.816 "
ა ჭ ა რ ა შ ი	13.701 "
სამხრეთ ოსეთში	12.992 "

თითო სოფელზე მოდის კომლი:

საქართველოში (ავტ. ერთ. გარდა)	100
ა ფ ხ ხ ე თ შ ი	64
ა ჭ ა რ ა შ ი	47
სამხრეთ ოსეთში	23

საშუალოდ ცხოვრობს (1931 წ. 1 იანვ. თეორეტიულ გამოანგარიშების მიხედვით) — ქალაქების გარდა::

ერთ დასახლ.	ერთ სასოფ.
პუნქტში:	საბჭ. ფარგ-ში:
საქართველოში (ავტ. ერთ. გადრა) 555 მც.	3.641 მც.
ა ფ ხ ხ ე თ შ ი	382 „ 2122 „
ა ჭ ა რ ა შ ი	304 „ 4484 „
სამხრეთ ოსეთში	170 „ 3367 „

**
**

მოსახლეობის სიმჭიდროვე. საქართველოში ერთ კვ. კილომეტრზე ცხოვრობს 38,7 სული; ხოლო მოსახლეობის საერთო რიცხვიდან თუ გამოვრიცხავთ ქალაქების მოსახლეობას (ქალაქების სიმჭიდროვე სრულებითაც არ არის დამახასიათებელი მთელი ტერიტორიისთვის), ჩვენ დავინახავთ, რომ სოფლის მცხოვრებთა რიცხვი 1 კვ. კილომეტრზე შეადგენს 30,1.

რა თქმა უნდა, საქართველოს ყველა ნაწილი ერთნაირის სიმჭიდროვით არ არის დასახლებული; ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგ ცნობებიდან:

მაზრები და	მოდის მოსახლეობა 1 კვ. კილომეტრზე:
ავტ. ერთეულები:	სულ სოფლის:
1. ახალქალაქის	29,0 27,8
2. ახალციხის	36,9 31,7
3. ბორჩალოს	29,1 25,3

4. ზემო - სვანეთის	3,7	3,7
5. გორის	43,8	37,5
6. დუშეთის	14,6	14,1
7. ზუგდიდის	50,5	48,1
8. ქუთაისის	84,6	64,3
9. ლეჩხუმის	21,3	20,5
10. ოზურგეთის	56,8	52,0
11. რაჭის	27,5	26,3
12. სენაკის (ფოთის ჩაიონით)	68,0	58,6
13. სიღნაღის	26,1	24,1
14. თელავის	23,8	21,6
15. ტყილისის	74,7	25,5
16. შორაპნის	69,5	64,4
აფხაზეთი	24,9	20,9
აჭარა	51,1	31,7
„სამხრ. ოსეთი	23,6	22,0
სულ საქართველოში	38,7	30,1

ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა კუთხეზე უფრო მჭიდროთ სოფელი დასახლებულია შორაპნის მაზრაში (64,4 — 1 კვ. კლმ.), შემდეგ — ქუთაისის მაზრაში (64,3), სენაკის მაზრაში (58,6), ოზურგეთის მაზრაში (52,0) და სხვ.; ყველაზე ნაკლებათ — ზემო სვანეთში (3,7), შემდეგ — დუშეთის მაზრაში (14,1), ლეჩხუმის მაზრაში (20,5), აფხაზეთში (20,9) და სხვ. მთელ საშართველოში ქალაქების ჩათვლით კი სიმჭიდროვეის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს ქუთაისის მაზრას (84,6), შემდეგ ტყილისის (74,7), შორაპნის (69,5) და სხვ.

თუ საქართველოს მოსახლეობის სიმჭიდროვეს ჩვენ შეზობელ ქვეყნებს შევადარებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველო იმათზე უფრო მჭიდროთ არის დასახლებული; სახელდობ, მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კლმ. უდრის :

მთელი მოსახლეობა: სოფლის მოსახლ.:

საქართველო	38,7	30,1
აზერბაიჯანი	27,3	19,7
სომხეთი	28,4	23,1

სხვადასხვა ქვეყნებში შემდეგ სურათს ვხედავთ; ერთ კვ. კილომეტრზე ცხოვრობს:

ბელგიაში	266	ევროპ. რუსეთში	24
პოლანდიაში	227	შვეციაში	15
ინგლისში	185	ფინლანდიაში	10
გერმანიაში	134	ლატვიაში	29
იტალიაში	133	ესტონიაში	24
ჩეხო - სლოვაკ.	104	ნორვეგიაში	9
შვეიცარიაში	94	ისლანდიაში	1
დანიაში	83	ამერ. შეერთ. შტატები	17
პოლონეთში	78	და სხვ.	
საფრანგეთში	74		

ბელგიას მოსახლეობის სიმჭიდროვით პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში (266); საქართველოზე ნაკლებ დასახლებული ევროპაში არიან ლატვია (29), ესტონია (24), შვეცია (15), ფინლანდია (10), ნორვეგია (9), ისლანდია (1), ევროპის რუსეთი (24); აზიაში ინდოეთი, იაპონია (124) და ჩინეთი (94); არიან უფრო მჭიდროთ დასახლებული, ვინემ საქართველო; დანარჩენი სახელმწიფოები — ნაკლებ: აზიის რუსეთი (2), სპარსეთი (6), აზიის ნაწილი ოსმალეთის (18), ავგანისტანი (10) და სხვ.; ამერიკაში: არგენტინა (4), ბრაზილია (3,6), მეკსიკა (8), შეერთ. შტატები (17); აფრიკაში (საერთოდ) 1 კვ. კლმ. უწევს 4 მცხოვრები.

საბჭოთა კავშირში საერთოდ 1 კვ. კლმ. უწევს 6,9 მცხოვრები (მის ევროპიულ ნაშილში—24,0); საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკებში ყველაზე მჭიდროთ დასახლებულია

უკრაინა — 64,2 მცხ. 1. კვ. კლმ., ყველაზე ნაკლებად — ია-
კუტის ავტ. რესპუბლიკა — 0,07 მცხ. (ე. ი. აქ 1 მცხოვრები
უწევს თითქმის 15 კვ. კლმ.).

**

საქართველოს მოსახლეობა წლოვანების (ჰასაკის) მიხედ-
ვით. როგორც შესავალში უკვე ვსთქვით, ქვეყნის მოსახლეობა
წარმოადგენს მის შემოქმედებითი ძალას, ენერგიას ერისას;
ხოლო არა მთელი მოსახლეობა, არამედ ის ნაწილი, რომელსაც
მუშაობა შეუძლია. ამიტომ მოსახლეობის გაცნობას იმის შემა-
დგენერ ნაწილების ჰასაკის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს.
საქართველოს მოსახლეობა წლოვანობის მიხედვით, 17 დეკ.
1926 წ. აღწერის თანახმად, შემდეგ სურათს წარმოადგენს :

	რიცხვი:	% / % მთელ მოსახ-ბის:
0 - 4 წლის	395.352	14,8
5 - 9 „	325.484	12,2
10 - 14 „	311.296	11,7
15 - 19 „	259.716	9,8
20 - 24 „	231.299	8,7
25 - 29 „	206.670	7,8
30 - 39 „	330.764	12,4
40 - 49 „	213.507	8,0
50 - 59 „	159.467	5,9
60 - 69 „	125.100	4,7
70 და მეტ „	106.372	4,0
გამოურკვეველია	1.467	0,0
		100

ამნაირათ, არა მომუშავე ჰასაკის (0 - 14 წ. და 70 წ. ზევით)
მოსახლეობა საქართველოში უდრის 1.138.504 ანუ 42,7 %;

ნახევრად მომუშავე ჰასაკის (15 - 19 წ. და 60 - 69 წ.) — 384.816 ანუ 14,5 %; მომუშავე ჰასაკის (20 - 59 წ.) — 1.141.707 ანუ 42,8 %.

მოსახლეობის ჰასაკის მიხედვით განაწილების თანახმად ეკონომისტები ანგარიშობენ, თუ რამდენ სამუშაო ძალას იძლევა მოსახლეობა მშეიძლობიანობის დროს, და სამხედრო პირნი ანგარიშობენ, თუ რამდენი მეომარი შეუძლია სახელმწიფოს წამოაყენოს ომის დროს.

სტატისტიკური ცნობები ჩვენი ქვეყნის არ იძლევიან, სამწუხაროთ, ცნობებს იმის შესახებ, თუ რანაირი ცვლილებები შეაქვს ამ ციფრებში დაავადებულთ და არა ნორმალურათ განვითარებულ ადამიანთა რიცხვს, რაც აგრეთვე გავლენას ახდენს მწარმოებელ ჰასაკში მყოფ მოსახლეობის რაოდენობაზე.

სხვა ქვეყნების შესახებ ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს; ყოველ ათას მცხოვრებზე მოლის.*):

	0-19 წლ.:	20-59 წლ.:	60 წ. ზეეთ:
საფრანგეთში :	339	535	126
გერმანიაში :	437	484	79
ინგლისში :	399	521	80
იტალიაში :	433	465	102
შეერთ. შტატებში :	420	512	68
სერბიაში :	538	418	44
საქართველოში :	484	428	88
"	(1.291.848 ს.)	(1.141.707 ს.)	(232.939 ს.)

როგორც ამ ცხრილებიდან სჩანს, საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, შეერთ. შტატებში, ე. ი. ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში, მომუშავე - მწარმოებელ ჰასაკის მოსახლეობა მეტ პროცენტს წარმოადგენს მთელ მოსახლეობაში,

* Prof. Paul Gemähling «Statistiques choisies et annotées», 1926, p. 15.

ვინემ ჩვენში და სერბიაში. მაშინ როცა ჩვენში, ისე როგორც სერბიაში, ცხრილის პირველი რიგი (მწარმოებელ პასაკში შესვლამდის) უფრო ძლიერია, ვინემ სხვა ქვეყნებში, ცხრილის მეორე რიგი (მწარმოებელი პასაკი) უფრო ნაკლებია; ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში (და სერბიაში) ბევრი უკვე ბავშობაში და სიჭაბუკეში იხოცება—მეტი, ვინემ დაწინაურებულ ქვეყნებში. ასეთსავე არა კეთილსაყოფ სურათს ჩვენ ვხედავთ რუსეთში (ზემოთ მოყვანილ ცხრილის რიგზე) : 487 — 443 — 70 (Annuaire Statistique de la France, année 1914, p. 161—მოყვანილი შ. უიდის მიერ).

2.

საქართველოს მოსახლეობა ეროვნების მიხედვით.

საქართველოში ცხოვრობს :

ქართველი	1.788.186	ანუ	მთელი	^მ	მოსახლ.	67,2 %
აფხაზი	56.847	"	"	"	2,1	"
ქართვ. ებრაელი	20.897	"	"	"	1,1	"
სომები	307.018	"	"	"	11,5	"
აზერბ. თურქი	137.922	"	"	"	5,2	"
ოსი	113.298	"	"	"	4,2	"
რუსი	96.085	"	"	"	3,6	"
ბერძენი	54.051	"	"	"	2,0	"
ებრაელი არა ქართ.	9.637	"	"	"	0,1	"
უკრაინელი	14.356	"	"	"	0,5	"
გერმანელი	12.074	"	"	"	0,4	"
დანარჩენი ეროვნ.	56.123	"	"	"	2,1	"
<hr/>						
სულ	2.666.494				100	"

ამნაირათ, ქართველობა წარმოადგენს საქართველოში მოსახლეობის—67,2%; ხოლო თუ მათ რიცხვს მივუმატებთ აფხაზებს (2,1 %) და ქართველ ებრაელებს (1,1 %), ეს იქნება — 70,4 % *).

აზერბაიჯანში	ცხოვ.	ძირი-დი	მოსახ.	(აზერბ. თურქი) — 64,2 %
სომხეთში	"	"	"	(სომხები) — 84,7 „
უკრაინაში	"	"	"	(უკრაინელი) — 80,0 „
საბჭოთა კავშ.	"	რუსი		52,9 „
პოლონეთში	"	ძირი-დი	"	(პოლონელი) — 69,1 „
ჩეხოსლოვაკი	"	"	"	(ჩეხი და სლოვაკი) — 65,5 „
ლატვიაში	"	"	"	(ლატვიელი) — 73,0 „
ესტონიაში	"	"	"	(ესტონელი) — 87,7 „

საქართველოს მოსახლეობაში დიდი ადგილი უჭირავს უარედან მოსულ მოსახლეობას. ჩვენ რომ გავითხდოთ უცხოეთში, თვით მცირეთ დასახლებულ კოლონიებისკენ, რომლის დასახლებას ევროპიელები სხვათა შორის იმიტომაც საჭიროებენ, რომ მათ მიწა-წყალი არ ყოფნით ევროპაში, ჩვენ შემდეგ სურათს დავინახავთ **): ბრიტანეთს ინდოეთში, მაგალითად, 1921 წ. ცხოვრობდა სულ 318.942 ათასი სული; აქედან არა ინდოეთში დაბადებულთა რიცხვი მხოლოდ 603 ათას სულს შეადგენდა (0,2 %); ბელგიის კონგოში 8.500 ათასი მცხოვრებია (1928 წ.), აქედან თეთრი მოსახლეობა (მოსული) შეადგენდა სულ 20,7 ათასს (მათ შორის ბელგიელები 14,1 ათასს) ანუ 0,2 %; პოლანდიის ინდოეთში 49.350 ათასი მცხოვრებია (1920 წ.), აქედან ევროპიელები — 169.708 სული ანუ 0,3%; ალეპიში, საფრანგეთის ამ უახლოეს კოლონიაში, 5.805 ათასი

*) დამახასიათებელია, რომ თვით ქ. ტფილისის მოსახლეობაში ქართულ ენას სთვლის თავის დედა-ენათ (1926 წ. აღწერა) ქართველების 98,8 პროც., ხოლო ქრისტელ-ებრა ელების — 99,8 პროც.

**) The Statesman's Year-book, 1929, London ; Annuaire Général de la France, 1926, Paris.

მცხოვრებია (1921 წ.), აქედან ფრანგებია ჩამომავლობით — 405 ათასი ანუ 6,9 %, და სხვ. ამნაირათ, თუმცა სიმჭიდროვე აღნიშნულ კოლონიების მეტროპოლიტთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია (მოდის ერთ კილ. მცხოვრები : ბრიტანეთის ინდოეთში — 67, დიდ ბრიტანეთში — 185; ბელგიის კონგოში — 3,5, ბელგიაში — 266; ჰოლანდიის ინდოეთში — 26, ჰოლანდიაში — 227; ალექსანდრეიში — 13, საფრანგეთში — 74), ამ კოლონიების მოსახლეობა უფრო დაცულია გარედან მოსულ მოსახლეობის იმიგრაციიდან, ვინემ საქართველო, რომელსაც უმთავრესად ისეთ ქვეყნებიდან ემატება მოსახლეობა, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე გაცილებით ნაკლებია, ვინემ საქართველოში; კერძოთ, მაგალითად, რუსეთიდან, სადაც ერთ კვ. კილ. თვით ევროპის ნაწილშიც მოდის 24 მცხოვრები (საერთოდ საბჭოთა კავშირში — 6,9, ხოლო საქართველოში — 38,7), განსაკუთრებით დიდია საქართველოს გარედან მოსულ მოსახლეობის იმიგრაცია ქ. ტფილისში, როგორც ამას ჩვენ ძველი დავინახავთ.

* * *

საბჭოთა კავშირის მთელ მოსახლეობაში ამიერ-კავკასიის მთავარი ეროვნებანი წარმოადგენენ : ქართველები — 1,24 %, თურქები — 1,16 %, სომხები — 1,07 %. თითოეული ამათგან რიცხვით აღმატება საბჭოთა კავშირში მობინალრე დანარჩენ 30-ზე მეტ სხვა ცოტათ თუ ბევრათ თვალსაჩინო ეროვნების წარმომადგენელთა რაოდენობას ცალკე აღებულს. საბჭოთა კავშირში ცხოვრობს : 1) რუსი — 52,96% (47,04% სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი), 2) უკრაინელი — 21,25 %, 3) ბელორუსი — 3,23 %, 4) კაზაკი — 2,70 %, 5) უზბეკი — 2,66 %, 6) თათარი — 1,99 %, 7) ებრაელი — 1,77 %, 8) ქართველი — 1,24 % და სხვ. ამნაირათ, რაოდენობის მიხედვით საბჭოთა კავშირში ქართველებს უჭირავს მერვე ადგილი, თურქებს — მეცხრე, სომხებს — მეათე; ამათ მიყვება, როგორც

ესთქვით, დანარჩენი ცოტათ თუ ბევრათ ცნობილი ეროვნება რიცხვით, როგორც ვსთქვით, არა ნაკლებ 30-ისა; ხოლო საბჭოთა კავშირში ხომ სულ 150 სხვადასხვა პატარა ეროვნებათა ჯგუფსაც ანგარიშობენ.

ამიერ - კავკასიის მოსახლეობაში წარმოადგენენ (პროცენტებში) :

	1897 წ.	1926 წ.
ქართველები	29,3	30,7
სომხები	21,9	22,7
თურქ-თათრების ჯგუფი	31,1	28,5
რუსები	4,4	5,7
დანარჩენი ეროვნებანი	13,3	12,4

1897 წლიდან 1926 წლამდის გაზრდილა ხვედრითი წონა ამიერ-კავკასიაში : ქართველების — 1,4 %, სომხების — 0,8 %, რუსების — 1,3 %, ხოლო შემოკლებულია : თურქ-თათრების ჯგუფის — 2,6 % და დანარჩენ ეროვნებათა — 0,9 %.

სულ ქართველების რიცხვი მთელ საბჭოთა კავშირში უდრის 1.820,9 ათას სულს (დედა-ენის მიხედვით კი — 1,908,5 ათას სულს); აქედან ქართველობა ცხოვრობს :

საქართველოში	1.788,0	ათასი სული (98,2 %);
აზერბაიჯანში	9,5	" "
სომხეთში	0,3	" "
შუა-აზიაში	0,8	" "
საბჭ. კავშ. ევროპის ნაწილში	21,3	" "
" " დანარჩენ	0,8	" " *).
სომხების რიცხვი საბჭოთა კავშირში შეაღენს	1.567,5	

*) უცხოეთში (საბჭოთა კავშირის გარედ) ცხოვრობს ქართველობა (უმეტესად პოლიტიკური ემიგრაცია) არა უმეტეს 2.500 სულისა დახლოებით; აქედან: ევროპაში — 1.500-მდის, აზიაში — 500-მდის, ამერიკაში — 100-მდის და სხვ.

ათას სულს (დედა-ენის მიხედვით კი — 1.475 ათასს); აქედან ცხოვრობს :

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკაში	743,6	ათასი სული (47,5 %)
საქართველოში	307,0	" "
აზერბაიჯანში	282,0	" "
ჩრდილ. კავკასიაში	161,1	" "

აზერბაიჯანის თურქების რიცხვი ნაჩვენებია 1.706,4 ათასი (ენის ამხედვით 1.752,2 ათასი); აქედან ცხოვრობს :

აზერბაიჯანში	1.438,0	ათასი სული (84,3 %)
საქართველოში	137,9	" "
სომხეთში	76,9	" "

აღნიშნულ ცხრილებში ყურადღების ღირსია ის გარე-მოება, რომ ქართველი საკუთარ ტერიტორიას უფრო ნაკლებათ სტოვებს, ვინემ ჩვენი მეზობლების მოსახლეობა; საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობს :

ქართველების	—	98,2 % *
სომხების	—	47,5 %
აზერბ. თურქების	—	94,3 %

მაშინ როცა საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 307,0 ათასი სომები და 137,9 ათასი აზერბ. თურქი, სომხეთში ცხოვრობს მხოლოდ 300 ქართველი და აზერბაიჯანში — 9.500.

**

გავეცნოთ ეროვნულ შემადგენლობას ავტონომიურ ერთეულებში.

აფხაზეთში სულ 201.016 მცხოვრებია, აქედან :

ქართველი	67.494	ანუ	36,3 %
აფხაზი	55.918	"	30,0 "
სომები	25.677	"	13,9 "
ბერძენი	14.045	"	7,6 "
რუსი (აქედან ქალაქებში—7.608)	12.553	"	6,7 "
ოსი	20	"	0,0 "
ებრაელი	1.084	"	0,6 "
დანარჩენი ეროვნებანი	8.937	"	4,8 "
უცხო სახელმწიფოთა მოქალაქენი	15.012	"	— "
<hr/>			
სულ	201.016	"	100 %.

აფხაზეთში პირველი ადგილი მოსახლეობის რიცხვით უჭირავს ქართველებს და მეორე აფხაზებს, ორივე ერთად წარმოადგენს მოსახლეობის 66,3 %; რუსების დიდი უმრავლესობა (60%) ცხოვრობს ქალაქებში და შეადგენს 6,7%.

აჭარაში სულ 131.957 მცხოვრებია, აქედან :

ქართველი (თვით აჭარლებია—70.828)	90.314	ანუ	70,2 %
სომები (აქედან ქალაქებში—10.253)	10.476	"	8,1 "
თურქი	51	"	0,0 "
აფხაზი	779	"	0,6 "
ოსი	102	"	0,1 "
რუსი (აქედან ქალაქებში—8.910)	10.190	"	7,9 "
ებრაელი	1.986	"	1,5 "
ბერძენი (აქედან ქალაქში—2.954)	5.547	"	4,3 "
დანარჩ. ეროვნებანი (აქედ. ქალ.—4.261)	9.228	"	7,3 "
უცხო სახ. მოქალაქ. (აქედ. ქალ.—2.324)	3.284	"	—
<hr/>			
სულ	131.957	"	100 %

სამხრ. ოსეთში ცხოვრობს სულ — 87.375 სული, აქედან ნაჩერებია :

ოსი	60.351	ანუ	69,1 %
ქართველი	23.538	"	26,9 "
ქართველი ებრაელი	1.739	"	2,0 "
სომები	1.374	"	1,6 "
დანარჩ. ეროვნებანი	473	"	0,4 "
<hr/>			
სულ	87.375	"	100 %

**

დედა-ენა. საქართველოში ქართველთა მოსახლეობა, 1926 წლის აღწერის თანახმად, 67,2 პროც. წარმოადგენს, ხოლო ქართულ ენას დედა-ენათ აღიარებს მოსახლეობის — 70,5 %; თვით ქართველებში ქართულ ენას თვლის დედა-ენათ — 99,0 პროც., თურქულს — 0,7 პროც., რუსულს — 0,1 პროც. და დანარჩენ ენებს — 0,2 პროც.

საქართველოში მოსახლე :

სომხებში	ქართულ ენას სთვლის დედა-ენათ	24,1 %
რუსებში	" " "	1,3 "
აზერბ. თურქებში	" " "	0,1 "
აფხაზებში	" " "	15,7 "
ოსებში	" " "	2,9 "

თუ ჩვენ შევადარებთ ამ მხრივ საქართველოს ჩვენ მეზობელ რესპუბლიკებს, ჩვენ დავინახავთ შემდეგი : საქართველოში ქართულ ენას აღიარებენ დედა-ენათ არა მარტო ქართველები (67,2%), არამედ ამათ გარდა 3,3% მთელი მოსახლეობის (სულ 70,5 % მთელი მოსახლეობის), წარმომადგენელნი არა ქართულ ეროვნების.

აზერბაიჯანში აზერბაიჯ. თურქების რაოდენობა მთელი მოსახლეობის 64,2 % წარმოადგენს; აზერბაიჯ თურქულს კი („საქ. სტატ. მოამბე“ № 4-5, 1928 წ. გვ. XXIII) აქ აღიარებს

დედა-ენათ მოსახლეობის – 61,8%, ქ. ი. 2,4% ნაკლები, ვინებ
თვით ძირითადი მოსახლეობა.

სომხეთში სომხები წარმოადგენენ მთელი მოსახლეობის
84,7 %, ხოლო სომხურს სოფლის დედა-ენათ მოსახლეობის
84,4%; აქ განსხვავება უფრო უმნიშვნელო (0,3%).

ამნაირათ, მაშინ როცა სომხეთში ძირითადი მოსახლე-
ობა და დედა-ენა თითქმის ფარავს ერთი მეორეს და აზერ-
ბაიჯანში ძირითად მოსახლეობის ენას არ აღიარებს დედა-
ენათ თვით ძირითად მოსახლეობის ერთი ნაწილიც, საქართ-
ველოში — ქართული ენა გამხდარა დედა-ენათ არა ქართველ
ტომთა თვალსაჩინო ნაწილისაც.

3.

ქალაქის და სოფლის მოსახლეობა

რა არის ქალაქი, რითი განიჩევა იგი სოფლიდან? ეს
საკითხი ლიტერატურაში არც იურიდიულ და არც ეკონომიკურ
თვალსაზრისით არ არის ნათლად გარკვეული.

ძეელ დროში ქალაქს უწოდებდენ მოსახლეობას, თავ-
მოყრილს და მჭიდროთ დასახლებულს განსაზღვრულ ტერი-
ტორიაზე, რომელიც კედლით იყო გარშემორტყმული და ცი-
ხებით გამაგრებული. ასეთი განმარტება ქალაქისა ჩვენს
დროში აღარ გამოდგება, რადგან ქალაქების დიდი უმრავ-
ლესობა აღარ არის ციხეებით გამაგრებული და იშვიათათ თუ
შეხედებით ახლა, ისიც ძალიან პატარა, ქალაქს, ძეელის-ძეელ
დროიდან დარჩენილ კედლებით რომ არის გარშემორტყ-
მული.

ფეოდალურ წესწყობილების დროს ქალაქმა შეიძინა ზო-

გიერთი უფლებრივი უპირატესობანი, რაც არ ჰქონდა მინიჭებული დანარჩენ ტერიტორიაზე მობინადრე მოსახლეობას (სოფელს), და ამ უფლებრივი უპირატესობის მიხედვით ქალაქი განირჩეოდა სოფლიდან. ამას ადგილი ჰქონდა, სხვათაშორის, ძველ რუსთის იმპერიაში, სადაც მოსახლეობას, მობინადრეს განსაკუთრებულ ტერიტორიაზე (ისიდენი) თუ მინიჭებული ჰქონდა ოვითმართველობის ზოგიერთი უფლებები თანახმად «городовое положение»-სა, ეწოდებოდა ქალაქი. აյ სუბიექტიური მომენტი ხშირად მეტ როლს თამაშობდა, ვინემ რაიმე ობიექტიური საზომი; იყვენ ისიდენი-ბი (მაგ., ჩრდილოეთ კავკასიაში მრავალი სტანცია), სადაც გაცილებით მეტი მოსახლეობა ცხოვრობდა და ეკონომიური საქმიანობა უფრო იყო განვითარებული, ვინემ ზოგიერთ ქალაქებში, მაგრამ იმას მაინც სოფელი ეწოდებოდა; ხშირად პროტექცია მეტს სჭრიდა მოსახლეობის და ტერიტორიის ქალაქის „ლირსებაში“ ასაყვანად, ვინემ სხვა რაიმე გარემოება. ცხადია, სადაც მოსახლეობა უფლებრივად გათანასწორებულია, სადაც ოვითმართველობა არ წარმოადგენს ტერიტორიის მოსახლეობის რომელიმე ნაწილის პრივატულების, იქ ასეთი საზომი არ გამოდგება.

ზოგის აზრით, ქალაქი ეწოდება ტერიტორიას, რომლის მოსახლეობა ინდუსტრიით და ოლებ-მიცემობით ცხოვრობს. აქ, ასე ვსოქვათ, პროფასიონალური მომენტი (ხელობა) არის წინ წამოყენებული, ინდუსტრიალური ცხოვრება დაპირდაპირებულია სოფლის ცხოვრებას. არც ასეთი განმარტება შეიძლება ჩაითვალოს სხვსებით დამაკმაყოფილებლათ; ევროპაში ხშირად შეხვდებით სოფელს, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ამ სოფელში არსებულ ინდუსტრიით ირჩენს თავს, დიდი და პატარა ქარხანაში მუშაობს; და, წინააღმდეგ, არიან ქალაქები, ინდუსტრიალურათ და ალებ-მიცემობით ჩამორჩენილნი რომ არიან, და ადმინისტრატიულ ცენტრს წარმოადგენენ.

დასასრულ, „ქალაქის“ განმარტავენ, როგორც ადგილს, სადაც დასახლებულია „რთული შემადგენლობის საზოგადოება“, და რომლის ტერიტორიალური სივრცე ძალიან მცირეა იქ დასახლებულ მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით *).

ჩვენის აზრით, ეს არის ერთად ერთი განმარტება, რომლის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ასე თუ ისე გავერკვეთ იმაში, თუ რატომ ერთ ადგილს „ქალაქი“ ეწოდება (განსაკუთრებით პატარა ქალაქებს) და მეორეს — სოფელი. ევროპაშიც (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი და სხვ.) ქალაქის მოსახლეობათ ითვლება ადგილები 2.000 სულზე მეტით დასახლებული მცირე ტერიტორიაზე **). სამწუხაროთ, ჩვენ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფართობი უჭირავს ჩვენში ქალაქებს, თორემ ადვილათ გავერკვევოდით, თუ რამდენათ ზოგი იმათვან მართლაც აკმაყოფილებს ქალაქის სახელწოდებას.

**

1926 წ. აღწერის თანახმად, საქართველოში ქალაქების მოსახლეობა შეადგენდა — 594.221 სულს (22,3 %) და სოფლის — 2.072.273 (77,7 %); აზერბაიჯანში ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის — 28,1 % (აქ უმთავრეს როლს თამაშობს ქ. ბაქო); სომხეთში — 18,7 %, მთელ საბჭოთა კავშირში — 17,9 %.

*) R. Monier « L'origine et la fonction économique des villes », Paris, 1910 p. 44. დაახლოებით ასეთსავე განმარტებას იძლევა ცნობილი ეკონომისტი ვ. ზომბარტი. იგი ამბობს: „ქალაქი წარმოადგენს მოსახლეობას ადამიანებისას, რომელიც თავის გამოსაკვებათ დამოკიდებული არიან სხვების სასოფლო-ს ა მეურნეო შრომის ნაწარმოებზე«-ო (იხ. მისი „თანამედროვე კაპიტალიზმი“, ტ. II).

**) Prof. Gemähling « Statistiques choisies et annotées », p. 17—18.

საქართველოს უმთავრეს ქალაქების მოსახლეობა	294.044	ხონის	9.026
ბათომის	48.474	ხაშურის	7.776
ქუთაისის	48.196	ოზურგეთის	5.874
სოხუმის	21.568	ცხინვალის	5.818
სამტრედიის	13.682	ზუგდიდის	5.577
ფოთის	13.137	სენაკის	5.498
ახალციხის	12.328	სიღნაღმის	4.853
გორის	10.547	ახალქალაქის	3.475
თელავის	9.697	და სხვ.	

მოსახლეობის ზრდა სხვადასხვა ქალაქებში ყოფილა
შემდეგნაირი *)

	1865 წ.	1897 წ.	1917 წ.	1922 წ.	1926 წ.
ტფილისი	66.770	146.164**) 231.141	233.958	294.044***)	
ბათომი	—	28.508	20.020	60.810	48.474
ქუთაისი	11.707	32.476	42.448	45.290	48.196
სოხუმი	1.612	7.998	9.999	17.426	21.568
ფოთი	1.309	7.346	10.604	11.358	13.137
ახალციხე	11.617	15.357	10.210	10.153	12.328
გორი	5.054	—	—	9.236	10.547
თელავი	7.300	13.929	9.574	9.176	9.697
ხონი	—	—	6.690	9.347	9.026
სიღნაღმი	9.887	8.994	8.031	4.192	4.853
ახალქალაქი	2.260	5.440	5.080	2.737	3.475
ზუგდიდი	—	3.407	4.000	4.525	5.577
სენაკი	—	1.248	3.418	4.524	5.498
ზესტაფონი	—	2.010	3.715	4.902	5.363
ოზურგეთი	700	4.710	5.174	5.626	5.874

*) ცნობები 1865 წლის შესახებ ამოღებულია «Сборникъ Статистич. Свѣдѣній о Кавказѣ, т. I, стр. 62-63. Тифлисъ, 1869

**) ხოლო ჯარების ჩათვლით — 159.590.

***) ჯარების ჩათვლით.

ქველ ცნობებიდან ჩვენს განკარგულებაში იმყოფება სრული ცნობები მხოლოდ 1897 წ. ოღწერის; მაშინ ქალაქების მოსახლეობა უდრიდა სულ 312.212 სულ და სოფლის 1.601.722 სულ (სულ—1.913.938), ე. ი. ქალაქებში ცხოვრობდა მთელი მოსახლეობის 17 % და სოფლებში—83 %. 1926 წ. კი, როგორც ზევით დავინახეთ, ქალაქებში ცხოვრობდა 22,3 % და სოფლებში—77,7 %.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თუმცა ქალაქების ზრდა საერთოდ მატულობს, ზოგი ქალაქის მოსახლეობა ჩვენში თითქმის ერთ დონეზე დგას და ზოგის შემცირებულა კიდეც; მაგალითად, სიღნაღის, ახალქალაქის, ახალციხის, თელავის. ეს მეტად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ქალაქების ზრდა საზოგადოთ მაჩვენებელია მოსახლეობის კულტურული და ეკონომიკური ზრდის; კერძოთ, ბუნებით შესანიშნავი და მდიდარი კახეთის რაიონი თითქმის მთელი სამი მეოთხედი საუკუნე მოკლებული ყოფილა ამ საშეალებას. და მართლაც, რკინის გზა, თანამედროვე აღებ-მიცემობის ძარღვი, მხოლოდ 1915 წ. იყო აქეთ გაყვანილი და ისიც ისეთ მიმართულებით, რომ იგი კახეთის მხოლოდ ერთ ნაწილს ემსახურება; ხოლო ახალციხე და ახალქალაქი დღესაც მოკლებულია რკინის გზას.

30 წლის (1897 წ.—1926 წ.) განმავლობაში საქართველოს ყველა ქალაქების მოსახლეობის მატება ერთად ახლად შექმნილ ქალაქებთან (სამტრედია, ხაშური, ცხინვალი და სხვ.) ერთად უდრის 90 %; აქ უდიდეს როლს ჭ. ტფილისი თამაშობს.

მოსახლეობის განაწილება სოფლათ და ქალაქათ მთელ საქართველოში შემდეგ სურათს წარმოადგენს სხვა ქვეყნებთან შედარებით; ცხოვრობს (% %-ში) :

		ქალაქებში:	სოფლათ:
საქართველოში	(1926 წ.)	22,3	77,7
აზერბაიჯანში	"	28,1	71,9
სომხეთში	"	18,7	81,3
მთელ საბჭოთა კავშირში	"	17,9	82,1
საფრანგეთში	(1921 წ.)	46,4	53,6
ინგლისში	"	79,5	20,5
გერმანიაში	"	62,4	37,6

ქალაქების ზრდა აიხსნება, ერთის მხრით, მოსახლეობის ზრდის ბუნებრივი წესით (დაბადება) და, მეორე მხრით, სოფლიდან ქალაქებში მოსახლეობის ემიგრაციით. ამ უკანასკნელ გარემოებას ხშირად მიწის სივიწროვე იწვევს, მიწის მუშას არ ყოფნის სახნავ-სათენი მიწა, არ ყოფნის მუშა პირუტყვი, სამეურნეო იარაღი და კაპიტალი იმ ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შემოსალებათ, რომელსაც ითხოვს თანამედროვე განვითარებული სოფლის მეურნეობა; გაპროლეტარებული მიწის მუშა ქალაქისაკენ მიისწრაფის, რადგან შრომის პირობები ქალაქში უკეთესია საზოგადოთ. ხოლო ამ საკითხში დიდ როლს თამაშობს ავტომატიზაცია წესი მიწათმფლობელობის; მთელი რიგი გარემოებათა, და ამის შესახებ აქ ვრცლად ლაპარაკი მოუხერხებელია, მოწმობს, რომ სამრეწველო წარმოების წესი, სადაც მუშა მხოლოდ დაქირავებული შრომის საგანს წარმოადგენს, სოფლის მეურნეობაში სასესხით გამოსადევი არ არის; წვრილი მესაკუთრეობა სოფლად წარმოადგენს დღემდის ერთ უმთავრეს ფაქტორს, სოფლის მეურნეობას რომ ხელსაყრელად ხდის მიწის მუშისთვის, და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. მსხვილი მოწათმფლობელობა და მიწის მუშისთვის მხოლოდ მაღალ საიჯარო ფასებში და მძიმე ლალის საშვალებით მიწით სარგებლობა ერთი უმთავრესი მიზეზია იმის, რომ მიწის მუშა გაურბის მიწას და იძულებულია ქალაქის პროლეტარიატის რიგები გააძლიეროს. ინგლისში, მაგალითად, მაშინ როცა მოსახლეობის ყოველ ათას მომუშავე ადა-

მიანში სოფლის მეურნეობაში მუშაობს მხოლოდ 70 კაცი, რომელიც ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის სოფლის მოსახლეობის მხოლოდ 320.000 არის კერძო მესაკუთრე და ამათგან 7.400 მესაკუთრეს ეკუთვნის მთელი ტერიტორიის ნახევარი და ამათშიც ლორდთა პალატის 600 წევრს ეკუთვნის ერთი მეხუთედი **).

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ჩვენებურ გლეხისთვის მიწის ჩამორთმევა და ეტატიზმი სოფლის მეურნეობაში, რომ მელსაც დღეს ჩვენში აქვს ადგილი, უფრო მეტს მოსახლეობას მირეკავდა ქალაქებისაკენ, რომ აქაც მრეწველობა ძალიან მჭლევა და განუვითარებელი არ იყოს და სხვა მრავალგვარი ხელოვნური პირობებიც ამისთვის მას ხელს არ უშლიდეს.

არის სხვა გარემოებაც მოსახლეობის ლტოლვისა ქალაქებისკენ. გამომკვლეულია, რომ თუ დარიბი, უმიწოდებული გაურბის სოფელს, არც სოფელში გამდიდრებულს სურს მუდამიქ დარჩენა და ისიც ხშირად ქალაქისკენ მიისწრაფის. ხან იმიტომ, რომ მუშა ხელიდან სოფლის დაცალიერების გამო, იგი საკმაო მუშას ვეღარ შოულობს მიწის დასამუშავებლად, და ხან იმიტომაც, რომ ქალაქის ცხოვრების პირობები მას იზიდავენ : ბინის უკეთესი მოწყობილობა, კულტურული საშვალებანი, გასართობები და სხვ. საფრანგეთში, მაგალითად, მთელი სოფლებია ახლა უპატრონოთ მიტოვებული, ისეთებიც კი, სადაც ერთ დროს სოფლის მეურნეობა სდულდა და გადადიოდა (მაგ., გასკონიაში — ტარნის და გარნიის დეპარტამენტში და სხვ.). ჩვენში, სამწუხაროთ, გამდიდრებული და გალალებული სოფლათ არავინაა, რომ ამის გამო სოფელს სტოვებდეს და ქალაქისკენ მიისწრაფოდეს; ჩვენში სოფლის მიტოვების მიზეზი — სილარიბეა მხოლოდ და ქალაქში გლეხი „ბედის საძიებლად“ მიეშურება, სამუშაოს მოსახებნათ, თუნდაც მძიმე სამუშაოსი, რადგან სოფლათ იგი ამასაც მოკლებულია.

*) Gemäßhling, დასახელებული წიგნი, გვ. 41.

**) M. Fallex et A. Mairey « La Face Nouvelle du Monde », p. 20.

ქალაქ ტფილისის მოსახლეობა.

ქ. ტფილისი. ჩვენში ერთად-ერთი ქალაქია ტფილისი, რომლის მოსახლეობა 100.000 სულ აღემატება; გამორიცხეთ იგი მისი 294.000 მცხოვრებით ქალაქების საერთო მოსახლეობიდან, ქალაქების მოსახლეობის წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში განახევრდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქალაქის ცხოვრება ჩვენში არც ისე განვითარებულია, როგორც სტატისტიკის საერთო მაჩვენებელი გვიხატავს. თუ ქალაქი საერთოდ გამომხატველია ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობის, ცენტრია კულტურის, აღებ-მიცემობის, ფინანსური და სხვ., ამ მხრით ბევრი ჩვენებური ქალაქი ძალიან არ განიჩევა დიდი სოფლიდან.

* * *

ქ. ტფილის განსაკუთრებული როლი უჭირავს საქართველოს ცხოვრებაში. იგი საქართველოს მხოლოდ აღმინისტრატიული ცენტრი როდია, და ამიტომ მხოლოდ კი არ არის განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი; იგი ამავე დროს ცენტრია ჩვენი კულტურის, აკვანია უმაღლეს განათლების, საკრებულოა ჩვენი მწერლობის, თეატრის და ხელოვნების, უხუცესი მოწმეა ჩვენი ისტორიის, ცოცხალი მონაშილე საქართველოს ისტორიის, მისი ეროვნულ ცხოვრების დაცემის და ოღმაფრენის; იგი საწყობია ჩვენი ქონების, საქონლის, ფულის; იგი საქართველოს უდიდესი საგაჭრო და სამრეწველო ქალაქია, ქარგასლა საერთაშორისო აღებ-მიცემობის და კვანძია სხვადასხვა ქვეყნების მომავალ გზების; იგი თავკრილობაა სხვადასხვა ტომთა და ამავე დროს საქართველოს პოლიტიკური და აღმინისტრატიული ცენტრია, იმის დედა-ქალაქია. დიდი ბრიტანეთის აღმინასტ. და პოლიტიკური ცენტრია ლონდონი და მასთან ერთად მას

აქვს სხვა ცენტრებიც კულტურის და განათლების (ოქუთაძე-
ლი, კემბრიჯი); ვაშინგტონი შეერთ. შტატების აღმინისტრა-
ტიული ცენტრია, მაგრამ შ. შტ. აქვს მრავალი სხვა ქალაქიც,
ცენტრები ვაჭრობის და მრეწველობის : ნიუ - იორკი, ჩიკაგო,
ფილადელფია; იტალიის ეკონომიურ ცხოვრებაში მიღანო
შეტანილი როლი თამაშობს, ვინემ რომი; პატარა ჰოლანდიის ეკო-
ნომიურ ცხოვრებაში არიან, ვინემ ჰააგა, ბელგიაში—ანტვერპენი, ვინემ
ბრიუსელი, შვეიცარიაში—ციურიხი, ვინემ ბერნი და სხვ. ჩვენ-
ში ტფილისია ერთად-ერთი, უმთავრესი ცენტრი გონებრივ და
ნივთიერ შემოქმედების, მისი ტოლი ქალაქი, მისი მოადგილე
საქართველოს ტერიტორიაზე სხვა არ მოიპოვა. თუ რომაელე-
ბისთვის Urbs-i („ქალაქი“—ლათინურათ) ეს რომი იყო, ქა-
რთველისთვის „ქალაქი“—ეს ტფილისი იყო და დღემდის დარ-
ჩა. კარგია ეს თუ ცუდი, ისტორიაშ ასე ინება : ტფილისის რო-
ლი საქართველოს ცხოვრებაში განსაკუთრებულია. ამიტომ სა-
ჭიროა ქ. ტფილისის მოსახლეობაზე ცალკე შევჩერდეთ.

* * *

ქ. ტფილისის მოსახლეობა *). 1926 წლის აღწერის თანა-
ხმად, ქ. ტფილისში ირიცხებოდა 294.044 მცხოვრები (ჯარების
მითვლით); ხოლო 1-ელ იანვარს 1931 წ. (თეორეტიული გა-
მოანგარიშება) — 309.866 **). მცხოვრებთა რაოდენობის მი-
ხედით ქ. ტფილის ამიერ-კავკასიის ქალაქებში მეორე ადგილი
უჭირავს, ხოლო პირველი—ქ. ბაქოს; სამრეწველო რიონე-
ბის გამოკლებით, ქ. ბაქოში ირიცხება — 347.390 მცხოვრები.

ქ. ტფილისში ირიცხებოდა 1897 წ. — 159.590 მცხოვრე-
ბი; 1922 წ. — 233.958 და 1926 წ. — 294.044 მცხოვრები.

*) ე. ი. ჯანდიერი „ქალაქ ტფილისის მოსახლეობა“,
ტფილისი, 1930 წ.

**) „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“.

მოსახლეობის ყოველ წლიური საშუალო ზოდა 1897 წლიდან 1922 წლამდე უდრიდა 1,8 %, 1922 წლიდან 1926 წლამდის — 4,8 %; ხოლო საშუალოდ 1897 წლიდან 1926 წლამდის — 1,9 %.

მამაკაცთა რიცხვი ტფილისში უდრის (1926 წ.)—147.349, ხოლო დედაკაცთა—146.695. ათას მამაკაცზე მოდის დედაკაცი ჰასაკის მიხედვით :

0— 4 წლამდე	976	25—29 წლამდის	1.153
5— 9 "	959	30—39 "	1.068
10—14 "	851	40—49 "	870
15—19 "	1.093	50—59 "	1.038
20—24 "	728	60 და მეტი "	1.467

საშუალოდ 1000 მამაკაცზე მოდის 996 დედაკაცი.

* *

ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით ტფილისში ცხოვრობს (1926 წ. აღწერით) :

1. ქართველი	112.206	ანუ მთელი მოსახ.	38,5 %
2. ქართველი ებრაელი	3.160	" " "	1,9 "
3. სომები	100.148	" " "	34,4,,
4. რუსი	45.937	" " "	15,8 "
5. თურქი	5.836	" " "	2,0 "
6. ებრაელი (არა ქართვ.)	5.706	" " "	1,9 "
7. გერმანელი	3.156	" " "	1,1 "
8. ოსი	2.890	" " "	1,0 "
9. ეზიდი	2.044	" " "	0,7 "
10. აისორი	1.861	" " "	0,6 "
11. უკრაინელი	1.845	" " "	0,6 "
12. პოლონელი	1.775	" " "	0,6 "

13. ბერძენი	1.402	"	"	0,5 „
14. სპარსელი	765	"	"	0,3 „
15. დანარჩ. ეროვნ.	2.724	{		
16. უცხოელი	2.584	{	"	1,0 „
სულ	294.044			100%.

წინა დროის აღწერების მიხედვით ტფილისში ცხოვრობდა (% %):

წლები	ქართველი	სომები	რუსი	დან. ეროვნ.	სულ
1876	24,2	41,0	22,0	12,8	100
1897	26,4	29,5	29,8	14,3	100
1922	34,6	36,5	16,5	12,9	100
1926	38,5	34,4	15,8	11,3	100

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ სამ უმთავრეს ეროვნებათა შორის (ქართველები, სომხები და რუსები) 1876 წ. პირველი ადგილი სჭირიათ სომხებს (41,0 %), მეორე — ქართველებს (24,2 %) და მესამე — რუსებს (22,0); 1897 წელს პირველი ადგილი რუსებს დაუჭირია (29,8 %), მეორე — სომხებს (29,5 %) და მესამე — ქართველებს (26,4 %); 1922 წ. პირველ ადგილზე ისევ სომხებია (36,5 %), მეორეზე — ქართველები (34,6 %), ხოლო რუსები ისევ მესამე ადგილს იკერენ (16,5 %); დასასრულ, 1926 წ. ქართველები იკერენ პირველ ადგილს — 38,5 (ხოლო ქართვ. ებრაელებთან ერთად — 40,4 %) *).

*). 1 იანვ. 1931 წ. (თეორეტიულ გამოანგარიშებით) ტფილისში ცხოვრობდა : ქართველი — 132.904 (42,9%, სომები — 102.366 (33,0%), რუსი, უკრაინელი და ბელორუსი (1926 წ. აღწერით ესენი ცალკე-ცალკე არიან აღნიშნული) — 43.304 (14,0%) და დანარჩენი ეროვნებანი — 31.292 (10,1%). ი. საბჭ. საქართველოს 10 წელი".

არსებობს სტატისტ. ცნობები, რომლის თანახმათ 1835 წ.

ამნაირათ, წონა ქართველ მოსახლეობის 1876 წლიდან თანდათან მატულობს ტფილისის მოსახლეობაში, ისე, როგორც ქართველების რიცხვიც; ასე ცხოვრობდა ტფილისში :

წლები	ქართველი	სომები	რუსი
1897	42.200	47.133	47.599
1922	79.944	85.212	38.334
1926	112.206	100.148	45.937

**

გავეცნოთ ახლა ტფილისის მოსახლეობას ჰასაკურ შემა-დგენლობის მიხედვით :

წლოვანობა:	1897 წ.:	1922 წ.:	1926 წ.:
1) 0—19	62.500 (38,9)	90.500 (38,8)	112.400 (38,3)
2) 20—59	87.700 (54,8)	126.800 (54,8)	163.600 (55,6)
3) 60 და მეტი	9.100 (6,4)	15.000 (6,4)	17.900 (6,1)
სულ	159.400 (100)	232.500 (100)	293.900 (100)

ამ ცნობებში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება : მაშინ როცა საერთოდ საქართველოში დაბადებულთა და ჭა-ბუკთა (0—19 წლ.) რიცხვი მეტია (48,5 %), ვინემ მომუშავე ჰასაკის (42,8 %), ტფილისში ჩეენ წინააღმდეგს ვეძავთ; აქ მეორე კატეგორია ანუ მომუშავეთა ჰასაკის მოსახლეობა (20—59 წლ.) სჭარბობდა და სჭარბობს დაბადებულთა და ჭა-ბუკთა რიცხვს. ეს გარემოება აიხსნება, ერთის მხრით, მეტი

ტფილისში სულ 25.290 სული ცხოვრობდა; აქედან : ქართვე-ლები იყო—4.217, სომები—18.820 და „მამალიანები“—723. (Престь Европей «Статистическое описание Закавказья», СПБ, 1835). ამის თანახმად, ამ ასი წლის განმავლობაში ტფილისში ქართველების რიცხვი გაზრდილა 33-ჯელ, ხოლო სომების—6-ჯელ.

სიკვდილიანობით ბავშობაში მთელ საქართველოში მომუშავე ჰასაკში შესულ მოსახლეობის იმიგრაციით (შემოსელით) ტფილისში.

დაახლოვებით ასეთსავე სურათს ვხედავთ როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებში (1926 წ. %%-ში).

შლოვანობა:		საქართველო:				
		(საერთოდ)				
1)	0—19	48,5	38,3	43,4	40,4	43,7
2)	20—59	42,8	55,6	49,0	56,4	51,0
3)	60 და მეტი	8,7	6,1	7,6	5,2	5,3

როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში, ბაქოში, ერევანში მოსახლეობა 20—59 წლ. ჰასაკის სჭარბობს მოსახლეობის 0—19 წლ. ჰასაკისას.

როგორც ვსთქვით, აქ უსათუოდ თვალსაჩინო როლს თამაშობს სოფლის მოსახლეობის იმიგრაცია ქალაქებში. ამ მხრივ უფრო საინტერესო ცნობებს იძლევა 1922 წლის აღწერის მასალები.

1922 წლის აღწერის თანახმად, ტფილისში ცხოვრობდა სულ 232.505 სული. აქედან :

დაზადებული ნი არიან:			
შლოვანობა:	ტფილისში და	საერთოდ საქ.-ში	საქართველოს გარედ:
1) 0—19	72.775 ანუ 31,0%	17.819 ანუ 7,3%	
2) 20—59	81.504 „ 34,8 „	45.392 „ 19,0 „	
3) 60 და მეტი	9.342 „ 3,7 „	5.673 „ 2,1 „	
სულ	163.621 „ 70,5 „	68.884 „ 29,5 „	

ტფილისის მცხოვრებთა შორის საქართველოს გარედ და-
ბადებულთა რიცხვი უდრის 68.884 სულს, ე. ი. ტფილისის მოე-
ლი მოსახლეობის 29,5 %. ამ მხრით რომ ტფილისი შევადა-
როთ სხვა ქვეყნების ქალაქებს, მაგალითად შვეიცარიისას, ჩვენ
დავინახავთ, რომ შვეიცარიის ქალაქებიც კი, რომელიც ძა-
ლიან უყვარს უცხოელებს, უფრო ნაკლებათ არიან დასახლე-
ბული გარედან მოსულ მოსახლეობით, ვინემ ტფილისი. ასე,
ცხოვრობდა (1930 წ.) % %-ში *);

დაბადებული შვეიცარიაში: შვეიცარიის გარედ:

ბერნში	92,3	7,7
ცენტრში	74,4	25,6
ბაზელში	76,0	24,0
ციურისში	81,3	18,7
ლოზანაში	86,1	13,9

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საქართველოს
გარედ დაბადებულთა რიცხვში სჭარბობს მომუშავე ჰასაკის
მოსახლეობა (20—59 წ.); ესენი შეადგენენ ტფილისის მოელი
მოსახლეობის 19,0 პროცენტს და თვით „საქართველოს გარედ
დაბადებულთა“ შორის 65,9 %.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ტფილისის ზრდა, რომელშიდაც
დიდ როლს თამაშობს იმიგრაცია, ხდება არა მხოლოდ საქა-
რთველოს სოფლის და საქართველოს სხვა ქალაქების მოსახ-
ლეობის ლტოლვით ტფილისისაკენ, არამედ საქართველოს ვა-
რედ მდებარე ქვეყნებიდანაც. ბუნებრივია, რომ „საქართვე-
ლოს გარედან მოსული“ მოსახლეობა ტფილისში მოდის სა-
მუშაოთ, სასაქმოთ, ამიტომ იმის უმრავლესობა მომუშავე-
მწარმოებელ ჰასაკისაა; მაგრამ ბუნებრივი არა ის, რომ გარე-
დან მოსული მოსახლეობა ამცირებდეს შრომის ბაზარს საქა-

*) Statistisches Jahrbuch der Schweiz 1933, Herausgegeben vom Eidgenössischen Statistischen Amt.

რთველოში. მპყრობელი ერი, რუსის მთავრობა, გზაენდას ქართველოში არა მხოლოდ თავის გუბერნატორებს, არამედ რუს მოხელეთა მთელ ჯარს, უცხო ტომის „გოროდოვოებს“. „დვორნიკებს“ და ჩაფრებს, თუმცა სხვადასხვა ღროს სხვადა-სხვა „ფერის“ და სახელწოდებისა; გარედან მოსულნი თანა-მდებობის პირნი და ვაჭარ-მრეწველნიც სამუშაოს უფრო ხში-რად თავის ეროვნების წარმომადგენელთ აძლევდენ. ეს ორი გარემოება ხელს უწყობდა, როგორც არა ქართველ ელემენტე-ბის გაძლიერებას ტფილისში (და მთელ საქართველოშიც), ისე იმის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურას თავის ბეჭედს ასვამდა.

ტფილის მომატებია იმიგრაციის საშვალებით % %-ში *):

	1923 წ.	1924 წ.	1925 წ.	1926 წ.
1) საქართველოდან	57,4	72,2	86,9	72,7
2) სომხეთიდან	25,8	14,7	4,6	14,3
3) აზერბაიჯანიდან	5,2	—0,5	—5,1	0,3
4) საბჭ. კავ. დან. რესპ.-დან	10,0	13,1	11,4	11,7
5) დანარჩენ სახელმწ-დან	1,6	0,5	2,2	1,0
სულ	100	100	100	100

საქართველოდან მოსული მოსახლეობა 1923 წლიდან 57,4 %-დან ასულა 1926 წ.—72,7 %-მდის; სომხეთიდან მოსუ-ლი 25,8 %-დან ჯერ (1925 წ.) 4,6 % ჩამოსულა და შემდეგ (1926 წ.) 14,3 % ასულა; აზერბაიჯანიდან 5,2 %-დან ჩამო-სულა 0,3 -მდის; ხოლო საბჭოთა დანარჩენ რესპუბლიკებიდან 10,0 %-დან (1923 წ.) ასულა 11,7 %-მდის.

*) ე. ი. ჯანდიერის „ქალაქ ტფილისის მოსახლეობა“ რომ-ლის ცნობებს ვემყარებით ჩვენ საზოგადოთ), გვ. 23.

დაბადებულთა რიცხვი ტფილისში 1000 მცხოვრებზე
მოდის *) :

	1923 წ.	1927 წ.
ქართველი	26,40	30,00
სომები	36,44	39,28
რუსი	20,33	20,85

თითოეულ ეროვნების 1000 სულზე მოდის გარდაცვალებული:

ქართველი	13,34	11,43
სომები	14,94	15,42
რუსი	11,60	10,34

დაბადებულთა რიცხვის მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს სომხებს, მეორე—ქართველებს და მესამე—რუსებს; გარდაცვალებულთა რიცხვით — პირველი — სომხებს, მეორე — ქართველებს და მესამე — რუსებს.

1000 მცხოვრებზე მოდის წერა-კითხვის მცოდნე ტფილის-ში, საერთოდ 667; კერძოთ :

1) ქართველი	752
2) სომები	554
3) რუსი	792
4) თურქი	316
5) გერმანელი	872
6) ქართველი ებრაელი	476
7) უკრაინელი	944
8) პოლონელი	847 და სხვ.

ამით უნდა გავათავოთ ჩვენი მოკლე მიმოხილვა ტფილის მოსახლეობის შესახებ.

*) Ibid. p. 47 et p. 48.

ზერა - კითხვა საჭაროველოზი.

ეკონომიურ ცხოვრების შესასწავლათ, იმის განვითარების გასათვალისწინებლათ სრულებითაც არ კმარა აღნიშვნა რა-ცხობრივი წონის იმ ფაქტორებისა, რომელიც საზოგადოების ეკონომიურ საქმიანობაზე მოქმედებენ; აუცილებლად საჭიროა ამ ფაქტორის ხარისხის გაგებაც : მოსახლეობის ისე, როგორც ბუნების. თანამედროვე საზოგადოებას სრულებით არ აქმაყ-ფილებს ის, რასაც ბუნება იძლევა თავის-თავად; ბუნების ნა-ყოფის გადასამუშავებლად. იმის საუკეთესოდ გამოსაყენებლად იმას სჭირია არა მარტო ფიზიკური ღონე, არამედ განვითარე-ბული გონებაც. ცნობილია, რომ პირველ ყოფილ ადამიანს დიდხანს არ ყოფნის ენერგია ერთი და იგივე საქმე, თუნდაც ძალიან პრიმიტიული, გამუდმებით აკეთოს; მას ამისთვის აქ-ლია სიბეჯითე, დამდგარი ხასიათი, პირიანობა და გრძნობა პასუხისმგებლობის. თანამედროვე მანქანა რთულია და ხში-რად ძალიან სათუთი, წედლი მასალა, ხშირად შორეულ ქვე-ყნებიდან მოტანილი, ძეირათ ფასობს; განუვითარებელი ადა-მიანი მანქანას მალე აფუჭებს, წედლ მასალას დაუზოგავათ ფლანგავს.

კარგი მუშის უნარი თანდათან ყალიბდება იმ წრეში, სა-დაც იგი იზრდება : უპირველეს ყოვლისა მაზედ მოქმედობს ოჯახი და საზოგადოების ის ვიწრო წრე, სადაც იგი ტრია-ლებს; სულ სხვადასხვანაირ წარმოდგენის არიან ადამიანის სა-ქმიანობაზე განათლებული ევროპიელი და ჩამორჩენილ ქვე-ყნების მცხოვრები, ფუფუნებაში აღზრდილი და საკუთარ ოფ-ლით თავის გამტანი ოჯახის შვილი. ჯერ კიდევ ბავშობაში ბევრს იძენს ადამიანი იმიდან, რასაც მის ირგვლივ ხედავს და ისმენს; მაგრამ ეს სრულებით არ არის საქმარისი თანამედროვე ეკონომიურ საქმიანობისთვის. მთელ მსოფლიოს მოსახლეო-

ბაში დღეს ერთი მეტედი თუ მოიპოვება ისეთი, რომ თავის პირად ლირსებით და მორალით, განვითარებით და თავის დაჭერით აქმაყოფილებდეს თანამედროვე შრომის პირობებს; შეიძლება ნახევარი ამათგან, მცოდნე პირების აზრით, მაშინაც გამოუსადევარი დარჩეს, რომ ორი თაობა სწავლაში გაიწრთენას *).

სწავლა-განათლება დღეს აუცილებელი ელემენტია შრომის და საერთოდ ეკონომიურ საქმიანობის. ჩვენს დროში უბრალო ქარხანაც კი პროფესიონალურად განათლებულს და გაწვრთნილ მუშას მოითხოვს; ამიტომ სადაც ეკონომიური ცხოვრება ვითარდება, იქ ვითარდება სწავლა-განათლებაც და წინაუკმოთ. ამას ჩვენ ვხედავთ არამცთუ სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ, არამედ თვით სახელმწიფოს შიგნითაც, იმის სხვადასხვა კუთხეში. მაშინ როცა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში (რუსეთში, ბალკანეთის ქვეყნებში, ნაწილობრივ იტალიაში და ისპანიაში) წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 50—80 % აღწევს, დასავლეთ ევროპის ინდუსტრიალურ ცენტრებში იმათი რიცხვი მთელი მოსახლეობის მხოლოდ 2—10 % არ აღემატება; იტალიის ინდუსტრიალურათ განვითარებული რაიონებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ნაკლებია, ვიდრე სხვა რაიონებში: ტურინოში—11 %, გენუაში—13 %; ინდუსტრიალურათ ნაკლებათ განვითარებულ რაიონებში უფრო მეტია: პარმაში—32 %, ფლორენციაში—37 % და რომში—33 %; ეკონომიურათ ჩამორჩენილ მიწათ-მოქმედების რაიონებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უკვე დიდ პროცენტს წარმოადგენს: აბრუცუაში—50 %, კალაბრიაში—70 % აღწევს და სხვ.**).

ამნაირათ, განათლება თავის გავლენას ახდენს ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაზე და, წინაუკმო, ეკონომიური გა-

*) Al. Marshall დასახელებული წიგ. ტ. I, გვ. 381 და სხვ.

**) Fr. Delaisi « Les Deux Europes », p. 47.

ნეითარება განათლების გავრცელებაზე. განათლების საძირ-
 კველია წერა-კითხვის ცოდნა; ეს უკანასკნელი ევროპაში დღეს
 იმდენათ არის უკვე დასრულებული, რომ მოსახლეობის განა-
 თლების სტატისტიკაში ახლა წერა-კითხვის მცოდნეთა აღნი-
 შვნის მაგიერ, მათი პროფესიონალურ განათლებაზე და პრო-
 ფესიონალურად დანაწილების შესახებ უფრო ლაპარაკობენ.
 ჩვენ კიდევ არ ავსულვართ ასეთ საფეხურზე, ჩვენ კიდევ იმის
 შესახებ უნდა ვიღაპარაკოთ, თუ ჩვენში რამდენათ გავრცე-
 ლებულია წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი.

**
*

1926 წ. აღწერის თანახმად, წერა-კითხვის მცოდნეთა რი-
 ცხვი საქართველოში შეადგენს—რაიონების მიხედვით და პრო-
 ცენტრებში *):

მაზრები და ავტონ. ერთეულები:	მთელ მოსახ-ში:	ქალაქის მოსახ-ში:	სოფლის მოსახ-ში:
1) ახალქალაქის	22,6	66,2	20,4
2) ახალციხის	16,7	66,6	7,7
3) ბორჯომის	16,0	59,6	9,2
4) ზომთ-სვანეთის	22,3	—	22,3
5) გორის	40,1	68,6	35,0
6) დუშეთის	24,5	78,5	22,5
7) ზეგდიდის	35,0	65,7	33,6
8) ქუთაისის	49,7	70,8	42,8
9) ლეჩხუმის	35,7	55,7	34,8
10) ოზურგეთის	63,1	73,4	62,1
— ფოთის რაიონი	71,1	71,3	61,5
11) რაჭის	56,04	65,4	55,5

*) თანახმად—!სახელმწ. სტატისტიკურ მოამბის“, № 4-5
 (33-34)—1928 წ.

12) სენაკის	47,8	76,2	46,5
13) სიღნალის	42,8	69,8	40,4
14) თელავის	44,4	76,6	40,9
15) ტფილისის	60,5	74,8	30,9
16) შორაპნის	45,8	78,9	43,1
აფხაზეთი	33,0	69,6	25,7
აყარა	34,8	68,0	12,6
სამხრეთ ოსეთში	18,6	55,3	15,9
სულ	43,1	72,1	34,3

ამნაირათ, მთელ საქართველოს მოსახლეობაში წერა-კი-თხვის მცოდნე ნაჩვენებია—43,1%, ქალაქებში—72,1% და სოფლებში—34,3%; ქალაქის მოსახლეობაში პირებელი ადგილი უჭირავს შორაპნის მაზ.—78,9%, უკანასკნელი—სამხრეთის ავტ. ოლქს—55,3%; სოფლის მოსახლეობაში პირველი ადგილი უჭირავს (ფოთის რაიონის გარდა) ოზურგეთის მაზრას—62,1%, მეორე რაჭისას—55,5%, მესამე სენაკისას—46,5%, მეოთხე—შორაპნისას—43,1%, მეხუთე—ქუთაისისას—42,8% და სხვ.; უკანასკნელი ადგილი უჭირავს—ახალციხის მაზრას—7,7%.

საერთოდ საქართველოს მთელ მოსახლეობაში წერა-კი-თხვის ცოდნის მხრივ პირველი ადგილი უჭირავს—ფოთის რაიონს—71,1%, მეორე—ოზურგეთის მაზრას—63,1%, მესამე—ტფილისის მაზრას (აქ ქ. ტფილისი თამაშობს უდიდეს როლს)—60,5%, მეოთხე—რაჭის—56,0%, მეხუთე—ქუთაისის—49,7%, მეექვსე—სენაკის—47,8%, მეშვიდე—შორაპნის—45,8 და სხვ.; უკანასკნელ ადგილზე იმყოფება ბორჩალოს მაზრა—16,0%.

მოსახლეობის სქესის მიხედვით, წერა-კითხვის მცოდნე მა-მაკაცებში ითვლება—50,2% მთელ საქართველოში, დედა-კაცებში—35,9%.

۲۰

ეროვნების მიხედვით წერა-კითხვის მცოდნე ითვლება
 % %-ში :

	მამაკაცი:	დედაკაცი:	ორივე სქესის:
ქართველებში	45,4	33,0	39,2
სომხებში	44,8	32,2	38,6
რუსებში	76,2	65,4	70,5
აფხაზებში	17,6	4,5	11,2
ოსებში	21,1	5,6	13,7
თურქებში	6,8	1,6	4,3

წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვში იციან წერა-კითხვა
 მხოლოდ სხვა, არა ეროვნულ ენაზე, ან ეროვნულ ენასთან
 ერთად სხვა ენებზედაც (%%-ში წერა-კითხვის მცოდნეთა სა-
 კრონ რიცხვის მიმართ) :

	ქარ-ზე	რუ-ზე	ერ. ენაზე	ერ. ენაზე	დანარ.
	და ქარ-ზე	და რუს-ზე	ენებზე		
ქართველებში	—	0,5	—	24,2	0,2
სომხებში	19,5	4,9	2,7	20,5	0,3
რუსებში	0,6	—	10,1	—	1,4
აფხაზებში	13,3	30,0	0,4	32,1	1,4
ქართველ ებრ.	—	2,3	18,3	—	0,6

۲۱

წლოვანების მიხედვით წერა-კითხვა იციან :

5—9	წლის ჰასაკში	16,8	პროც.
10—14	" "	57,0	"
15—19	" "	58,7	"
20—24	" "	61,1	"
25—29	" "	52,9	"
30—39	" "	47,5	"
40—49	" "	41,3	"

50—59	"	"	32,2	"
60—69	"	"	23,2	"
70—մերո	"	"	15,1	"

Ամ ցերուլյածի պահագղեծած օվկան ու գարշաբա, հռմ արամցու դռնե թէրա-կոտեզու կողմանու սայրուու ար արու սա- սպահալ նուագանք ասպահ սայահայելուն, արամց ուսուց յս դռնե մոմութազ էասայնու (20—59 թլ.) սայրուու 50% ար աղմանցա; ու գարշաբա, հռմ էասայնու 10—24 թլամանու թէրա-կոտեզու մուրանք 60% ար աղմանցա մուս մահանցելուա, հռմ սախալեա գանատլյած աելաց մութլոմելու պայունա մո- սախլյանիս գուց նախուուսատցու.

* *

Ըստասրուլ հցեն մուզանտ լրճաս, սածուու յացմուուս ույուցալու գամուցու մուեցու (*), ու հա աջգուու լուսուուս յարտլյալյած սածուու յացմուուս սեցանտեց յրեցու մուսախլյա- ծաստան Մեժարեցու թէրա-կոտեզու կողմանու մերուց. ուրան թէ- րա-կոտեզ:

1. յերայլյածի	72,3	ձրոց.
2. ցըրմանյալյածի	60,2	"
3. հոսքեծի	45,1	"
4. յարայլյածի	41,4	"
5. լոյրանյալյածի	41,3	"
6. յարտլյալյածի	39,5	"
7. յոմութեծի (չըրյան)	38,1	"
8. ծելուրոսքեծի	37,3	"
9. ևոմեցեծի	34,0	"
10. տառայլյածի	33,4	"
11. հուցանյալյածի	30,7	"
12. ուրիշեծի	8,1	"

*) Ատլաս Ս.Ս.Ռ., ազ. Շիկ-ա, 1928 թ. սր. 15.

13. უზბეკებში	3,8	"
14. თურქმენებში	2,3	"

დარწმუნებული ვართ, ვინც რუსეთს იცნობს პრაკტიკულათ და განსაკუთრებით ეისაც იქაურ სოფლებში უცხოვრია, მას ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები გააოცებს; ეს ცნობები ეწინააღმდეგება იმ საერთო შთაბეჭდილებას, რომელსაც უბრალო დაკვირვება იძლევა და რომლის მიხედვით საქართველოს სოფლის მოსახლეობა (ე. ი. მთელი მოსახლეობის უმრავლესობა) უფრო კულტურულ მოსახლეობის სურათს იძლევა, ვინემ რუსეთის სოფლის სამწუხაროთ, ჩვენ არ შეგვიძლია, იმ ოფიციალურ აღწერილობას, ჩვენ რომ ზევით მოვიყვანეთ, სხვა რამე გამოკვლევა დაუკპირდაპიროთ; ხოლო მეცნიერულ თვალსაზრისით „შთაბეჭდილება“ უფრო სუსტ საბუთათ არის მიჩნეული, ვინემ პირდაპირ აღწერაზე დაყარებულ სტატისტიკური ცნობები. შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი მოსაზრების მოყვანა : ა) წერა-კითხვის ცოდნით არ განრასაზღვრება კულტურულ ყოფა-ცხოვრების მთელი შინაარსი, მით უფრო რომ ეს „ცოდნა“, შესაძლებელია, ხელის-მოწერის ცოდნის იქეთ არ მიღიოდეს; ბ) აღწერის პროცესში დიდ როლს თამაშობს როგორც დამკითხველის, ისე დაკითხულის, კითხვა-პასუხის აზრი : მაშინ როცა ერთ ადგილის, შესაძლებელია, წერა-კითხვის მცოდნეთა სიაში მოქცეუნ ისეთნი, ვისი ცოდნა მართლაც სახელის და გვარის დაწერას არ აღემატება (და ისიც „დაკვრითი წესით“ აქვთ ახლა შესწავლილი), მეორე ადგილის —დაკითხულნი თავს „მცოდნეთ“ არ აღიარებდენ, თუ წერა-კითხვაში საესებით გაწაფულნი არ იყენ; გ) დასასრულ, არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ თუ ზოგ ადგილას ჩვენში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 60% აღემატება, სამაგიეროთ არიან მაზრები, სადაც, სამწუხაროთ, ასეთების რიცხვი 10%-საც ვერ აღწევენ, და ეს გარემოება აუცილებლად უდიდეს გაცლენას ახდენს მთელ მოსახლეობის ჯამზე.

**საქართველოს მოსახლეობის სოციალური და
პოლიტიკური უძრავი გენდერიზაცია.**

სოციალურ შემადგენლობის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა შემდეგ სურათს წარმოადგენს (1926 წ.) :

მოსახლეობა თვითმომქმედი	1.165.356	სული ანუ	43,7 %
„ არა თვითმომქმედი	1.501.138	„ „	56,3 „
		სულ	2.666.494 „ „ 100 „

ამნაირათ თვით-მომქმედ მოსახლეობის რაოდენობა საქართველოში უდრის მთელი მოსახლეობის 43,7 %. ამ თვით-მომქმედ მოსახლეობიდან არის :

1. მუშა	67.234	ანუ თვით-ქმედ მოსახ-ბის	5,8 %
2. მოსამსახურე	74.483	„ „ „ „	6,4 „
3. თავისუფ. პროფეს.	2.845	„ „ „ „	0,2 „
4. პატრონები დაქირ.			
მუშებით	17.942	„ „ „ „	1,5 „
5. პატრონები ოჯახის წევრების დახმა-ბით			
რომ მუშაობენ და არტელის წევრები	256.707	„ „ „ „	22,0 „
6. მარტოხელნი	158.790	„ „ „ „	13,6 „
7. მოსაქმეობაში დამ- დამხმარე იჯახის წევრები	518.816	„ „ „ „	44,5 „
8. არ აქვთ ან არ და- უსახელებიათ მოსა- ქმეობა	30.249	„ „ „ „	2,6 „

9. უმუშევარნი	13.286	"	"	"	1,2 "
10. წითელი არმია					
და ფლოტი	25.104	"	"	"	2,2 "
სულ	1.165.356			100	"

თუ ამ რაოდენობიდან ჩვენ გამოვრიცხავთ ა) იმ პირთ,
 ვისაც არ აქვს ან არ დაუსახელებია მოსაქმეობა (§ 8), უმუშევართ (§ 9) და წითელ არმიას და ფლოტს (§ 10), ე. ი. სულ 68.639 სულს, რომელიც არ ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას,
 დაგვრჩება—1.096.717 სული თვით-მომქმედ მოსახლეობის.

შრომის დარგის მიხედვით ეს მოსახლეობა ასე ნაწილდება :

1. სოფლის მეურმეობა	911.592	სული	ანუ	83,1%
2. საქარხნო-საფაბრ. მრეწველობა	15.903	"	"	1,5 "
3. შინა და ხელოსნ.	38.467	"	"	3,5 "
4. მშენებლობა	6.177	"	"	0,6 "
5. რკინის-გზის ტრანსპორტი	19.336	"	"	1,8 "
6. დანარჩენი დარგის ტრანსპორტი	9.767	"	"	0,9 "
7. ვაჭრობა და კრედიტი	30.066	"	"	2,7 "
8. დაწესებულებები	46.714	"	"	4,2 "
9. შრომის დანარჩენი დარგები	18.686	"	"	1,7 "
სულ	1.096.717	"	100	"

ამნაირათ, შრომის დარგის მიხედვით, სოფლის მეურნეობაში არის ჩაბმული თვით-მომქმედ მოსახლეობის 83,1%, ხოლო საქარხნო-სავაჭრო მრეწველობაში სულ 1,5% და დაწესებულებებში—4,7%, ე. ი. შრომის სხვა ჟველა დარგზე (გარდა სოფლის მეურნეობისა) მეტი.

თუ ჩვენ გვიხედავთ ეკრობის ქვეყნებისკენ, დავინახავთ, რომ შვეიცარიაში, მაგალითად, თვით-მომქმედი მოსახლეობა შრომის დარგის მიხედვით ასე ნაწილდება (1930 წ.) % %-ში :

1. სოფლის მეურნეობა	21,7
2. მრეწველობა და ხელისნობა	44,6
3. ვაჭრობა, ბანკი, დაზღვევა	9,8
4. ტრანსპორტი და ურთიერთობა	4,4
5. აღმინისტრაცია და ლიბერ. პროფ.	5,3
6. სასტუმროებში მოსამსახ.	4,8
7. დანარჩენი დარგი	9,4

100 *)

მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიხედვით, სახალხო მეურნეობის უმთავრესი დარგები იძლევა შემდეგ სურათს : ჩაბმულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში **):

1) სოფლის მეურნეობაში :

საქართველოში	911	ათასი სული,—მთელი მოსახ-ბის	34,1%
დანიაში	461	" " "	14,2 "
ფინლანდიაში	1.024	" " "	30,4 "
ჩეხოსლოვ-ში	2.424	" " "	17,8 "
შვეიცარიაში	486	" " "	12,5 "
ბელგიაში	477	" " "	6,4 "

2) ინდუსტრიაში და ტრანსპორტში

(ჩვენში აგრედვე მშენებლობაში) :

საქართველოში	51	ათასი სული,—მთელი მოსახ-ბის	1,9%
დანიაში	437	" " "	13,3 "
ფინლანდიაში	284	" " "	8,5 "
ჩეხოსლოვ-ში	2.415	" " "	17,7 "
შვეიცარიაში	918	" " "	23,6 "
ბელგიაში	1.703	" " "	23,0 "

*) Statistisches Jahrbuch der Schweiz, 1933.

**) «Statistique générale de la France», Annuaire Statistique, 42 volume, 1926, p. 194. ცნობები ევროპის ქვეყნების შესახებ.

3) ვაჭრობაში (ჩვენში კრედიტიც):

საქართველოში	30 ათასი	სული,—	მთელი	მოსახ-ბის	1,1%
დანიაში	147	"	"	"	4,5 "
ფინლანდიაში	50	"	"	"	1,5 "
ჩეხოსლოვ-ში	361	"	"	"	2,7 "
შვეიცარიაში	217	"	"	"	5,6 "
ბელგიაში	304	"	"	"	4,2 "

ამნაირათ, ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოს მოსახლეობის მეტი პროცენტი არის ჩაბმული სოფლის მეურნეობაში, ვინემ ევროპის დასახელებულ ქვეყნებში; ეს წარმოადგენს საქართველოსთვის თვით-მომქმედ მოსახლეობის 83,1%, მაშინ როცა შვეიცარიისთვის მხოლოდ 21,7%; მთელი მოსახლეობის მიხედვით კი : საქართველოს—34,1%, დანიისთვის—14,2%, შვეიცარიისთვის—12,5% და ბელგიისთვის—მხოლოდ 6,4%.

მაშინ როცა შვეიცარიაში მრეწველობაში და ხელოსნობაში ჩაბმულია თვით - მომქმედ მოსახლეობის — 44,6%, ჩვენში (მრეწველობა, შინა-მრეწველობა, ხელოსნობა, მშენებლობა) — 5,6% მხოლოდ; ხოლო საერთო მოსახლეობის მიხედვით, ინდუსტრიაში და ტრანსპორტში ჩვენში ჩაბმულია—1,9%, ხოლო დანიაში 13,3%, შვეიცარიაში და ბელგიაში—23%. ასეთსავე სურათს დაახლოებით ჩვენ ვხედავთ ვაჭრობაში.

აქედან, ცხადია თუ რამდენათ არის დამოკიდებული საქართველოს მოსახლეობა სოფლის მეურნეობაზე და რამდენათ ჩამორჩენილია ჩვენში კიდევ მრეწველობა და ალებ-მიცემობა. დაქირავებული შრომა, რაც ახასიათებს ინდუსტრიალურათ განვითარებულ ქვეყნებს, ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან მცირე როლს თამაშობს სახალხო მეურნეობაში; მუშა-მოსამსახურენი წარმოადგენენ თვით-მომქმედ მოსახლეობის მხოლოდ 12,2%, ხოლო პატრონები ოჯახის წევრების დახმარებით რომ მუშაობენ, არტელის წევრები, მოსაქმეობაში დამხმარე ოჯახის წევრები და მარტოხელნი—80,1%.

7.

მოსახლეობის ჯანმრთელობა.

1913 წელთან შედარებით 1929 წელს საქართველოში ძალიან გაზრდილა როგორც სამედიცინო პერსონალის რიცხვი, ისე სამკურნალო დაწესებულებათა რაოდენობა; ასე ანგარიშობენ *) :

	1913 წ.	1929 წ.
ექიმებს	261	1615
საექიმო პუნქტებს	36	245
საავათმყოფოებს	38	68
მათში საწოლების რაოდენობას	1985	3743
აფთიაქებს	95	252

ეს ციფრები უსათუოდ შთაბეჭდილებას ახდენენ; ხოლო უფრო მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარემოება, რომ ამავე დროს ზოგიერთ ავათმყოფთა რიცხვი იმავე 1913 წ. შედარებით კი არ კლებულობს, არამედ მატულობს; მატება ავათმყოფთა აბსოლუტურ რაოდენობის შეიძლება ახსნილი იქმნას მოსახლეობის ზრდით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ავათმყოფობანი, რომელთაც ფართე ხასიათი აქვთ—ზოგიერთ გამოკლებით—მატულობენ მეტის სისწრაფით, ვინემ იზრდება მოსახლეობა. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

	1913 წ.	1926 წ.	1929 წ.
მაღარია	163.959	547.442	213.040
გრიბი	19.911	70.496	90.929
ტუბერკულოზი	14.533	39.422	41.205
ვენერიული ავათ-ნი :	13.164	25.788	21.561
მათ შორის—ათაშანვი	8.882	13.109	9.473
სურავანდი	684	620	1.502

ამნაირათ, თუ მაღარისა და ათაშანვით ავათმყოფთა

*) „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“.

რიცხვის ზრდა კოტათ თუ ბევრათ კიდევ შეეფერება მოსახლეობის ზრდას ნაჩვენებ 16 წლის განმავლობაში და ორივე ამ ავათმყოფობით დასწეულებულთა რაოდენობა 1926 წელთან შედარებით ყოველ შემთხვევაში საგრძნობლათ შემოკლებულა, სამაგიეროთ განუწყვეტლივ მატულობს რიცხვი გრიპით (350 %), ტუბერკულოზით (193 %), ვენერიულ სენით საზოგადოთ (51 %) და სურავანდით (119 %) ავათმყოფთა, და გაცილებით მეტის პროცენტით ვინერ მოსახლეობის საერთო ზრდა. კველაზე უფრო საშიშარ მდგომარეობას წარმოადგენს ზრდა ტუბერკულოზის; 1913 წ.—14.533 სული, 1926 წ.—39.422 და 1929 წ.—41.205 აღრიცხული ავათმყოფი. ტუბერკულოზი კი უმთავრესად „ლარიბი კაცის“ ავათმყოფობაა და იგი ისე, როგორც გრიპიც და მალარიაც, და კიდევ უფრო აღამიანის სუსტ აგებულებას უფრო ერევა ხოლმე, ვინერ ლონიერს.

მართალია, ავათმყოფთა რიცხვის ზრდის მაჩვენებელი ციფრები ხშირად იმითაც უნდა აიხსნას, რომ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გავრცელებას და მათი მოსახლეობასთან დაახლოებას თან მოყვება მოსახლეობის მეტი ნაწილის მიმართვა ექიმისადმი და, მაშასადამე, ავათმყოფთა მეტი რიცხვის ჩატარებისა; მაგრამ მართალია ისიც, რომ რიცხვი სავათმყოფოების, რიცხვი ექიმების, ჯანმრთელობის საქმეზე პირდაპირ გაწეული ხარჯი ვერავითარ ეფექტს მოახდენს, თუ ჰიგიენა მოსახლეობის, კვება მოსახლეობის და მოსახლეობის საერთო კეთილდღეობა არ იქმნა გაუმჯობესებული. ამას კი საქართველოში, სამწუხაროთ, ჯერჯერობით ჩვენ ვერ ვხედავთ. ის გარემოება, რომ მწარმოებელ ჰასაკში შესულ მოსახლეობის რაოდენობა, რასაც ჩვენ ზევით უკვე შევეხეთ, ჩვენში და რუსეთში პროცენტულათ უფრო ნაკლებია, ვინერ ევროპის ქვეყნებში, იმის მაჩვენებელია, რომ ჯამნრთელობა საქართველოს მოსახლეობის სრულიადაც ვერ წარმოადგენს სა-

სურველ სურათს და მას ვერ უშეველის საექიმო დაწყებულებას
ბათა, თუნდაც სამაგალითოდ მოწყობილის, გავრცელება, თუ
ამას საფუძვლათ არ უდევს, როგორც ვსთქვით, მოსახლეობის
საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება : კვების, ბინის, ტან-
საცმლის და სხვ.

8.

შემოგვის პირობები და კვება მოსახლეობის.

ჩვენ არ შევეხებით ამ უამათ მშრომელთა საერთო მდგო-
მარეობას საბჭოთა საქართველოში; არაფერს ნიშნავს მშრო-
მელისთვის „კონსტიტუციით“ ბოძებული უფლებრივი მდგო-
მარეობა (თუმცა ეს უფლებაც, როგორც ვიცით, მხოლოდ ქა-
ლალდზედ არის დაწერილი), თუ იგი მის ნივთიერ მდგომა-
რეობას ფაკტიურათ არ აუმჯობესებს. ამ შემთხვევაში ჩვენ
სწორეთ ეს უკანასკნელი გარემოება გვაინტერესებს.

მუშის საშუალო დღიური ხელფასი საქართველოს ცენ-
ზიან მრეწველობაში უდრიდა საშუალოდ (მანეთებში) *):

1925/26 წ.	2,57
1926/27 „	2,64
1927/28 „	2,78
1928/29 „	2,96
1929/30 „	3,31

ამნაირათ, 1925/26 წელთან შედარებით მუშის ხელფასი
1929/30 წ. გაზრდილა 29%. რას წარმოადგენს რეალურათ
მუშის ეს ხელფასი, რომელიც, როგორც ზემოთ მოყვანილი

*) ibid, page 416.

ციფრები გვეუბნება, მატულობს კიდეც? ხელფასის აბსოლუტური ციფრები თავისთვად არაფრის მაჩვენებელია; საქმე ის არის, თუ რამდენათ შეუძლია მუშას თავისი აუცილებელი მოთხოვნილებანი თავისი სამუშაო ხელფასით დაიკმაყოფილოს; ხელფასის ზრდა ცხოვრების გაძვირების ზრდის თანაბრაო უნდა ხდებოდეს. ამ მხრივ კი სურათი საქართველოში ძალიან უნუგეშოა.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ ავილოთ 1929/30 წლის მუშას ხელფასი და 1913 წლის ხელფასს შევადაროთ იგი. 1913 წელს საქართველოს უდიდეს წარმოების—შ. ქვის მუშა იღებდა დღეში 1,70 მან.; 1929/30 წ. იგი იღებს—2,91 მ.; მატება—71% უდრის. ამავე დროს ჩვენ გვედავთ, რომ 15 სხვადასხვა პირველ მოთხოვნილების საქონლის საცალო ფასები 1913 წ. უდრიდა საშუალოდ 19,2 კაპ. და 1929/30 წ. (კომპერატ. ვაჭრობის საცალო ფასები) უდრის—77,1 კაპ., ე. ი. გაზრდილა 302% *). ჩვენ რომ აღნიშნოთ „100“-ით 1913 წლის ხელფასი და საქონლის ფასები, მივიღებთ შემდეგ სურათს :

	ხელფასი :	საქონლის ფასები :
1913 წელს	100	100
1929/30 წ.	171	402

რანაირი მდგომარეობაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში? საფრანგეთში, მაგალითად, უდრიდა **):

ხელფასი :	1911 წ.	1921 წ.	1924 წ.
მამაკაცის	100	410	477
დედაკაცის	100	412	496

ინდექსი საქონლის :
(საცალო—13 საქონლის)

100	424	422
-----	-----	-----

*) ibid, page 492-3.

**) P. Gemähling «Statistiques choisies et annotées», p. 75.

ინგლისის მაგალითიც დაახლოებით იმასვე გვეუბნება: ინგლისის ქვა-ნახშირის მუშა იღებდა 1914 წ. კვირაში — 34 შილინგს; ხოლო 1924/25 წ.—56 შილ. 4 პ.; მომატება უდრის: 64 პროც. *); ცხოვრება ინგლისში ამავე დროს გაძვირებულია 76%-ით **). ასე, ინგლისში უდრიდა:

	1914 წ.	1924/25 წ.
ხელფასი	100	164
საცხოვრებელი ფასები	100	176

შვეიცარიაში მუშის ქირა უდრიდა საათში : 1913 წ.—50 სანტ., 1930 წ.—138 სანტ., მომატება წარმოადგენს 176 %; ამავე დროს საკვები (denrées alimentaires) გაძვირებულია (ინდექსი): 100—1914 წ., 152—1930 წ. ***). ასეთია მდგომარეობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ამის მიხედვით, კვებაც მოსახლეობის სხვადასხვანაირ სურათს წარმოადგენს ჩვენში და ევროპის ქვეყნებში. საქართველოში კვება მოსახლეობის სხვადასხვანაირია ქალაქებში და სოფლათ; ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს ჯეო ცალკე-ცალკე, როგორც ამის საბჭოთა ოფიციალური სტატისტიკა იძლევა ****), და შემდეგ ამის მიხედვით გამოვიანგარიშებთ კვების საშუალო ნორმებს მთელი მოსახლეობისა. საშუალოდ დღეში (1926 წ.) ერთი სულის საკვები ნორმა საქართველოში შეაღენდა (გრამებში):

ქალაქის მოსახ-ბის:	სოფლის მოსახ-:
1. პურეული პროდუქტები ბი (პურის, სიმინდის, ჭვავის, ქერის, ბრინ- ჯის და სხვ.)	633,8
	1159,3

*) The Labour Year Book 1926, Issued by the General Council of the Trades Union Congress etc.

**) Ministry of Labour. Eighteenth Abstract of Labour Statistics of the United Kingdom, London, 1927.

***) « Statistisches Jahr buch der Schweiz 1933 ».

****) „საბჭოთა საქართველოს 10 წელი“.

2. ქართოფილი და ბოს.			
ტნეული	170,4		163,5
3. შაქარი	42,2		6,5
4. ხორცი და თევზი ყო- ველნაირი	109,7		50,8
5. ქონი ყოველგვარი	0,6		1,2
6. კარაჟი და ერბო	10,2		3,9
7. რძე	109,7		57,7
8. ყველი	22,9		29,3
9. კვერცხი	15,5		6,1
10. ჩაი, ყავა, კაკაო	1,0		0,4
11. ღვინო	22,7		90,9
12. არაყი და სხვა მაგარი			
სასმელები	0,8		8,7

ამნაირათ, საქართველოში ქალაქის მოსახლეობა საერთოდ სოფლის მოსახლეობაზე გაცილებით უკეთესად იკვებება; მა-
გრამ საქართველოში ქალაქის მოსახლეობა ხომ მთელი მოსა-
ხლეობის მხოლოდ 22,3% შეადგენს; როგორია კვება საშუა-
ლოდ საქართველოში მთელი მოსახლეობის სხვა ქვეყნებთან
შედარებით? *) :

საქ-ში	მუშის			
	საერთ.	სატრ-ში	ინგ-ში	სკანდ. ქ-ში

გრამობით—დღეში :

1. პურეულია პროდუქტები	1041,1	801,6	580,8	543,3
2. ქართოფილი (საქათვე- ლოში სხ. ბოსტნეულიც)	165,6	500,0	250,0	383,3
3. შაქარი	14,4	58,3	100,0	105,0
4. ხორცი (საქ-ში თევზიც)	63,9	83,3	116,6.	39,1
5. ქონი	1,0	33,3	20,0	35,0

*) « Rapport sur les Niveaux de vie des ouvriers dans differents Pays », Edit. Soc. d. Nat. B.I.T., 1926, p. 54.

6. კარაჟი და ერბო	5,3	40,0	28,3	36,6
7. რძე	69,2	283,3	200,0	1066,6
8. ყველი	28,3	16,6	13,3	16,6
9. კვერცხი	8,2	500,0	458,3	550,0
10. ჩაი, ყავა, კაკაო	0,7	33,3	18,3	21,6

საქართველოში „პურეულ პროდუქტებს“ მეტს სჭამენ, ამ ცნობების მიხედვით, ვინემ ევროპის დასახელებულ ქვეყნებში; ხოლო ცნობილია, რომ პურს საზოგადოთ მეტს სჭამენ იქ, სადაც ნაკლებია სხვა უფრო მაღალ ხარისხის საკვები საგნები; საქართველოშიც სწორეთ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი და ისიც იმ განსხვავებით, რომ პურის მაგიერ დიდი ნაწილი მოსახლეობის იკვებება სიმინდით (მჭადით).

რაც შეეხება ღვინოს და მაგარ სასმელებს, ამის შესახებ ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს *); დღიურათ ისმება ერთ სულზე (გრამობით) :

	ღვინო :	მაგ. სასმელი :
საფრანგეთში	460,2	7,1
შვეიცარიაში	187,2	6,3
იტალიაში	252,3	1,9
საქართველოში	75,6	8,7

აქედან, ცხადია, თუ რამდენათ ცუდათ იკვებება საქართველოს მოსახლეობა საერთოდ ევროპის მუშათა მოსახლეობასთან შედარებით; ამასედ კი დამოკიდებულია მისი შრომის უნარი და მისი ჯანმრთელობა. ევროპაში მეღვინეობით ცნობილ ქვეყნებთან შედარებით ქართველი ნაკლებათ სვამს ღვინოსაც, ხოლო, სამწუხაროთ, მეტს სვამს მაგარ სასმელებს.

ჩვენ ხელთ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ არის ჩაცმულ-დახურული საქართველოს მოსახლეობა; ამის აღნიშვნაც გამომხატველი იქნებოდა მისი ცხოვრების დონის.

*) Annuaire Statistique 42^e vol. 1926.

დ ა ს პ 3 6 ა .

ჩვენ განვიხილეთ საქართველოს ეროვნულ მეურნეობის ორი უმთავრესი საფუძველი : ტერიტორია და მოსახლეობა. პოლიტიკურ ეკონომიკის საერთო თვალსაზრისით, ეს გამოხატავს იმ ორ უმთავრეს პირობას, რომლიდანაც დამოკიდებულია წარმოება ანუ საზოგადოების საქმიანობა, სახელდობა — ბუნებას (მიწა-წყალი) და შრომას.

ჩვენ დავინახეთ, რომ როგორც ტერიტორიის, ისე მოსახლეობის, ანუ შრომის მომცემ ელემენტის, მიხედვით, საქართველო არ ჩამოუკარდება მრავალ უკეთ დამოუკიდებლათ არ-სებულ სახელმწიფოს და ბევრის წინაც დგას.

შრომა, თავის მხრით, დამოკიდებულია მრავალ პირობებზე — როგორც თვით იმის ორგანიზაციაზე, ისე საზოგადოების საერთო სოციალ-პოლიტიკურ წყობილებაზე. და ჩვენ უნდა ესთქვათ, რომ ამ უკანასკნელს ხელი არ შეუწყვია შრომის გამომღებისთვის, საქართველოს მოსახლეობისთვის, რათა მას თავისი მიწა-წყალი ისე გამოეყენება. როგორც საჭირო იყო და შესაძლებელი.

ჯერ კიდევ თითქმის ამ ორი საუკუნის წინეთ საქართველოს დიდი გეოგრაფი ბატონიშვილი ვახუშტი სწერდა საქართველოს შესახებ : „გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლისა, ღვთისა მიერ, და არა ხელოვანთა კაცთათა“*. „კაცი“ საქართველოში, საქართველოს მოსახლეობა, მუდამ შევიწროებული იყო გარეშე მტრისგან, ხშირად იყი მონობაში იყო, მის იღბალს გარეშე პირობები სწყვეტდა, მის საქმიანობას ხშირად გარეშე სახელმწიფო განაგებდა, და არა საქართველოს, არამედ თავის საკუთარ ეროვნულ მიზნების

*) „ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსი“, გვ. 54-56.

მიხედვით. ამიტომ საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ უენერგიობას ვერ მიეწერება ის, თუ ეს „ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლისა“ დღეს ღარიბია, ეკონომიკურათ ძალიან ნაკლებ განვითარებული და მოუწყობელი. ამაში ადგილათ დარწმუნდება ყველა ის, ვინც საქართველოს საქმიანობის საზოგადოებრივ პირობებს გაეცნობა ამ უკანასკნელ საუკუნეების განმავლობაში და კერძოთ მე-18 საუკუნის დასასრულიდან. მთელი მე-19 საუკუნე, ეს უდიდესი ხანა ეკონომიურ განვითარებისა მთელ მსოფლიოში, საქართველოს ეკონომიურ წინსვლას ძალიან მცირეთ დაეტყო, და იმის ბეჭილბლის გამგებლათ მოვლინებული ძველი რუსეთი ისე ჩაბარდა ისტორიას, რომ ორიოდე რიგიანათ მოწყობილი ქარხანა მას საქართველოში არ დაუტოვებია.

დღესაც საქართველო თავის თავს არ ეკუთვნის; როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ, იგი ისევ და იმავე უცხო ორგანიზმები არის მიწებებული, იმ ორგანიზმზე, რომლის წყობა—ისტორიული, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური—სულ სხვა სახეობის იყო, ვინემ საქართველოსი. ამ უცხო ორგანიზმს საქართველოს სხეული ვერ ეგუება ვერც პოლიტიკურათ და ვერც ეკონომიურათ; პოლიტიკურათ დამჭერარა, იგი დაჭერება ეკონომიურათაც, რადგან,—და ეს ჩვენ შევეცადეთ ამ წიგნის შესავალში გავვერკვია,—ერთ ეკონომიურათაც ისე, როგორც პოლიტიკურათ, ვითარდება მხოლოდ თავისუფალ პირობებში, იმ თავისებურ და სხვა ერებისგან განსხვავებულ პირობებში, რაც ბუნებას მისთვის მიუნიჭებია და ისტორიას მისთვის შეუქმნია.

ერს, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, სწყურია არსებობა და ამ არსებობისთვის იგი ყოველგვარ პირობებში იბრძვის. ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ისტორიის სასაფლაოზე დღეს განისვენებს მრავალი იმპერია, როგორც საქართველოს, ისე სხვა მრავალი ქვეყნის დამპყრობელი; პატარა ერები, და მათ შორის საქართველოც, კი ცოცხლობენ. აბობოქრებული ტალღები

ხშირად ამსხვრევენ უზარმაზარ ხომალდს და ზღვაში სძირავენ იმას; ხოლო იმაზედ მიბმულს, მტკიცეთ შეკრულ პატარა ნავებს მოსწყვეტენ იმას და ნაპირზე გამოიტანენ ხოლმე. პა. ტარა, მაგრამ გამძლე, ერების თავგადასავალიც ასეთია.

საქართველოს ეროვნულ ეკონომიის განვითარების ორი უმთავრესი პირობა მოცემულია: საქმარისი ტერიტორია და მოსახლეობა—თავის წარსულით, კულტურით და ეროვნულ შეგნებით გაერთიანებული. ამას მოწმობს სრულიად ობიექტიური მიღვიმა საკითხისაღმი და ამასვე აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმის მომავალ დამოუკიდებლობისთვის.

როცა მსოფლიო ომის დასასრულს მრავალი პატარა ერი დიდი სახელმწიფოებიდან მოითხოვდა მათი დამოუკიდებლობის ცნობას, და ბევრი იმათგან ცნობილიც იქმნა, ფრანგის ერთმა მეცნიერმა წიგნი დასტამბა, წიგნი სრულიად აკადემიურ ხასიათის, სადაც იგი საგანგებოთ არკვევს მეცნიერულ თვალსაზრისით და პრინციპიალურათ, თუ რა პირობებში შესაძლებელი არის, რომ ერი ცნობილ იქმნეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. მას საეჭვოთ მიაჩნია ევროპაში მრავალ ახლად შექმნილ სახელმწიფოთა მომავალი, ხოლო საქართველოს შესახებ კი იგი სწერდა: „წინააღმდეგ, სავსებით გამართლებულ უნდა იქმნეს ცნობა საქართველოსი, ამ აზიურ სახელმწიფოსი, დაჯილდოებულის საქმაოთ აკტიურ და განათლებულ მოსახლეობით და უხვის ბუნებრივ სიმდიდრეებით“ *). ამნაირათ, უცხო და მიუგდომელ სწავლულის აზრი სავსებით ეთანხმება იმ დასვნებს, რომელზედაც ჩვენ მივყავართ საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის განხილვის.

* Prof. B. Lavergne « Le Principe des Nationalités et les Guerres » (Liber. Fel. Alcan), p. 33.

შემჩერების შედეგები

უმთავრესი კორრეკტ. შეცდომები :

გვ.	სტრიქონი:	არის:	უნდა იყოს:
79	12 ზევ.	30.920	33.920
109	6 ქვევ.	68,1	62,1
130	5 ზევ.	47.587	158.111
"	6 "	113.455	453.037
"	7 "	1.248.906	1.248.807
141	8 "	8.937	9.213
"	" "	4,80%	4,9%
142	5 "	473	373
152	11 ქვევ.	1,9	1,0
153	4 ზევ.	2.584	2.589
154	12 ზევ. (1897 წ.)	54,8	54,7
"	14 "	159.400	159.300
"	" "	232.500	232.300
166	14 ქვევ.	2.845	2.745
49	7 "	შოლანდიის	შვეიცარიის

ბიბლიოოგიაზე.

(ტექსტში დასახელებული წიგნები და მასალები).

- Prof. CH. GIDE. Cours d'Economie Politique, T. I et II, Paris, 1920.
- Prof. ALF. MARSHALL. Principes d'Economie Politique. Trad. franç. - F. Sauvaise-Jourdan, T. I et II, Paris, 1907.
- FR. LIST. Système National d'Economie Politique. Trad. franç. H. Richelot, Paris, 1857.
- AD. SMITH. Recherches sur la Nature et les causes de la richesse des Nations. Trad. franç. 1843.
- CH. GIDE et CH. RIST. Histoire des Doctrines Economiques depuis les physiocrates jusqu'à nos jours. Paris, 1913.
- Prof. P. GEMÄHLING. Les Grands Economistes. Paris, 1915.
- Prof. L. BROCARD. Principes d'Economie Nationale et Internationale. T. I et II, 1929 et T. III, 1931, Paris.
- Prof. L. BROCARD. Les Conditions Générales de l'Activité Economique, Paris, 1934.
- YVES GUYOT. Le Commerce et les Commerçants. Edit. Dion et Fils, Paris.
- A. MARCHAL. La Conception de l'Economie Nationale et des Rapports Internationaux chez les Mercantilistes Français et chez leur Contemporains. Paris, 1931.
- Prof. ACH. VIALETTA. L'Impérialisme Economique et les relations internationales pendant le dernier demi-siècle (1870—1920). Paris, 1923.
- H. TAINE. Histoire de la Littérature Anglaise. T. II.
- ED. HERRIOT. L'Europe.
- A. SIEGFRIED. La Crise Britannique au XX^e Siècle, Paris, 1931.
- “ Les Etats-Unis d'aujourd'hui.
- “ Tableau des Partis en France.



- F. DELAISI. Les deux Europes.
- FR. NITTI. L'inquiétude du Monde. Paris.
- Prof. R. LAVERGNE. Le Principe des Nationalités et les Guerres. Libr. F. Alcan.
- Prof. I. BRUNHES. La Géographie Humaine. Paris, 1925.
- M. FALLEX et A. MERAY. La Face Nouvelle du Monde.
- MARIO GIANTRUCO. Le Problème International de la Population — Revue Politique et Parlementaire, 1930.
- R. MONIER. L'Origine et la fonction économique des villes. Paris, 1910.
- ER. LUDENDORF. Souvenirs de Guerre 1914—1918. Trad. franç. T. II.
- FRANCIS H. SIMONDS. L'Amérique doit annuler les dettes. Ed. Exelsior, Paris.
- L. METCHNIKOFF. La Civilisation et les grands fleuves historiques. Paris, 1889.
- A. DAUZAT. La Suisse Illustrée.
- G. LACARPANTIER. La Suisse au Travail.
- E. RECLUS. Nouvelle Géographie Mondiale. T. VI, Paris, 1881.
- J. TOUTAIN. L'Economie Antique. Paris, 1927.
- E. LEVASSEUR. La Population Française, T. III, Paris, 1892.
- STATISTIQUE GENERALE DE LA FRANCE. Annuaire Statistique 1926.
- CONFEDERATION GENERALE DE LA PRODUCTION FRANÇAISE. Annuaire 1934.
- DRESDNER BANK. Les Forces Economiques du Monde. Berlin, 1930.
- ANNUAIRE STATISTIQUE DE LA SOCIETE DES NATIONS 1930/31.
- Rapport sur les Niveaux de vie des ouvriers dans différents pays.
Edit. Soc. d. Nat.—B.I.T., 1926.
- Annuaire Général de la France et de l'Etranger, 1926.
- Annuaire National de l'Agriculture 1932-33, Paris.
- The Statesman's Year-Book, 1929, London.
- MINISTRY of LABOUR. Eighteenth Abstract of Labour statistics of the United Kingdom, 1927.

THE LABOUR YEAR BOOK, 1926.

Prof. D-r MURIS und O. WAND. Hansa Welt-Atlas. Berlin.

Statistisches Jahrbuch der Schweiz 1933, Herausgegeben von Eidgenössischen statistischen Amt.

D. ABKHASI. Les Richesses Naturelles de la Géorgie. Roma, 1923.

В. Жельзновъ. Очерки Политической Экономии. Москва, 1907.

П. Милюковъ. Очерки по истории русской культуры, ч. I, 1909.

В. Войтинскій. Мировое хозяйство или Автаркія — Соврем. Записки LIV, 1934.

В. Гриневичъ. Народное Хозяйство Германии, Берлинъ, 1924.

Атлас С. С. С. Р. Изд. ЦИК-а, Москва, 1928.

«Закавказье». Сборник. Изд. Высш. Экон. Совета З. С. Ф. Р.; 1925.

А. Х. Ляйстер и Г. Ф. Чурсин. География Закавказья.

М. М. Дубенскій. Очерки по экономической географии Закавказья. Тифлисъ, 1924.

Сборникъ статистическихъ свѣдѣній о Кавказѣ, т. I. Тифлисъ, 1869.

Орестъ Евецкій. Статистическое Описание Закавказскаго Края. С.-Петербургъ, 1835.

Кавказский календарь 1910 и 1916 г.г.

ბატონიშვილი ვახუშტი. ღეოლრაფიული აღწერა საქართველოს. 1842 წ.

პროფ. ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია; წიგნი პირველი. ტფილისი, 1930.

პროფ. ა. ჯავახიშვილი. საქართველოს გეოგრაფია; ტ. I, ტფილისი, 1930.

პროფ. გ. გეხტმანი. საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია. ტფილისი, 1926.

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924 - 25 წ. — საქ. საგეგმო კომისიის გამოცემა, ტფილისი, 1926.

სახელმწიფო სტატისტიკური მოამბე № 4 - 5 (33 - 34) 1928 წ. 1927 წ. 17 დეკ. სრულიად საკავშირო აღწერის შემოკლებული ცნობები.

საბჭოთა საქართველოს 10 წელი — გამოცემა ს.ს.რ. საგეგმო კომისიის, ტფილისი, 1931.

ე. ი. ჯანდიერი. ქალაქ ტფილისის მოსახლეობა. ტფილისი, 1930.

6. უორდანიას ნაწერები ტ. I და II.



૬૧૬૮૦૩૦

I.

შესავალი.

1. ერი, როგორც ეკონომისტი ორგანიზმი : ას-
ტომ ისმის ეს საკითხი. ძველი დრო. მე-16 - 18 საუკ.: მე-
რკანტილიზმი. ფიიზიკურატები. ახალი ხანა ეკონომ. გა-
ნვითარების და ახალი იდეოლოგია: ად. სმიტი და ლიბე-
რალური შეკლა პოლიტიკურ ეკონომის. ნაციონალურ
მიმართულების რეაქცია: ფრ. ლისტი. სახალხო მეურნე-
ობის განვითარება მე-19 საუკ-ში. ორი გამოცდა ლიბე-
რალურ ეკონომის: მსოფლიო ომი და მსოფლიო ეკო-
ნომისტი კრიზის. კომიბოლიტურ მსოფლმხედველო-
ბის დამარცხება. ეროვნულ მეურნეობის განვითარება.
პოლიტ. პარტიები და ეროვნული ეკონომიკა. საფუძ-
ველნი საერთაშორისო სახალხო მეურნეობის; გზა იმის
განვითარების. დიდი და პატარა ერების როლი საერთა-
შორისო სახალხო მეურნეობაში გვ. 9.

2. ეკონომიკურ საქმიანობის უმთავრესი პირობები :
საგანი პოლიტიკურ ეკონომიკის. წარმოება, როგორც სა-
ფუძველი ადამიანის სამეურნეო საქმიანობის. წარმოე-
ბის პირობები: ბუნება (მიწა-წყალი), ჰაერი, ზოვები და

მდინარეები, მთა და ბარი, მიწის ნიადაგი, ფლორა და
ფაუნა. ადამიანის გავლენა ბუნებაზე და საზოგადოების
როლი. შრომა—უმთავრესი ფაქტორი წარმოების. მო-
სახლეობა და პირობები იმის განვითარების. . . . გვ. 51

II.

საქართველოს ტერიტორია.

1. საქართველოს ტერიტორიის სივრცე. დანაკლისი
ტერიტორიები. საქართველოს ტერიტორიის ზოგიერთ
სხვა ქვეყნების ტერიტორიასთან შედარება. საქართ-
ველოს საზღვრები, იმის აღმინისტრატიულათ დაყოფა:
მაზრები და ავტონომ. ერთეულები, სასოფლო საბჭოები
და სოფლები გვ. 73

2. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი: საქართ-
ველოს მდებარეობა. მთები. ბარი. ჰიდროგრაფია: ზღვა
და იმის მნიშვნელობა საქართველოსთვის; მდინარეები;
ტბები. ჰაერი. მიწის ნიადაგი. საქართველოს ფლორა და
ფაუნა გვ. 81

3. სახმარი და უხმარი მიწა საქართველოში: მიწის
ფონდი; იმის დანაწილება მეურნეობის დარგების მიხედ-
ვით; იმის რაოდენობა სხვადასხვა კუთხეში. შედარება
სხვა ქვეყნებთან. სახნავ-სათესი მიწის რაოდენობა საქა-
რთველოში სხვადასხვა კუთხის მიხედვით. როგორ არის
უზრუნველყოფილი მიწით სოფლის მოსახლეობა საქა-
რთველოში და სხვა ქვეყნებში. საქართველოს სოფლის
მეურნეობის საფუძველი. მიწით სარგებლობა საქართ-
ველოში და სხვა ქვეყნებში. საქართველოს ტერიტო-
რიის მინერალური სიმდიდრენი. გვ. 105

III.

საქართველოს მოსახლეობა.

1. რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის. შედარება სხვა ქვეყნებთან. საქართველოს მოსახლეობა სქესის მიხედვით. სხვა ქვეყნებში. მოსახლეობა აღმინისტრატიულ ნაწილების მიხედვით, წვრილ ერთეულის (სოფლის) და კომლის მიხედვით. მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში და სხვა ქვეყნებში. საქართველოს მოსახლეობა წლოვანების (პასკის) მიხედვით. გ. 123

2. საქართველოს მოსახლეობა ეროვნების მიხედვით: რაოდენობა სხვადასხვა ეროვნებათა მოსახლეობის; ქართველების რაოდენობა პროცენტულათ საბჭოთა კავშირში და ამიერკავკასიაში. ძირითადი მოსახლეობა საქართველოში და სხვა ქვეყნებში. ქართველების რაოდენობა თვით საქართველოში და საქართველოს გარედ. ეროვნული შემადგენლობა საქ. ავტონ. ერთეულებში: აფხაზეთში, აჭარაში და სამხრ. ოსეთში. დედა-ენა საქართველოში. გ. 136

3. ქალაქის და სოფლის მოსახლეობა. რა არის ქალაქი. საქართველოს ქალაქების მოსახლეობა. ზრდა ქალაქების საქართველოში და სხვა ქვეყნებში. რატომ ტოვებს სოფელს მოსახლეობა. გ. 143

4. ქალ. ტფილისის მოსახლეობა: ტფილისის განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს ცხოვრებაში. ტფილისის მოსახლეობის ზრდა, მოსახლეობა სქესის და წლოვანების მიხედვით. ეროვნული შემადგენლობა ტფილისის მოსახლეობის სხვადასხვა დროს. რა დასკვნებს იძლევა ტფილისის მოსახლეობის პასაკური შემადგენლობა: საქართველოდან და საქართველოს გარედან

მოსული მოსახლეობა ტფილისში. დაბადებულთა და გარდაცვალებულთა რიცხვი ტფილისში. წერა-კითხვის გავრცელება სხვადასხვა ეროვნებათა შორის. . . გ. 150

5. წერა - კითხვა საქართველოში : განათლება და ეკონომიკა. წერაკითხვის მცოდნეთა რიცხვი საქართველოში სხვადასხვა კუთხის მიხედვით; ქალაქის და სოფლის მოსახლეობაში; ეროვნების მიხედვით; წლოვანების მიხედვით. შედარება საბჭოთა კავშირში შემავალ სხვა ერებთან. გ. 159

6. მოსახლეობის სოციალური და პროფესიონალური შემადგენლობა საქართველოში; სხვა ქვეყნებში. გ. 166

7. საქათველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა. . . გ. 170

8. შრომის პირობები და კვება მოსახლეობის საქართველოში : სამუშაო ხელფასი; იმის რეალური ღირებულება საქონლის ფასებთან შედარებით. კვება ქალაქის და სოფლის მოსახლეობის. როგორ იკვებებიან საშუალოდ საქართველოში და როგორ იკვებებიან უცხოეთში. გ. 172

9. დასკვნა. გ. 177

10. ბიბლიოგრაფია. გ. 181

11. სარჩევი. გ. 185

12. საქართველოს სქემატ. რუქა.

საქართველო

ԵՐԵՎԱՆԻ ՊԱԽ

ԱՐԵՎՈՅՆՔԱԿԱՐ ԽԵՍ

四三四

